ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 26 აპრილი 2004 №92 (2111) ფასი 50 თეთრი


# ყვე-ლა-ფე-რი!



„არსენალი“ ჩემპიონობით ხარობს, „ბარსელონა“ კი „რეალის“ ძლევით






ეჭვი არაა, გუშინდელი საღამო ტელევიზორთან გაატარეთ. ნახეთ, როგორ დაკარგა „ჩელსიმ“ ჩემპიონობის უკანასკნელი შანსი. მერე ნახავდით, როგორ გაიფორმა ჩემპიონობა „არსენალმა“. ამის მერე კი „ელ კლასიკოთი“ დატკბებოდით და ეგებ „ვალენსიას“ ჩემპიონობისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯიც იხილეთ. გუშინვე სერია A-ში და ბუნდესლიგაში საჩემპიონო ბრძოლა გამძაფრდა. ლიდერებმა, „მილანმა“ და „ვერდერმა“ ვერ მოიგეს და მდევრები ორი ქულით მიიახლოვეს.

მაგრამ მთელი ამ დიდებული კვირა საღამოს მშვენება მაინც „ელ კლასიკო“ იყო. დღევანდელ კატალონიურ გაზეთებში ალბათ წერენ, რომ იუდა ლუიშ ფიგუს ეგრეც მოუხდება, რომ გააძევეს, მადრიდელები კი სინანულით გაიხსენებენ ულვაშა დელ ბოსკეს.

ჩვენთვის მთავარი კი ამ მატჩიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებებია. მოედანზე იყო ყველაფერი ის, რისთვისაც საზოგადოდ ფეხბურთს ვუყურებთ. იყო შედევრი პასები და გოლები. სიმულაცია და კარის ხაზიდან სასწაულებრივ გამოტანილი ბურთები. შვება და იმედგაცრუება. მოკლედ, ყვე-ლა-ფე-რი...

## არველაძის სანაძლეო
### უეფას თასის ფინალი თბილისში იქნება

რამდენიმე სააგენტომ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ შოთა არველაძემ „რეინჯერსთან“ კონტრაქტი უკვე გაგრძელა ან ამას უახლოეს მომავალში გააკეთებს. არველაძესაც გლაზგოში ამიტომ დავურეკეთ, თუმც სხვაც შევიტყვეთ...

— ახალ კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მომიწერია და, თუ რა როგორ იქნება, ამაზე ჩემს მენეჯერ ივან ბენეშსაც უნდა დავეკითხო. „რეინჯერსმა“ უკვე მომაწოდა კონტრაქტის პირობები განსახილველად.



— ალბათ გაიგებდი, რომ თბილისის საკრებულო ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციას აპირებს — სანაკრებო მატჩების თამაში ეროვნულზე გირჩევნია?

— ეროვნულ სტადიონზე თამაში სულ სხვაა და ვფიქრობ, ნაკრებისთვის ეროვნულზე თამაში სჯობს. ძალიან გამიხარდა, რომ ამ სტადიონს რეკონსტრუქციას გაუკეთებენ და თუ მინდორსაც შეცვლიან, თბილისი მალე ალბათ უეფას თასის ფინალსაც უმასპინძლებს.

— ასეთი ინფორმაცია საიდან გაქვს?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! თუ ეროვნული სტადიონი შესაბამის სტანდარტებს დააკმაყოფილებს და უეფას პრეზიდენტად მიშელ პლატინის აირჩევენ, შოთა არველაძე გპირდებათ და, თუ გნებავთ, სანაძლეოსაც ჩამოვა, რომ ცოტა ხანში უეფას თასის ფინალი თბილისში გაიმართება.

დავით თავართქილაძე

ეროვნული ჩემპიონატის ეპიცენტრი კვლავაც ბოლნისში იყო და იქაური ბიძგი ისეთი გამოდგა, „სიონი“ სამი ქულით დაუსხლტა უახლოეს მდევრებს. ერთხელაც მოეცარა ხელი „დინამოს“ — „ლოკომოტივმა“ ზეექვსეულში ოდენ ერთი გოლი კი გაიტანა, მაგრამ „დინამოს“ უკვე ოთხი ქულა დააკარგვინა. ამასობაში „თბილისი“ ლიდერ სამეულს ძალიან მიუახლოვდა და ჩემპიონატიც კიდევ უფრო გამძაფრდა. ერთიც, უმაღლეს ლიგას ოზურგეთის „მერცხალი“ დაემშვიდობება



„სიონმა“ „ვიტ ჯორჯიას“ როინ ონიანის გოლით მოუგო

| I-VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:3 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 5:2 | 31 |
| დინამო | 6 | 1 | 3 | 2 | 9:6 | 31 |
| თბილისი | 6 | 3 | 3 | 0 | 11:4 | 30 |
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 3 | 3 | 1:7 | 20 |
| დილა | 6 | 0 | 2 | 4 | 0:14 | 19 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 6 | 4 | 1 | 1 | 13:6 | 30 |
| ბათუმი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | 22 |
| მცხეთა | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 21 |
| კოლხეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 21 |
| სპარტაკი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 18 |
| მერცხალი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:11 | 6 |



# როდის მოუგებს საქართველო ჰოლანდიას?



მერაბ ჟორდანია და ანდრო აბაშიძე

## ანდრო აბაშიძე: მიშელ პლატინი კაცია ოჯახში

*ანდრო აბაშიძე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი. ის უკვე ორი კვირაა, ამ თანამდებობაზეა, ორი დღის წინ კი პირველი მივლინებიდანაც დაბრუნდა — ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან ერთად კვიპროსზე გამართულ უეფას კონგრესს ესწრებოდა*

— გაოცებული დავრჩი, უეფას წევრი ფედერაციების ერთსულოვნებაზე კი მსმენოდა, მაგრამ 52 ქვეყნის წამომადგენლები ასე ახლოს, თბილად თუ იყვნენ ერთმანეთთან, არ მეგონა. უეფა მართლაც ერთი ოჯახივითაა — პირველი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ამ ოჯახში თავისი ადგილი აქვს, მერაბ ჟორდანია ამ საზოგადოებაში მიღებული კაცია. ისიც მსმენოდა, ფედერაციის პრეზიდენტი და მიშელ პლატინი მეგობრობენო, თუმც კვიპროსზე მათი შეხვედრა რომ ვნახე, ძალიან მესიამოვნა, ისინი უახლოესი მეგობრები ყოფილან. პლატინი უეფას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობს და თუ გაიმარჯვა, მერაბ ჟორდანიასთან მისი მეგობრობა ჩვენი ფეხბურთისთვის უფრო ფასეული იქნება. კონგრესზე პლატინის გარდა ბევრი სახელოვანი კაცი იყო, მაგრამ დიეგო მარადონას ავადმყოფობის ამბავი პლატინის გარდა არავის გახსენებია. სცენაზე პლატინისთან ერთად ბეკენბაუერი, ბუტრაგენიო და ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ერიქსონი მიიწვიეს. მათ გერმანელი ჰანს მიულერი ესაუბრებოდა ფეხბურთის პრობლემებზე. როცა ყველამ თავისი თქვა, სიტყვა პლატინიმ ითხოვა და დამსწრეთ მარადონას ამბავი შეახსენა. მის სიტყვებს ოვაცია მოჰყვა. ასე გამოუცხადეს პლატინიმ და უეფამ მარადონას თანადგომა.

— ჩვენი ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი უეფას კონგრესზე არაფერი ყოფილა?

— კონგრესი უეფას 50 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა. დააჯილდოვეს საუკეთესო ფეხბურთელები და ფეხბურთში ღვაწლმოსილი ხალხი. კონკრეტულად ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. უეფამ თავისი აღმასკომისა და უეფასგან ფიფას აღმასკომის წევრებს უფლებამოსილება გაუგრძელა.

— კეთილი, მაშ, მოდით, ჩვენ ვთქვათ ქართულ ფეხბურთზე. ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი უკვე ბოლომდე გაერკვა ფედერაციის საქმიანობაში, ჩაიხედა სამზარეულოში?

— ბოლომდე ჯერ კიდევ არა. ზოგადად კი უკვე გარკვეული ვარ.

— კონკრეტულს რას გვეტყვით?

— ფედერაციის წმინდა საფეხბურთო საქმიანობაში არ ვერევი, ამ მიმართულებას თავის ხელმძღვანელი ეყოლება. მე უფრო სამეურნეო საქმიანობას გავუძღვები და ვეცდები, ჩემს გუნდთან ერთად ფეხბურთში არსებული ყველა რესურსი ქართული ფეხბურთისთვის მაქსიმალურად მომგებიანად გამოვიყენოთ. რესურსი ფეხბურთში ბევრია, ყოველ შემთხვევაში, მაგალითად, რაგბიზე მეტი, რაგბიმ კი, მოგეხსენებათ, ბოლო ხანს რამხელა წარმატებას მიაღწია. ფეხბურთში რაგბიზე გაცილებით მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსია, რასაც სწორად გამოყენება უნდა. ფეხბურთი რაგბიზე უფრო პოპულარულია და, შესაბამისად, მიმდევარიც მეტი ჰყავს. 7-8 წლის წინ ქართველი მორაგბეები ჰოლანდიასთან აგებდნენ, ახლა კი ჩვენები ჰოლანდიას იქ მოუგებენ და იმ ანგარიშით, როგორსაც იტყვიან. ბოლო წლებში ის ნაპრალი მნიშვნელოვნად ამოივსო, რაც ქართულ რაგბის მსოფლიო დონესთან აშორებდა.

— რის ხარჯზე?

— სწორი მუშაობის ხარჯზე. ვერავინ იტყვის, ბოლო დროს რაგბიში შედეგი არ გაუმჯობესდაო.

— ფეხბურთში შედეგი როდის გაუმჯობესდება?

— როცა საქართველოს ნაკრები წარმატებას მიაღწევს.

— ჩემი გუნდიო, ახსენეთ. როგორც ვიცით, ფედერაციაში სტრუქტურული ცვლილებები მიმდინარეობს. რა შეიცვალა, უფრო სწორად, აღმასრულებელმა დირექტორმა რა შეცვალა?

— უახლოეს დღეებში ყველაფერს გაიგებთ. წვრილმანი საკითხები დარჩა დასაზუსტებელი, რასაც ორიოდ დღეში გავაკეთებთ.

— ფედერაციაში ახალი ხალხი იმუშავებს?

— ახალ მიმართულებებს ახალი ხალხი სჭირდება. მსურს, მოქნილი, მცოდნე გუნდი შემოვიკრიბო, რომლის თითოეული წევრიც თავის საქმეს ზუსტად გააკეთებს.

— იმისთვის, რაც ჩაფიქრებული გაქვთ, ბევრია გასაკეთებელი?

— დიახ, ძალიან ბევრი.

— სპონსორების თაობაზე რას გვეტყვით? ბოლო დროს ფედერაციას ორი პარტნიორი — „ყაზბეგი“ და „ფერო“ გამოუჩნდა. კიდევ ველოდოთ სპონსორებს?

— უნდა ველოდოთ. ამ მიმართულებით საქმიანობა ყოველდღიური იქნება და ამ საკითხზე პასუხისმგებელი კონკრეტული პიროვნება იქნება. ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობა ნებისმიერი კომპანიისთვის საპატიო უნდა იყოს.

**კობა ინასარიძე**



*ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ შაბათს გოგა გახოკიძე „ტვენტეს“ დაუბრუნდა და თან როგორ — ენსხედელებმა ექვსტურიანი მოუგებლობის სერია სწორედ ქართველი ნახევარმცველის გოლით შენყვიტეს.*

*ჰოლანდიის თასის მოგება, ახალ გუნდში გადასვლა და ნაკრებში დაბრუნება — აი, გახოკიძის საამსეზონო მიზნები, რაზეც ნაღდად ვერ ვიტყვით, არარეალურიაო.*

*გუშინ გოგას ენსხედეში რომ დავურეკეთ, ცხადია, უხასიათობას არ უჩიოდა...*

# გახოკიძის ნატვრის ხე

## ფუი ეშმაკს და ეინდჰოვენს

— რთული ტრავმის შემდეგ თამაში ხომ არ გაგიჭირდა?

— არანაირი პრობლემა არ ყოფილა. ფეხი საერთოდ აღარ მაწუხებს.

— „ტილბურგთან“ მატჩზე რას იტყვი?

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მანამდე ხუთი თუ ექვსი თამაში ვერ მოიგო გუნდმა და ქომაგები ძალიან განაწყენებულები იყვნენ. მიხარია, რომ მათი გახარება შევძელით, თან მაგარი გოლიც გავიტანე. ერთი სიტყვით, იღბლიანად დავბრუნდი.

— მატჩის მიწურულს შეგცვალეს. ეტყობა, დაიღალე...

— სხვათა შორის, ძალიან არ გამჭირვებია. ტემპს ავყევი, თუმც ბოლოს მართლა დავიღალე და მწვრთნელმა შემცვალა. მეორე გოლიც ამის შემდეგ გავიტანეთ.

— აბა, მანამდე რა სჭირდა „ტვენტეს“?

— ყველაფერი ტრავმების ბრალია. ჩემ გარდა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა გუნდს. ახლა მარტო თასზე ვფიქრობ. ფინალს მთელი ქალაქი სულმოუთქმელად ელის.

— „ტვენტეს“ მწვრთნელი რენე ვანდერეიკენი ახალ სეზონში ბელგიურ „გენკს“ უთავკაცებს. შენს წაყვანასაც ხომ არ აპირებს?

— არ ვიცი. ამის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს.

— რომ შემოგთავაზოს, დათანხმდები?

— გააჩნია წინადადებას. გამორიცხული არაფერია. მაისში ყველაფერს გავარკვევ. არა მგონია, კლუბების ნაკლებობა იყოს, თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ „ტვენტეში“ დავრჩე.

— მაშინ ასე გკითხავ: პროცენტულად როგორ შეაფასებ „ტვენტეში“ დარჩენა-არდარჩენას?

— ვერ გეტყვი. ალბათ, უფრო თანაბრად. ძნელია, წინასწარ რაიმეს თქმა.

— მსურველი კლუბებიდან რომელიმე ხომ არ გამჟღავნებულა?

— ჯერ არა. ერთადერთი ინგლისური „ვესტ ჰემი“ გავიგე, მაგრამ სანაკრებო თამაშებით 75 პროცენტს ვერ ვაგროვებდი და ეს საქმეც ჩაიშალა.

— დაგრჩა გერმანული და ჰოლანდიური ვარიანტები. რომელი გირჩევნია?

— რა თქმა უნდა, პირობებს გააჩნია, მაგრამ თუ ასარჩევად მექნება საქმე, ჰოლანდიაში დარჩენა მინდა. ამ ქვეყანას უკვე შევეჩვიე, ენაც ავითვისე და სხვაგან გადასვლა გამიჭირდება. თან ჰოლანდიური კლუბები უფრო აქტიურობენ.

— მათ შორის „პსვ ეინდჰოვენიც“ ხომ არ არის?

— არა. ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი გამიგია.

— „ეინდჰოვენმა“ რომ შენი დაბრუნება მოინდომოს, რას იზამ?

— რას ამბობ?! ამ გუნდში არასოდეს დავბრუნდები. მაგათი არაფერი მინდა. რაც თავის დროზე „ეინდჰოვენმა“ დამაკარგვინა, ახლა ვერანაირად ვერ ამინაზღაურებს. ეს ტრანსფერი გამორიცხულია.

— ამით სამაგიეროს გადახდა გსურს?

— სამაგიეროს გადახდა არაფერ შუაშია. მე ჩემ თავზე უფრო ვფიქრობ. „ეინდჰოვენში“ კი ბედნიერი თითქმის არასოდეს ვყოფილვარ.

— საქართველოს ნაკრებიდან ხომ არ შეგხმიანებია ვინმე?

— ჯერ არა. ისე, მითხრეს, „ტვენტე“ — „ტილბურგის“ მატჩზე დასაწრებად ალენ ჟირესი ჩამოდისო, მაგრამ... იმედია, უახლეს მომავალში ჩამოვა.

**კახა შალამბერიძე**

### იტალია

სერია B. XXXIX ტური

ფიორენტინა 2:0 მესინა

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი XXXIV ტური

ბილბაო 1:1 ვალენსია

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXXII ტური

ბელენენსეში 3:0 რიუ ავე

### ამხანაგური მატჩი

უნგრეთი 3:2 იაპონია


ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

პირველი ლიგა

26 აპრილი

ოცდამეოთხე ტური

ამერი — მეტალურგი

თბილისი ზესტაფონი

დასაწყისი 16 საათზე. დასწრება უფასოა


# გიორგი ქინქლაძე საქართველოში დაბრუნდა

**უგუნდოდ** მყოფი გიორგი ქინქლაძე თბილისშია — ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და პრემიერლიგის კაშკაშა ვარსკვლავი აქ კიდევ რამდენიმე დღით შეყოვნდება და მერე ბრიტანეთში დაბრუნდება.

ეს სეზონი, რომლის ჩამთავრებას ცოტაღა უკლია, ერთობ უიღბლო გამოდგა ქინქლაძისთვის. „ვოლფსბურგი“, „პანათინაიკოსი“, „პორტსმუთი“, „ბოლტონი“ — ამ კლუბებში ქინქლაძის სავარაუდო ტრანსფერზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ 30 წლის ქინქლაძე ჯერაც უგუნდოდაა.

თუმცა, ვინძლო, შეძლებულმა ქართულმა კლუბებმა თავი გამოიდონ და ქინქლაძეს კონტრაქტი შესთავაზონ. ევროპამოვლილი და ოცდაათ წელს გადაცილებული ცნობილი ლეგიონერი საქართველოს ჩემპიონატში რომ ბრუნდება, ამის პრეცედენტი უკვე არსებობს — გიორგი ნემსაძე ხომ ახლა თბილისის „დინამოში“ თამაშობს.

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. 15 მეორე ეტაპი. 6 ტური

# ალენ ჟირესმა ბოლნისში ჩასვლა არ ინანა

ეროვნული ბიბლიოთეკა








როინ ონიანის საგოლე ბურთი მირზა მერლანს და „ვიტ ჯორჯიას" იმედს გადაევლო

ბოლნისი. 24 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია. 2 000 (ტევადობა 3 500)

## სიონი 1:0 ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| 1:0 ონიანი (60) | |
| სიონი: ვოლკოვი, ჭიჭველიშვილი, ს. ბურნაძე, უგრეხელიძე, კ. ალადაშვილი (დარსანია 59), სიჭინავა, გაბისკირია (სვანიძე 90), გილაური, რ. ონიანი, გონჩაროვი, გ. შენგელია (ე. გვასალია 75) სათადარიგონი: ა. ლაბაძე; გ. დოლიძე, ისიანი, არჩვაძე. მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ვიტ ჯორჯია: მერლანი, იმედაშვილი, კვახაძე, ინწკირველი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გველესიანი (დეკანოსიძე 23), გოჩაშვილი (მარცვალაძე 66), დათუნაიშვილი, რ. გოცირიძე (ე. მერებაშვილი 80), ადამია სათადარიგონი: მამარდაშვილი; თ. კობიაშვილი, ებანოიძე. მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი |
| გაფრთხილება: უგრეხელიძე (82) | |
| მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. კრიჭაშვილი (თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: ს. კოტრიკაძე | |



ბოლნისელთა მეგოლე ბორის გონჩაროვს ალენ ჟირესმა თვალი დაადგა

**კობა ინასარიძე** ბოლნისიდან

**არ მიკვირს,** „სიონი" ჩემპიონატს რომ ლიდერობს, ბოლნისელებს მართლაც კარგი გუნდი ჰყავთ, რისი დასტურიც ეს მატჩია — თამაშის დამთავრებას ბევრი არაფერი აკლდა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა ეს რომ თქვა.

ჟირესი ბოლნისიდან აშკარად კმაყოფილი წავიდა. ასეთი საინტერესო თამაში მას საქართველოს ჩემპიონატში არ უნახავს, მას კი არა, ვეჭვობთ, იმ ხალხსაც, ვინც ჩემპიონატს ჟირესივით ორი თვეა არ უცქერს.

საქართველოს ჩემპიონატისთვის ძალიან მაღალი ტემპი, ბრძოლა მოედნის ერთი მტკაველისთვისაც, ბევრი სახიფათო მომენტი, მწვრთნელთა დუელი — ყველაფერი ეს იყო ბოლნისში. თბილისის „დინამოს" მოულოდნელად მომტოვებელმა და გალიდერებულმა გუნდებმა არც ერთმანეთი დაინდეს, არც საკუთარი თავი. მატჩის ბოლოსკენ ფეხბურთელები ლამის ყოველ წუთს დახმარებას ითხოვდნენ — უჩვეულო დატვირთვისგან კუნთები ეჭიმებოდათ. მოკლედ, კარგი თამაში იყო და ჩვენც მივყვეთ...

„სიონის" საწყისი შტურმი უშედეგოდ დამთავრდა. მასპინძლები „ვიტ ჯორჯიას" ათი წუთი აგრესიულად უტევდნენ, თუმც ხეირი ვერ ნახეს. ის იყო, მათი შეტევები ჩაწყნარდა, რომ პირველი ხიფათიც შექმნეს, უფრო სწორად, ხიფათი „ვიტ ჯორჯიამ" შეუქმნა თავის თავს: დათუნაიშვილმა და მერლანმა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ერთმანეთს დაუთმეს, საბოლოოდ კი ბურთი ონიანის თავზე აღმოჩნდა. ბოლნისელისთვის საჩუქარი მოულოდნელი იყო და დარტყმა ველარ მოახერხა. ამ დროისთვის სტუმრებმა თამაში უკვე გაათანაბრეს, მეტიც, ბურთს ისინი აკონტროლებდნენ. ამას კი „სიონის" კართან ისეთი მომენტი მოჰყვა, საგოლედ უკეთესს რას ინატრებ: ადამიამ, რომელიც ვოლკოვთან პირისპირ იყო, ბურთი დასარტყმელად ვერა და ვერ მოირგო, მაგრამ ბოლოს გოცირიძეს გადააწოდა, რომლის წინაც მხოლოდ ცარიელი კარი იყო — მისი დარტყმული ძელს მოხვდა.

„ვიტ ჯორჯიას" უპირატესობა ამ მომენტის შემდეგ უფრო თვალსაჩინო გახდა, თბილისელები მწარედ იჩხვლიტებოდნენ და კარის ახლომახლო თავდამსხმელებს საკეთებელი ოდნავ სწრაფად რომ ეკეთებინათ, გოლსაც გამორჩებოდნენ. ისე კი, ტაიმის დამთავრებამდე ვოლკოვს ბევრი საქმე არ ჰქონია. საქმე გონჩაროვმა მერლანს იქით გაუჩინა, გაბისკირიას ჩაწოდებულს მოხდენილი თავური რომ შეაგება.

შესვენების შემდეგ კოჭლაშვილმა განაპირა ჰავბეკებს, დათუნაიშვილსა და გოჩაშვილს ფლანგები გაუცვალა. მარცხნიდან გილაური ისე აქტიურობდა, დათუნაიშვილს მისი შეჩერება უჭირდა. სტუმართა მწვრთნელმაც მეორე ტაიმში ბოლნისელს ფლანგზე უფრო ჯანმაგარი გოჩაშვილი დაახვედრა. „ვიტ ჯორჯიას" ამ გადაადგილებამ ბევრიც ვერაფერი მოუტანა. გილაურისა და მასთან ერთად ონიანის შეჩერება სტუმრებმა მაინც ვერ შეძლეს. „ვიტ ჯორჯია" მარჯვენა ფლანგზე დაიჩაგრა.

„სიონი" ნელ-ნელა უჭერდა მარწუხებს, სტუმრები კი რატომღაც ინერტულები გახდნენ. მათ ჯერ გონჩაროვის შეტევა გაეპარათ, რომელიც ძალიან სახიფათო ჩანდა, მაგრამ ფორვარდმა მერლანს ველარ აჯობა. ეს მომენტი სტუმართათვის გაფრთხილების მაგვარი უნდა ყოფილიყო, თუმცა... მე-60 წუთი, „ვიტ ჯორჯიას" შუა ხაზი და დაცვა პოზიციურად შეცდა; ჰავბეკებმა ცენტრის ხაზს ოდნავ გადაშორებულ შენგელიას ბურთი მიალებინეს, დაამუშავებინეს, პარტნიორის მოძებნა აცალეს, მცველებს კი საჯარიმოს მარცხენა კუთხესთან უმეთვალყურეო ონიანი დარჩათ, რომელიც პასს ითხოვდა. შენგელიამ არ დააყოვნა, ონიანიც გაფრინდა, ბურთს თავი დაჰკრა და შეაგდო. დიდი ფეხბურთის ეპიზოდი იყო.

აი, ეს იყო და, „ვიტ ჯორჯია" მთლად მოიშალა. მასპინძლები ლამის ყოველ წუთს ქმნიდნენ რეალურ საგოლე მომენტს. მათი უმეტესობა სწორედ მარცხნიდან იწყებოდა და გრძელდებოდა. გონჩაროვი სამ-ოთხჯერ, გაბისკირია ორჯერ და დარსანია ისეთი პოზიციიდან ურტყამდნენ, გატანა მართებდათ, მაგრამ მერლანს ვერ სჯობდნენ. ჟირესიც სწორედ ამ დროს ალაპარაკდა.

მერე კოჭლაშვილმა დათუნაიშვილი ისევ მარჯვნივ დააბრუნა, გოჩაშვილი კი მარცვალაძით შეცვალა, მაგრამ სტუმართა თამაში არ შეცვლილა. დარჩენილ დროში მათ მომენტიც არ ჰქონიათ, ერთი ეს იყო, დეკანოსიძემ შორიდან და მოულოდნელად დაურტყა ვოლკოვს, მეკარემ კი ბურთი კუთხურზე მოიგერია. ვალში არც „სიონი" დარჩა და მერლანი ერთი-ორჯერ ისევ აანერვიულა.

— კარგი თამაში იყო, კარგი ვქენი, ბოლნისში რომ ჩამოვედი. გონჩაროვი მომეწონა, ის აგრესიული ფორვარდია. მას 27 აპრილის მატჩშიც გამოვცდით და მერეც — ესეც ალენ ჟირესის სიტყვებია...

## საუკეთესო

### ავქსენტი გილაური

*კაცმა რომ თქვას, საუკეთესო მთლიანად „სიონი" იყო, შუა ხაზი და დაცვა განსაკუთრებით. ჰოდა, გილაურიც იმად ვარჩიეთ, რომ დაცვაშიც საიმედო იყო და ნახევარდაცვაშიც. მის ფლანგზე მეტოქემ ფეხბურთელი ორჯერ შეცვალა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა.*



თბილისი. 24 აპრილი. 18 საათი. ლოკომოტივი. 300 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 0:0 დინამო

**ლოკომოტივი:** მამალაძე, ი. ვაშაკიძე, ლ. სალუქვაძე, ორბელაძე, ზამთარაძე, სანიკიძე, მანწკავა, გ. ონიანი, დავითულიანი (დ. დოლიძე 46), სოსელია (ძამსაშვილი 77), გოგინაშვილი (ლილუაშვილი 86)
*სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი; დათვაძე, მორჩილაძე, ი. ჟღენტი
**მწვრთნელი:** ზაურ სვანაძე

**დინამო:** გვარამაძე, კარლოსი, წერეთელი (მელქაძე 77), შაშიაშვილი, სილაგაძე, კვირკველია, გოგობერიშვილი, გ. ნემსაძე, ანჩაბაძე (ბურდული 61), ახალაია, ს. იაშვილი (მ. ბობოხიძე 57)
*სათადარიგონი:* ზოიძე; კანდელაკი, ქოქიაშვილი, რომერო
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**გაფრთხილება:** წერეთელი (61)

**გაძევება:** სვანაძე (85)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია



გურამ ცაგარეიშვილის ფოტო

ბურთი და მობურთალები: გიორგი ნემსაძე და ლევან სანიკიძე

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

15 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# ლოკომოტივი დინამოს არ შეარცხვენს

**კახა შალამბერიძე**

**ყველაფრის** მიხვედრა და გაშიფვრა თავიდანვე შეიძლებოდა...

„ლოკომოტივი“ ველარ არის ის გუნდი, საქართველოში ჯერაც ხელჩასაჭიდი საშინაო კედლების ფაქტორი გამოიყენოს, „დინამოს“ შეტევებით სული არ მოათქმევინოს და მოგუდოს. „დინამოს“ კი ყველანაირი პირობა-შესაძლებლობა აქვს, „ლოკომოტივს“ (და საერთოდ, ზედა ექვსეულის ნებისმიერ გუნდს) თუნდაც სტუმრად მოუგვაროს საქმე, გოლი გოლზე გაუტანოს და მშვიდად დაელოდოს კონკურენტთა ანგარიშებს.

ეს თეორიაა და ამის დაწერა იოლია, მოედანზე გადატანა კი...

უმოტივაციო და მოუგებელმა „ლოკომოტივმა“ სამმაგი დამცავი ჯებირი აღმართა საკუთარ ნახევარზე და ისევ ჩემპიონობის მოწადინე, თუმც ბედარეულ „დინამოს“ ფრთები შეუკვეცა.

შეგვიძლია, თამამად ვთქვათ: ზაურ სვანაძემ ივო შუშაკს მცირე დუელი მოუგო. ცხადია, ამით ხორვატის ცოდნა-გამოცდილებას ჩრდილს არ ვაყენებთ, მით უმეტეს, ჩახუთული თამაშის მიუხედავად, შუშაკის ბიჭებს პირველივე ტაიმში შეეძლოთ მეტოქის გატეხვა. არ გამოვიდა.

ახლა „დინამო“ სამი ქულით ჩამორჩება დაწინაურებულ ბოლნისის „სიონს“ და ამ საქმით თამამად შეუძლია იამაყოს „ლოკომოტივმაც“. იკითხავთ, „ლოკომოტივი“ რაღა შუაშიაო და პასუხს აქვე გაგცემთ: რკინიგზელებმა „დინამო“ პირველ ტურშიც დაალონეს, ქულა აართვეს... რა გამოდის? შუშაკის გუნდმა ვაკის ბინადართან ოთხი ოქროსფერი ქულა დაკარგა...

სახიფათო მომენტი ბევრი არ ყოფილა. პირველ ტაიმში სულ ოთხჯერ გაიქაჩნენ მეტოქეები, აქედან სამჯერ სტუმრებს შეეძლოთ გატანა.



გურამ ცაგარეიშვილის ფოტო

რა ეწყინა ისეთი ზაურ სვანაძეს, მსაჯებისთვის მუდამ უპრობლემო კაცს სათადარიგოთა სკამი რომ დაატოვებინეს?

მე-4 და მე-20 წუთებზე ლევან სილაგაძეს და ლადო ახალაიას უმტყუნა იღბალმა. მალე კი ზურაბ მამალაძის ოსტატობაც ვნახეთ — ახალაია-ანჩაბაძის ულამაზესი კომბინაცია რკინიგზელთა მეკარემ თავგანწირული თამაშით ჩაშალა და ტრიბუნებზე თხლად შეფენილი ქომაგისგან ტაშიც დაიმსახურა.

36-ე წუთზე კი „ლოკომოტივმა“ ერთადერთი სახიფათო მომენტი შექმნა: ზაზა ზამთარაძის ჩაწოდებულს გიორგი მანწკავას ოდნავ არაზუსტი თავური მოჰყვა.

„დინამო“ რომ ამგვარ თამაშს არ შეეგუებოდა, იოლი მისახვედრი იყო და „ლოკომოტივიც“ მეორე ტაიმში საკუთარ საჯარიმოსთან გამაგრდა. შუშაკის ბიჭებსაც უფრო გაუჭირდათ კომბინაციური თამაში. რკინიგზელებმა მეტოქეს პრესინგი შესთავაზეს და ყოველი მეორე-მესამე გადაცემა წითელმაისურიანი ფეხბურთელის მიერ იშლებოდა.

„დინამოს“ ერთადერთი ხსნა თითქოს შორეულ დარტყმებში იყო, თუმც სტუმრებს ამ მხრივაც არ გაუმართლათ — ახალაიას და სილაგაძეს მიზანმა უმტყუნა.

და კიდევ. 85-ე წუთზე შეცვლაზე შესულ ლევან მელქაძეს ყისმათი რომ ჰქონოდა, მეკარის ბაქანზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი გოლის გატანის შანსს ხელიდან არ გაუშვებდა.

ამ მომენტიდან წამები გავიდა და რკინიგზელთა თავკაცმა ზაურ სვანაძემ ნერვები ვერ მოთოკა — მსაჯთან ხმამაღალი შელაპარაკება სათადარიგოთა სკამის დატოვებად დაუჯდა.

**საუკეთესო**

**ზურაბ მამალაძე**



*ზურაბმა საიმედოდ ითამაშა. გამოსვლებზეც თავდაჯერებული იყო და ერთი-ორჯერ სახიფათო დარტყმულიც გააუვნებლა. მამალაძეს სტიმულიც გვარიანი ჰქონდა — ის ხომ „დინამოს“ საკუთრებაა და „ლოკომოტივში“ განათხოვრებით თამაშობს.*

გორი. 24 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 300 (ტევადობა 8 250)

## დილა 0:2 თბილისი

0:1 ოდიკაძე (23პ), 0:2 ჭელიძე (29)

**დილა:** სოლოლაშვილი, ლომიძე, რაზმაძე, ბალაშვილი, ხანიშვილი, მასურაშვილი (ბ. შელია 39), ჯობაძე (ქარქუზაშვილი 61), სულთანიშვილი, მალანია (თომაშვილი 70), შატაკიშვილი, ძოძუაშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; ოლგესაშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**თბილისი:** ნაჭყებია, ლოლაძე (ბ. ჟღენტი), სიდამონიძე, გოგიტა გოგუა, ელიავა, გ. კვარაცხელია, ჯიქია (ლონდაძე 86), გ. ნოდ. ჭელიძე, მიქიაშვილი, აფციაური, დ. ოდიკაძე
*სათადარიგო:* შეყრილაძე
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი (ორივე ქუთაისი); მ. მალალურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. ბარქაია

# მწიფე ვაშლების დღეს ნაყოფი თბილისს ერგო

**დავით თავართქილაძე გორიდან**

**გორელებმა** „თბილისი“ თასის მეოთხედფინალიდან გამოაგდეს და „დილაც“ ახლა მთლიანად თასზეა გადართული — 5 მაისს შინ „დინამოსთან“ ელის ნახევარფინალის საპასუხო მატჩი — დაახლოებით ასეთი იყო მატჩის ლაიტმოტივი.

„თბილისი“ შესუსტებული შემადგენლობით ესტუმრა სტალინის სამშობლოს, თუმც ასევე შემადგენლობაშეთხელებულ მასპინძელთაგან დიდ წინააღმდეგობას ვერ წააწყდა და წონიანი სამი ქულაც წამოიღო სახლში — „თბილისი“ ჩემპიონატზე იბრძვის, „დილა“ თასზე და გუნდებმაც თითქოს ხელი-ხელს დაჰკრესო. აქ იმას როდი ვგულისხმობთ, რომ თამაში ჩაწყობილი იყო, უბრალოდ, ვითარებამ მოიტანა, ასეთი მატჩი რომ გამოცხვა.

თუმც არსებობს „ფეარ პლეი“ და მისი ათი მცნება — „სამართლიანი თამაშის“ ერთ-ერთი პრინციპი ისაა, რომ სტადიონზე მისულ გულშემატკივარს პატივი უნდა სცე და ბოლომდე დაიხარჯო.

..სტუმრებმა თავიდანვე შეუტიეს, მაგრამ პირველი სახიფათო იერიში „დილასი“ იყო — მერაბ ძოძუაშვილის პასი ქრისტეფორე შატაკიშვილმა ვერ შეიშნო და ხელსაყრელი პოზიციიდან უხეიროდ დაარტყა.

გიორგი დევდარიანის გუნდი მოედნის ცენტრს მალე სრულად დაეპატრონა, თბილისელები მართლაც მოხდენილად აგორებდნენ ბურთს. დავით ოდიკაძის ფლანგურ ჯარიმაზე გოგიტა გოგუამ თავურით სცადა გატანა, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა. ცოტაც და, გივი კვარაცხელიამ გიორგი ჭელიძეს გაუჭრა პასი, მან კი ოდიკაძე რამაზ სოლოლაშვილს შეატოვა, მაგრამ თბილისელს მიზანმა უმტყუნა.

ერთი სიტყვით, გოლი გორის ვაშლივით მწიფდებოდა და მოსახდენიც მოხდა — კვარაცხელიას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ოდიკაძემ შეაგდო.

მალე საქმე „თბილისის“ მეკარესაც გამოუჩნდა: დავით ჯობაძემ ფლანგური ჯარიმა მოულოდნელად შორეული ცხრიანისკენ დაგეზა, მაგრამ რევაზ ნაჭყებია ჰაერში კარგად გაიწვართა და კუთხურზე მოიგერია ბურთი.

ერთბურთიანი უპირატესობა გულს საგულეს ვერ ჩაგიდებს, ჰოდა, „თბილისიც“ არ დაოკებულა. თორნიკე აფციაურმა სოლო რეიდი იკისრა, ჭელიძეს ჩინებული პასი მიართვა და 0:2.

„დილამ“ ერთხელაც გაიბრძოლა: ძოძუაშვილი მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, ბურთი ცაციაზე გაისწორა და ხარიხას შეაწყვიტა.

მეორე ტაიმისთვის ყველაფერი დამთავრებული იყო. მინდორზე ოფლი კი იღვრებოდა, მაგრამ ჟინი არ ჩანდა. გორელთაგან შატაკიშვილს შეეძლო ეხეირა, თბილისელთაგან გოგუას და ოდიკაძეს — ეგ იყო და ეგ.

**საუკეთესო**

**გივი კვარაცხელია**



*გივი კვარაცხელიამ 11-მეტრიანი მოინაგრა და, თუ სადმე საომარი იყო, ყველგან გაიმარჯვა — თბილისელთა ღონიერი საყრდენი ნახევარმცველი მოედნის ცენტრში მეტოქეთ თითქოს შიშის ზარს სცემდა...*

# იმედი შალამბერიძემ არ მოუშალა

თბილისი. 25 აპრილი. 16 საათი. ოლიმპიკი. 200 (ტევადობა 1 000)

## სპარტაკი 2:1 ბათუმი

| | |
|---|---|
| 1:0 კიკნაძე (19), 1:1 დარჩიძე (52), 2:1 შალამბერიძე (90) | |
| სპარტაკი: დევაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ა. იმნაიშვილი, ჩიკვილაძე, მჭედლიშვილი, ლ. ვაშაკიძე (ჯანგიძე 9), კიკნაძე, კვერენჩხილაძე (კ. შალამბერიძე 63), მუშკუდიანი, მაღლაფერიძე<br>*სათადარიგონი:* კანკაძე; ტაბიძე, ს. შელია, პაპუაშვილი<br>მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა | ბათუმი: ქვაჩახია, დარჩიძე, ბეგლარ თედორიძე, გუშარაშვილი, მანჩხავა, მახარაძე, გვიანიძე, სირბილაძე, დარჩიძე, გალოგრე, ფირცხალაიშვილი (ბესიკ თედორაძე 83), ქაცარავა<br>*სათადარიგონი:* ი. ბალაძე; დუმბაძე, მ. სალუქვაძე, ბეჟანიშვილი<br>მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი |
| გაფრთხილება: ფირცხალაიშვილი (52), გუშარაშვილი (80), ჯანგიძე (85) | |
| მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ზ. ანიაშვილი (გორი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე | |

**პაატა კვანტალიანი**

**მატჩის** წინ იმგვარი ვითარება იყო, „სპარტაკს" უპრობლემოდაც შეეძლო სამი ქულის აღება, რადგან „ბათუმი" თბილისში ვერ მოდიოდა. თუმც ჩამოვიდნენ ზღვისპირელები და დიდი ომიც აუტეხეს უმაღლესში დასარჩენად მებრძოლ სპარტაკელებს. მთლიანობაში „ბათუმმა" თითქმის ყველაფერში დაჯაბნა მეტოქე და ეგებ არც იმსახურებდა მარცხს. სპარტაკელები ბევრს სცოდავდნენ, ბევრჯერ უხეშად შეცდნენ, მაგრამ წუთითაც არ დავიწყებიათ რომ თამაში საფინალო სასტვენამდეა და აკი გაუმართლა ხურცილავას გუნდს — შეცვლაზე შესული კობა შალამბერიძის ეფექტურმა გოლმა რამდენიმე წამით დაასწრო არბიტრის საფინალო სასტვენს.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. მე-5 წუთზე ვაშაკიძემ ჯარიმისას ბურთს ამოჰკრა და გმინვით დაეცა ბალახზე კუნთ დაჭიმული. სპარტაკელი ექიმებმა ორ წუთში დააბრუნეს მოედანზე, მაგრამ ერთი-ორი გაქცევის შემდეგ საბოლოოდ გაიყვანეს მოედნიდან. სპარტაკელთა მორიგი საჯარიმო დარტყმა გიორგი კიკნაძემ ითავა და... 18 მეტრიდან ჩაუხვია ბურთი შორეულ კუთხეში კარის ხაზზე გაშეშებულ ქვაჩახიას.

გოლმა მასპინძელი დაამშვიდა, სტუმარი კი გამოფხიზლდა და სირბილაძეს ერთი-ორჯერ რომ ემარჯვა ანგარიშსაც გაათანაბრებდა. გამორჩევით ტაიმის ბოლო წუთზე შესცოდა ბათუმელმა, ქაცარავას გამოზომილი პასისას ცარიელ კარს რომ აცილა ექვსიოდე მეტრიდან. მეორე ტაიმის დასაწყისი კი მანჩხავასი იყო. ბათუმელთა მარცხენა ნახევარმცველმა შვიდწუთიან მონაკვეთში სიქა გააცალა მეტოქეებს: ოთხჯერ გაიქცა ფლანგზე და ოთხივეჯერ საგოლე სიტუაცია მოჰყვა მის პასებს, მაგრამ სირბილაძემ ორჯერ ასპროცენტიანი შანსი გაფლანგა, ერთხელ კი ფირცხალაიშვილმა ვერ იყოჩაღა. თუმც მანჩხავამ თავისი მაინც გააკეთა და 52-ე წუთზე საჯარიმოში შერბენილ დარჩიძეს თავზე დაასვა ბურთი — მანამდე რამდენჯერმე ნაყოჩაღევი აკაკი დევაძე უშანსოდ დარჩა: 1:1

„ბათუმს" გოლის მერეც არ გასჭირვებია ნაპრალების მიგნება მეტოქის დაცვაში, რაც პრობლემას არ წარმოადგენდა და გაუჭირდა ხურცილავას გუნდს. 76-ე წუთზე დონდოლაძეს ჩაურბინა ფირცხალაიშვილმა და დარჩიძე დატოვა კარგ პოზიციაში. მასპინძლები აკაკი დევაძის ოსტატობამ იხსნა.

ვერმოგების შემთხვევაში „სპარტაკს", ფაქტობრივად, ვერაფერი იხსნიდა უმაღლესიდან გავარდნისგან, ჰოდა, ბეწვის ხიდზე იარეს ახალგაზრდა თბილისელებმა მატჩის ბოლო წუთამდე, თანაც ხურცილავას მოედანზე შეშვებული ჰყავდა იღბლიანი კობა შალამბერიძე, რომელმაც გადამწყვეტ მომენტამდეც იბრძოლა და ორჯერ მაღლაფერიძესაც შეუქმნა საგოლე შანსი. საფინალო სასტვენის წინ კი შელამბერიძემ ძალზე მნიშვნელოვანი, ეგებ უმაღლეს ლიგაში დამრჩენი გოლი შეაგდო: სწრაფმა ნახევარმცველმა კარიდან ოციოდ მეტრში მარჯვენა შეაგება ბურთს და სიხარულისგან მაისურა შემოძარცვული მამისტოლა აკაკი დევაძეს გადაეხვია.



„სპარტაკის" გამარჯვებას, რა თქმა უნდა, აკაკი დევაძემაც შეაშველა ხელი

გაგვიმართლა, სასწაულად მოვიგეთ, მართლაც ზღაპარივით დასრულდა თამაში და უმაღლესში დასარჩენად ცდას არ დავაკლებთო, თქვა მატჩის შემდეგ მურთაზ ხურცილავას თანაშემწემ ნოდარ აკობიამ. ბათუმელთა დამრიგებელმა ვალერიან ჩხარტიშვილმა კი ეს გვითხრა: შეიძლებოდა, ეს მატჩი არც გამართულიყო, რაღაც-რაღაც ხელისშემშლელი ფაქტორები გამოგვიჩნდა, მაგრამ ჩვენ პოლიტიკა არაფერში გვაინტერესებს, კარგია, რომ ფეხბურთმა გაიმარჯვა. თბილისში ჩამოვედით და ბოლომდე დავიხარჯეთ. ჩემს ფეხბურთელებს გასატანი ბევრი ჰქონდათ, ელემენტარული ყურადღება რომ გამოეჩინათ, ასე არ დავისჯებოდით.

### საუკეთესო



*კობა შალამბერიძე*

*სეზონში უმნიშვნელოვანესი გოლი „სპარტაკისთვის" კობა შალამბერიძემ გაიტანა. „ბათუმთან" ვერმოგების შემთხვევაში „სპარტაკი" ფაქტობრივად ემშვიდობებოდა უმაღლეს ლიგას, ამიტომაც ეს არ იყო მხოლოდ ერთი, კონკრეტული მატჩის მომგები გოლი. მატჩის საუკეთესო მხოლოდ 27 წუთს იყო მოედანზე, თუმც სხვათაგან მონდომებით და შეუპოვრობით გამოირჩეოდა.*

ოზურგეთი. 24 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური. 200 (ტევადობა 8 000)

## მერცხალი 0:4 ტორპედო

| | |
|---|---|
| 0:1 გამეზარდაშვილი (12), 0:2 ბაბუნაშვილი (30), 0:3, 0:4 დავითაშვილი (57, 70) | |
| მერცხალი: გია გოგუა, კვირკვია, ებრალიძე (ჯანელიძე 48), მჟავანაძე (ხომაშურიძე 46), მებონია, გ. წივწივაძე, ბართია, მოწყობილი (ოქიტაშვილი 64), სიამაშვილი, მიქაბერიძე, თორია<br>*სათადარიგონი:* როხაძე; უ. ჩხაიძე<br>მწვრთნელი: აკაკი ათუაშვილი | ტორპედო: სტურუა, ლ. ჭელიძე (მემარნიშვილი 46), მახვილაძე, ს. თოდუა, გამეზარდაშვილი, ბაბუნაშვილი, კოშკაძე (ნერგაძე 46), დ. ბოლქვაძე (ნ. ნადირაძე 76), ჭინჭარაული, ხუციშვილი, დავითაშვილი<br>*სათადარიგონი:* გ. გაბელია; ადუაშვილი, გ. ჩხეტიანი, ლაღაძე<br>მწვრთნელი: ოთარ გაბელია |
| მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე, ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე | |

# მერცხალს აცვია ფრაკი, ცხოვრება არის ...

**გოჩა ჯანაშია** ოზურგეთიდან

**ეს იყო** ალბათ ყველაზე უინტრიგო მატჩი ამ ჩემპიონატში. ქვეექვსეულის ლიდერი ბედსშეგუებულ და ფრთებჩაქნეულ „მერცხალს" სტუმრობდა. საცოდაობაა გურულების ცქერა. ადრე ცოტაოდენი ბრძოლის სურვილი მაინც ეტყობოდათ, მაგრამ ცარიელ-ტარიელი ენთუზიაზმის ინერციასაც ზღვარი აქვს და იმერულ კლუბს ამ დღეს მეტოქე, ჩათვალეთ, არც ჰყოლია.

„მერცხალი" უკვე ოფიციალურად დაემშვიდობა უმაღლეს ლიგას და ეს მას შემდეგ, რაც მეტოქისგან ოთხი ბურთი მიიღო. ორი ამდენის გატანააც მართებდათ სტუმრებს, მაგრამ ეს იკმარეს. ამ ოთხიდან ორი სულიკო დავითაშვილმა გაიტანა, რომელიც მთავარმეგოლეთა დავაში დაწინაურების სურვილით ირჯებოდა და საამისოდ უკეთეს მომენტს, აბა, სად იპოვიდა.

სტუმართა თამაშიც „აბრეზაზე" იყო აგებული, თუმც პირველ ტაიმში გოლები სხვებმა გაიტანეს. პირველივე წუთებიდან დაცხა გოგუას კართან, მაგრამ გოლი „მხოლოდ" მეთორმეტეზე გავიდა. კოშკაძის ჩაწოდებულ კუთხურს ტანმაღალი გამეზარდაშვილი თავით ჩაუწვა და ანგარიში იოლად გახსნა.

რაც ამის შემდეგ ხდებოდა, ფეხბურთს ნაღდად ვერ უწოდებდა კაცი. „ტორპედო" ვარჯიშობდა, უფრო სწორად, გატანის ელემენტებს ამუშავებდა. „მერცხალი" კი, ლამის იყო, იდგა და ცენტრამდე ბურთის ამოტანა უჭირდა.

მეორე გოლისას დავითაშვილი გამოირჩა. გატანით კი არ გაუტანია, მაგრამ ისე ჭკვიანურად გაატარა ბურთი, რომ „ტორპედოს" კაპიტან შოთა ბაბუნაშვილს გატანის გარდა არაფერი დარჩენოდა.

თავად „აბრეზას" კი ვერა და ვერ გაჰქონდა. ხან პასი უგვიანდებოდა, ხანაც ცაციათი ვერ მარჯვობდა. ტაიმის ბოლოს ზედიზედ ორჯერ ჩინებული შანსიც ებოძა, თუმც ჯერ გოგუას, შემდეგ კი უზუსტობას ვერაფერი მოუხერხა.

შესვენების შემდეგ კი მოსახდენი მოხდა. შეცვლაზე შესულმა მემარნიშვილმა დავითაშვილს „გაუგო", სულიკომ მისი ჩაწოდებული ბურთი მკერდით გაიჩერა და აუღელვებლად გაიტანა.

მეორე გოლი ჩემპიონატის ბომბარდირთაგანმა ბოლქვაძესთან კედლის გათამაშებით გაჩარხა. სამ მცველთან ჭიდილში როგორღაც მოახერხა ბურთის შენარჩუნება, შემოტრიალება და ზუსტად დარტყმაც.

„მერცხალის" საგოლე მომენტი რა მოსატანია, მაგრამ ერთი იყო და ისიც არ ვთქვათ?! 78-ე წუთზე „ტორპედოს" საჯარიმოს წინა ხაზთან ბართიამ ისეთი დაარტყა, გატანას არაფერი უკლდა, აქამდე მთვლემარე სტურუამ კი შორეულ ცხრიანში მფრინავ ბურთს დიდებული ნახტომი შეაგება. ეს ეპიზოდი ლამაზი გამოდგა, თამაშზე კი მეტი რა მოგახსენოთ.

ფოთი. 24 აპრილი. 16 საათი. ფაზისი. 400 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 1:0 მცხეთა

| | |
|---|---|
| 1:0 ქუთათელაძე (16) | |
| კოლხეთი: ბათიაშვილი, ჯ. შალამბერიძე, ჭითანავა, თაყაძე (კრასოვსკი 83), ნარსია, ლაღანიძე (კალანდაძე 74), წურწუმია, აკობია, მარგალიტაძე, ზ. ქუთათელაძე (ტყებუჩავა 80), გაბედავა<br>მწვრთნელი: დავით მახარაძე | მცხეთა: ცინაძე, მგელაძე, ჯაფარიძე, რაქვიაშვილი, გვარუციძე (ბ. ნოზაძე 55), კახნიაშვილი (თურთუხია 70), ბესარაშვილი, ავალიანი, ქებაძე, ხორავა, გ. თოდუა (კიკალიშვილი 62)<br>მწვრთნელი: ჯანო ფოფხაძე |
| გაფრთხილება: აკობია (21), მგელაძე (40); გაძევება: ჯაფარიძე (70) | |
| მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი | |

# ლაპარაკი! მცხეთას მიკროფონი გამოურთეს

**გიორგი მურვანიძე** ფოთიდან

**დედა რა ვნახე** თამაში როგორ იქნებოდა, მაგრამ პრინციპული კი იყო. მასპინძლები უკანმოუხედავად უტევდნენ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ბურთს მეტოქეზე მეტ ხანს ფლობდნენ. თავიდან მოედნის ცენტრი გაიტკეპნა, მერე კი ფოთელებმა იძალეს, თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს და მე-16 წუთზე გაიტანეს კიდეც: თაყაძის ჩაწოდება, ქუთათელაძის თავური და ცხრიანი. მცხეთელები ანგარიშის გასათანაბრებლად დაიძრნენ, მაგრამ ბედად გადაურჩნენ გოლს. მასპინძლებმა სტუმრები კონტრშეტევაზე დაიჭირეს და ქუთათელაძე შეატოვეს ცინაძეს. ივარგა მეკარემ და ქუთათელაძეს მეორე აღარ გაატანინა.

მცხეთელთაგან თავდაუზოგავად მოთამაშე თოდუა გამოირჩეოდა, ფოთელთაგან კი თაყაძე, სტუმართა მცველებს გამუდმებით რომ აწიოკებდა ფლანგური გარღვევებით და ჩაწოდებებით, მაგრამ მის საქმეს გამგრძელებელი არ გამოუჩნდა და ტაბლოსაც 1:0 შერჩა.

ინერტულად მოთამაშე მცხეთელებმა მსაჯთან კამათში იაქტიურეს და მისგან სიტყვიერი გაფრთხილებებიც მიიღეს. 70-ე წუთზე კი მსაჯმა ველარ მოითმინა და ჯერ ყვითელი, მერე კი წითელი ბარათი უჩვენა მცხეთელ მცველ ჯაფარიძეს. დარჩენილ დროში ფოთელებმა რამდენიმე ნახევარმომენტი შექმნეს, მათი უპირატესობაც თვალსაჩინო გახდა, მაგრამ ანგარიში ძველი დარჩა.

# არსენალის პრემიერა
## ინგლისმა თავი დაიდგა

### ინგლისი
**პრემიერლიგა. XXXV ტური**

**მანჩესტერ იუნ. 0:1 ლივერპული**
0:1 მერფი (63პ)
მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, გ. ნევილი, ვ. ბრაუნი, მ. სილვესტრი, ოში (სოლსკიაერი 65), ფლეტჩერი, როი კინი, ფ. ნევილი (ბელიონი 82), გიგზი, საჰა, კ. რონალდო
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ლივერპული: დუდეკი, ფინანი (შმიცერი 60), ანშო, ჰიიპია, კარაგერი, მერფი, ჯერარდი, ჰამანი, რიისე, ოუენი (ჰესკი 84), კიუელი (შეირუ 81)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: რონალდო, სილვესტრი, მერფი
მსაჯი: რაილი
67 647 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:2 ასტონ ვილა**
1:0 ჟობი (41), 1:1 ბერი (45), 1:2 კრუჩი (89)
მიდლსბრო: შვარცერი, მილსი (ნემეტი 83), ეჰიოგუ, რიგოტი, კუდრუ (დოუნინგი 87), მენდიეტა, ბოატენგი, ზენდენი, ჟუნინიო პაულისტა, მაკარონე, ჟობი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, რ. იონსენი, ჯ. სამუელი, სოლანო, ჰიცლშპერგერი, გ. მაკანი, ბერი (უიტინგემი 53), ვასელი (დილანი 58), პ. ანხელი (კრუჩი 74)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ბერი
გაძევება: სოლანო (57)
მსაჯი: ბარბერი
31 322 მაყურებელი

**ფულემი 2:0 ჩარლტონი**
1:0 მალბრანკი (18პ), 2:0 დევისი (64)
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, გომა, პირსი, ბოკანეგრა, ლეგვინსკი, მალბრანკი, ჯეტუ, პეტა (შ. დევისი 46), ბოა მორტე (ინამოტო 76), კ. ჯონი (მაკბრაიდი 69)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ჩარლტონი: კაილი, იანგი, ჯ. ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, კ. პაული (პერი 72), გ. სტიუარტი (დი კანიო 72), ჰოლანდი, კ. იენსენი, კონჩესკი, იუელი, კ. კოული (ჯ. იოჰანსონი 72)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ვოლცი, პაუელი
მსაჯი: მესიასი
16 585 მაყურებელი

**ევერტონი 0:1 ბლექბერნი**
0:1 სტიდი (81)
ევერტონი: მარტინი, პისტონე, იობო, ვეირი, ნეისმიტი (ანსუორთი 63), უოტსონი, ლინდეროტი, გრავესენი (ნიარკო 23), კილბეინი, რაძინსკი (მაკფადენი 79), რუნი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, ლ. ამორუზო, შორტი, გრეი, დუგლასი, ფლიტკროფტი, თუგაი, ანდრესენი (ემერტონი 75), ენდი კოული (გალაჰერი 86), სტიდი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ანდრესენი, ნაილი, თუგაი, დუგლასი
მსაჯი: დოუდი
38 884 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:2 ბოლტონი**
1:0 პახარსი (21), 1:1 ნოლანი (77), 1:2 დევისი (78)
საუთჰემპტონი: ნიემი, ტელფერი, ჰიგინბოთემი, ლუნდეკვამი, ლე სო (ჰალი 10), პახარსი (ფ. ფერნანდესი 79), ფოლი, დელაპი (ა. სვენსონი 48), პრატონი, ფილიპსი, ბიტი
მწვრთნელი: პოლ სტაროკი
ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნესი (ჰანტი 46), ნგოტი, ტომე, ჩარლტონი, ჯორკაეფი (იანაკოპულოსი 77), კამპო, ნოლანი, ოკოჩა, პედერსენი (ფრანდსენი 50), კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ფილიპსი, ტელფერი, ფოლი, სვენსონი, ნოლანი, კამპო, ტომე
მსაჯი: დანი
31 712 მაყურებელი

**ლესტერი 1:1 მანჩესტერ სიტი**
0:1 ტარნატი (45), 1:1 სკოუკროფტი (66)
ლესტერი: უოქერი, ფ. სინკლერი (გაპი 64), ჰითი, დაბიზასი, ტეტჩერი, სკოუკროფტი, იზეტი, ფროინდი (ნალისი 71), კანერო, ლ. ფერდინანდი (მ. ბენტი 46), დიკოვი
მწვრთნელი: მიკი ადამსი
მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, ჟიხაი, დისტინი, რ. დანი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, ტ. სინკლერი, ანელკა (სიბიერსკი 90), ვანჩოპე
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: ბენტი, ვანჩოპე
მსაჯი: დურსო
31 457 მაყურებელი

**ლიდსი 1:2 პორტსმუთი**
0:1 აიეგბენი (9), 0:2 ლუა ლუა (51), 1:2 ჰარტი (83პ)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, რადებე (ლენონი 71), ს. კოლდუელი, დაბერი, ჰარტი, მატეო (მაკფაილი 46), პენანტი, საიმონ ჯონსონი (ბარმბი 59), მილნერი, ა. სმიტი
მწვრთნელი: ედი გრეი
პორტსმუთი: ჰისლოპი, დე ზეური, სტეფანოვიჩი, პრიმუსი, მეთიუ ტეილორი, ფეიუ, ქვოში, სტოუნი (ჰარპერი 80), სმერტინი, ლუა ლუა (შერინგემი 74), აიეგბენი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: კოლდუელი, კელი, სმერტინი, დე ზეუვი
მსაჯი: რენიე
39 273 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:2 ვულვზი**
0:1 კამერონი (6), 1:1 ფორსელი (34), 2:1 მორისონი (41), 2:2 კორტი (75)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, მარტინ ტეილორი (ს. ჯონი 83), კანინგემი, კლეპამი, აპსონი, კლემენსი, დ. ჯონსონი, ლაზარიდისი (ბ. ჰიუზი 61), სევიჯი, მორისონი, ფორსელი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ვულვერჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ლუჟნი (განია 60), ბატლერი, ოკორონკვო, ნეილორი, ა. კამარა, კამერონი (კ. მილერი 88), ინსი, კენედი (ა. რაე 83), ნიუტონი, კორტი
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
გაფრთხილება: სევიჯი
მსაჯი: დინი
29 494 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:1 ჩელსი**
0:1 კოული (5), 1:1 ამეობი (44), 2:1 შირერი (48)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, ვუდგეიტი (ბრამბლი 78), ბერნარი, ამბროზი, სპიდი, ვიანა, რობერი, შირერი, ამეობი (ბრიჯისი 85)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ჩელსი: ამბროზიო, მელხიოტი, დესაი (ჰათი 75), ტერი, ბრიჯი, ჯერემი, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული, კრესპო (ჰასელბაინკი 71), გუდიონსენი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ვიანა, ჰათი, ჰასელბაინკი
მსაჯი: სტაილზი
52 016 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:2 არსენალი**
0:1 ვიეირა (3), 0:2 პირესი (35), 1:2 რედნაპი (62), 2:2 კინი (90პ)
ტოტენჰემი: კელერი, ს. კელი (პოიეტი 79), ე. გარდნერი, კინგი, ტარიკო (ბუნიევჩევიჩი 90), მ. ბრაუნი, ს. დევისი, ჯეკსონი (დეფო 46), რედნაპი, კანუტი, რობი კინი
მწვრთნელი: დევიდ პლიტი
არსენალი: ი. ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, ჟილბერტო სილვა, ვიეირა, პარლოუ (ედუ 67), პირესი, ანრი, ბერხკამპი (რეიესი 80)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: რედნაპი, ლემანი
მსაჯი: ჰალსი
36 097 მაყურებელი

ბოლო წამებზე დანიშნული პენალტით „არსენალმა" ორი ქულა დაკარგა „ტოტენჰემთან" ლონდონურ დერბიში, მაგრამ დიდად არც უნაღვლია — „უაით ჰარტ ლეინზე" აღებული ქულით „მეთოფენი" პრემიერლიგის ჩემპიონები გახდნენ. ეს „არსენალისთვის" პრემიერლიგის მესამე ჩემპიონობაა, საერთოდ კი ინგლისის ჩემპიონატი ამ გუნდმა მეცამეტედ მოიგო. ამასთან „არსენალი" კვლავაც დაუმარცხებელი რჩება და ჩემპიონობის გაფორმების მერე თუ არ მოეშვა, „პრესტონის" 1889 წლის რეკორდს გაიმეორებს, რომელმაც ჩემპიონატი წაუგებლად დაამთავრდა.

„ლივერპული" კვლავაც აგრძელებს ბრძოლას მეოთხე ადგილისთვის. „ოლდ ტრეფორდზე" სტუმრობა ჟერარ ულიეს გუნდმა სამი ქულით დაამთავრა, რაც კლუბისთვის ყველაზე ხმაურიან გასვლით გამარჯვებად იქცა ამ სეზონში.

ლივერპულელთა ერთადერთი გოლი დენი მერფიმ პენალტის ნიშნულიდან გაიტანა: საჯარიმოში შეჭრილი სტივენ ჯერარდი გარი ნევილმა მოცელა. ჯერარდი, რომელმაც წინა ტურში აცილა პენალტი, ბურთთან არ მისულა, არც მაიკლ ოუენი, რომელმაც წლეულს ასევე გააფუჭა პენალტები. ასე რომ, მერფიმ ივარგა.

„მანჩესტერი" უგერგილოდ დაიზლაზნებოდა, თუმცა თამაშის ხსნა მაინც შეეძლო, განსაკუთრებით, მე-80 წუთიდან, როცა ზედიზედ შექმნა სახიფათო მომენტები. რაიან გიგზის დარტყმულმა ბურთმა ერთი არ იკმარა და ზედიზედ ორ ძელს მოხვდა.

მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში ხილულად ერთი თვეა ჩაერთო „ასტონ ვილა", რომელმაც კვლავ გაიმარჯვა, ამჯერად მიდლსბროში. ამ თამაშისთვის „ბორო" ესპანურ მალაგაში ემზადებოდა. გუნდი ისედაც უეფას თასზეა ლიგის თასის მოგების გამოისობით და ამიტომ კარგ ხასიათზე გამოდის ხოლმე სათამაშოდ. თავის მხრივ, რაც კი უმუშავია, „ვილას" მწვრთნელ დევიდ ოლირის ყოველთვის გაუყვანია თავისი გუნდი ევროთასებზე და ამ სეზონშიც ასე იქნება, ოღონდ, რომელ თასზე, ჯერ უცნობია.


REUTERS
არსენ ვენგერის „არსენალზე" ჩემპიონობა ალალია

მოკლედ, „ბორო" ჟოზეფ-დეზირე ჟობის გოლით დაწინაურდა, ოღონდ მხოლოდ 4 წუთით — ტაიმის ბოლო წუთზე გარეთ ბერიმ გაათანაბრა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ვილელი ნოლბერტო სოლანო ჯორჯ ბოატენგს შეასკდა და მსაჯ ბარბერისაგან წითელი ბარათი მიიღო. ამის შემდეგ „ბოროს" სადავეები ეპყრა, მაგრამ ოლირიმ მაინც გამოაძვრინა მოედანზე თავისი გამზდარი და აწოწილი თავდამსხმელი პიტერ კრუჩი, პრემიერლიგის ყველაზე მაღალმა ფეხბურთელმა კი სწორედ ბოლო წუთზე მოპარა სამი ქულა მასპინძლებს.

მეოთხე ადგილის საქმეში მთავარ კლუბად კი მაინც „ნიუკასლი" რჩება, რომელიც გუშინ „ჩელსის" მასპინძლობდა და ალან შირერის გოლით დაამარცხა.

„სენტ ჯეიმსიზ პარკზე" ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ჯო კოულმა ფრენკ ლამპარდის პასით გაიტანა. მასპინძლებს გასათანაბრებლად, მერე კი წინ გასაჭრელად ხუთწუთიანი მონაკვეთი ეყოთ, ოღონდ ამ ხუთ წუთში შესვენებისთვის განკუთვნილი 15 წუთი არ გვიანგარიშია.

ამასობაში კი „ბლექბერნი", რომელმაც წინა კვირაში დაატყო, თუ ასე გაგრძელდა, გავვარდებით, ზედიზედ იგებს თამაშებს. ამჯერად, გრემ სუნესი „ევერტონს" ეწვია და ყრმა მეგოლის, ჯონ სტიდის თავურით დაამარცხა მასპინძლები. „ბლექბერნი" მაღლა აცოცდა, ამისთვის იბრძვის ბედკრული „მანჩესტერ სიტიც", რომელიც ტარნატის ჯარიმით უგებდა სტუმრად „ლესტერს", თუმცა ვერ მოიგო და წაგებასაც გადაურჩა, როცა 82-ე წუთზე დევიდ ჯეიმსმა პენალტი აუღო ძველ სიტელს, პოლ დიკოვს.

**ირაკლი გამყრელიძე**

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 29 |
| შირერი (ნიუკასლი) | 22 |
| საჰა (ფულემი/მანჩესტერ იუნ.) | 20 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 18 |

**XXXVI ტური**
1 მაისი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | — | ბირმინგემი |
| ასტონ ვილა | — | ტოტენჰემი |
| ბლექბერნი | — | მანჩესტერი |
| ბოლტონი | — | ლიდსი |
| ჩარლტონი | — | ლესტერი |
| ჩელსი | — | საუთჰემპტონი |
| ლივერპული | — | მიდლსბრო |
| სიტი | — | ნიუკასლი |
| პორტსმუთი | — | ფულემი |
| ვულვზი | — | ევერტონი |

### პირველი დივიზიონი
**XLIV ტური**

**ბარნსლი 1:0 დერბი ქაუნთი**
1:0 ბრენჩი (42)
**ქოვენთრი 1:1 როტერჰემი**
1:0 მორელი (56), 1:1 ბატლერი (75)
**ქრიუ 2:3 კრისტალ პალასი**
0:1, 0:2 ჯონსონი (30, 36), 1:2 ეშტონი (47), 1:3 ჯონსონი (56პ), 2:3 ლანტი (73)
**იფსვიჩი 1:2 ნოტინგემი**
0:1 ჯონსონი (12), 1:1 ბოუდიჩი (34), 1:2 ჯონსონი (55)
**მილუოლი 0:1 რედინგი**
0:1 გოტერი (16)
**პრესტონი 2:2 კარდიფი**
1:0 ლუისი (15), 2:0 მაკკენა (46), 2:1 კემპბელი (51), 2:2 გაბიდონი (56)
**სტოკი 0:2 ვესტ ჰემი**
0:1 კონოლი (39), 0:2 ჰერვუდი (59)
**უოლსოლი 0:1 შეფილდ იუნ.**
0:1 ლესტერი (49პ)
**უოტფორდი 1:2 ნორვიჩი**
0:1 ფრენსისი (29), 0:2 მაკკენზი (48), 1:2 ბლიზარდი (78)
**ვესტ ბრომვიჩი 2:0 ბრედფორდი**
1:0 ჰორსფილდი (55), 2:0 ჰიუზი (60)
**უიგანი 0:0 სანდერლენდი**
**უიმბლდონი 1:2 ჯილინგემი**
1:0 სმიტი (52), 1:1 ჰესენტალერი (62), 1:2 ეგიმენგი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 43 | 26 | 10 | 7 | 73:35 | 88 |
| ვესტ ბრომვიჩი | 43 | 25 | 11 | 7 | 63:35 | 86 |
| სანდერლენდი | 43 | 20 | 12 | 11 | 58:43 | 72 |
| იფსვიჩი | 44 | 21 | 8 | 15 | 82:70 | 71 |
| ვესტ ჰემი | 44 | 18 | 16 | 10 | 62:44 | 70 |
| უიგანი | 44 | 18 | 16 | 10 | 59:43 | 70 |
| კრ. პალასი | 44 | 20 | 10 | 14 | 70:59 | 70 |
| შეფილდი | 44 | 20 | 9 | 15 | 61:52 | 69 |
| რედინგი | 44 | 19 | 10 | 15 | 54:56 | 67 |
| მილუოლი | 44 | 17 | 15 | 12 | 54:46 | 66 |
| კარდიფი | 44 | 17 | 12 | 15 | 66:56 | 63 |
| ქოვენთრი | 44 | 15 | 14 | 15 | 60:51 | 59 |
| სტოკი | 43 | 16 | 11 | 16 | 52:54 | 59 |
| პრესტონი | 44 | 15 | 13 | 16 | 64:65 | 58 |
| ნოტინგემი | 44 | 13 | 15 | 16 | 58:58 | 54 |
| უოტფორდი | 44 | 14 | 12 | 18 | 53:64 | 54 |
| ბარნსლი | 44 | 13 | 14 | 17 | 59:72 | 53 |
| ქრიუ | 44 | 14 | 10 | 20 | 55:62 | 52 |
| როტერჰემი | 44 | 12 | 15 | 17 | 48:58 | 51 |
| ჯილინგემი | 44 | 14 | 8 | 22 | 46:62 | 50 |
| დერბი | 44 | 12 | 13 | 19 | 51:66 | 49 |
| უოლსოლი | 44 | 12 | 12 | 20 | 42:62 | 48 |
| ბრედფორდი | 44 | 10 | 6 | 28 | 38:66 | 36 |
| უიმბლდონი | 44 | 7 | 4 | 33 | 39:88 | 25 |

### მეორე დივიზიონი
**XLIV ტური**

ბრენტფორდი — უიკომბი 1:1; ბრისტოლი — ბრაიტონი 0:0; ჩესტერფილდი — ბლეკპული 1:0; ნოტსი — პორტ ვეილი 1:2; პიტერბრო — ბორნმუთი 0:1; პლიმუთი — ქუინზ პარკი 2:0; რაშდენი — ჰარტლპული 0:2; შეფილდ უენსდი — კოლჩესტერი 0:1; სტოკპორტი — გრიმსბი 2:1; სუინდონი — ოლდემი 1:2; ტრანმერი — ბარნსლი 2:0; რექსემი — ლუტონი 2:1

### III დივიზიონი
**XLIV ტური**

ბერი — როვერსი 0:0; ჩელტენემი — ტორკი 1:3; დონკასტერი — იორკი 3:1; ჰალი — ჰადერსფილდი 0:0; კიდერმინსტერი — როჩდეილი 0:1; ლეიტონი — ბოსტონი 1:3; ლინკოლნი — დარლინგტონი 1:1; მენსფილდი — კარლაილი 2:3; ოქსფორდი — კემბრიჯი 2:2; სკანთორპი — მაკლსფილდი 1:0; საუთენდი — იოვილი 0:2; სუონსი — ნორთჰემპტონი 0:2

### კონფერენსლიგა
**XLII ტური**

ალდერშოტი — ტემუორთი 1:1; ბარნეტი — ლეი 2:1; ბარტონი — დაგენემი 0:1; ექსეტერი — აკრინგტონი 3:2; გრეივსენდი — ნორსვიჩი 2:2; ჰალიფაქსი — უოქინგი 2:2; ჰერეფორდი — ჩესტერი 2:1; მარგეიტი — სკარბორო 0:2; მორეკემბი — შრიუსბერი 3:3; სტივენეიჯი — ფორესტ გრინი 2:1; ტელფორდი — ფარნბორო 2:4

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 34 | 24 | 10 | 0 | 69:24 | 45 | 82 | 17 | 14 | 3 | 0 | 38:13 | 25 | 45 | 17 | 10 | 7 | 0 | 31:11 | 20 | 37 |
| 2 ჩელსი | 35 | 22 | 6 | 7 | 61:28 | 33 | 72 | 17 | 10 | 4 | 3 | 29:12 | 17 | 34 | 18 | 12 | 2 | 4 | 32:16 | 16 | 38 |
| 3 მანჩესტერი | 35 | 22 | 5 | 8 | 61:33 | 28 | 71 | 18 | 12 | 3 | 3 | 36:14 | 22 | 39 | 17 | 10 | 2 | 5 | 25:19 | 6 | 32 |
| 4 ლივერპული | 35 | 14 | 11 | 10 | 49:36 | 13 | 53 | 17 | 9 | 3 | 5 | 26:14 | 12 | 30 | 18 | 5 | 8 | 5 | 23:22 | 1 | 23 |
| 5 ნიუკასლი | 34 | 13 | 14 | 7 | 47:34 | 13 | 53 | 18 | 11 | 4 | 3 | 32:13 | 19 | 37 | 16 | 2 | 10 | 4 | 15:21 | -6 | 16 |
| 6 ასტონ ვილა | 35 | 14 | 10 | 11 | 46:41 | 5 | 52 | 17 | 8 | 6 | 3 | 23:17 | 6 | 30 | 18 | 6 | 4 | 8 | 23:24 | -1 | 22 |
| 7 ფულემი | 35 | 13 | 9 | 13 | 48:44 | 4 | 48 | 18 | 9 | 4 | 5 | 29:20 | 9 | 31 | 17 | 4 | 5 | 8 | 19:24 | -5 | 17 |
| 8 ჩარლტონი | 35 | 13 | 9 | 13 | 44:45 | -1 | 48 | 17 | 6 | 5 | 6 | 25:26 | -1 | 23 | 18 | 7 | 4 | 7 | 19:19 | 0 | 25 |
| 9 ბირმინგემი | 35 | 12 | 12 | 11 | 42:44 | -2 | 48 | 18 | 8 | 5 | 5 | 26:21 | 5 | 29 | 17 | 4 | 7 | 6 | 16:23 | -7 | 19 |
| 10 ბოლტონი | 35 | 12 | 11 | 12 | 42:52 | -10 | 47 | 17 | 5 | 8 | 4 | 20:18 | 2 | 23 | 18 | 7 | 3 | 8 | 22:34 | -12 | 24 |
| 11 საუთჰემპტონი | 34 | 12 | 9 | 13 | 39:35 | 4 | 45 | 17 | 8 | 4 | 5 | 20:13 | 7 | 28 | 17 | 4 | 5 | 8 | 19:22 | -3 | 17 |
| 12 მიდლსბრო | 35 | 12 | 9 | 14 | 41:44 | -3 | 45 | 18 | 7 | 4 | 7 | 23:22 | 1 | 25 | 17 | 5 | 5 | 7 | 18:22 | -4 | 20 |
| 13 ბლექბერნი | 35 | 11 | 7 | 17 | 49:57 | -8 | 40 | 17 | 4 | 3 | 10 | 23:30 | -7 | 15 | 18 | 7 | 4 | 7 | 26:27 | -1 | 25 |
| 14 პორტსმუთი | 34 | 11 | 7 | 16 | 39:48 | -9 | 40 | 16 | 9 | 2 | 5 | 28:16 | 12 | 29 | 18 | 2 | 5 | 11 | 11:32 | -21 | 11 |
| 15 ევერტონი | 35 | 9 | 12 | 14 | 42:48 | -6 | 39 | 18 | 8 | 5 | 5 | 26:18 | 8 | 29 | 17 | 1 | 7 | 9 | 16:30 | -14 | 10 |
| 16 ტოტენჰემი | 35 | 11 | 6 | 18 | 44:56 | -12 | 39 | 18 | 8 | 4 | 6 | 32:27 | 5 | 28 | 17 | 3 | 2 | 12 | 12:29 | -17 | 11 |
| 17 სიტი | 35 | 7 | 14 | 14 | 48:51 | -3 | 35 | 17 | 3 | 9 | 5 | 25:23 | 2 | 18 | 18 | 4 | 5 | 9 | 23:28 | -5 | 17 |
| 18 ლიდსი | 35 | 8 | 8 | 19 | 36:71 | -35 | 32 | 18 | 5 | 6 | 7 | 22:28 | -6 | 21 | 17 | 3 | 2 | 12 | 14:43 | -29 | 11 |
| 19 ლესტერი | 35 | 5 | 14 | 16 | 42:60 | -18 | 29 | 18 | 2 | 10 | 6 | 16:27 | -11 | 16 | 17 | 3 | 4 | 10 | 26:33 | -7 | 13 |
| 20 ვულვზი | 35 | 6 | 11 | 18 | 35:73 | -38 | 29 | 17 | 6 | 5 | 6 | 21:32 | -11 | 23 | 18 | 0 | 6 | 12 | 14:41 | -27 | 6 |

# ვერდერის დაკარგულს ბაიერნი პოულობს


REUTERS

მიუნხენურ დერბიში შეიძლება თავიც დაკარგონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXX ტური

**ჰანზა 3:1 შალკე**

0:1 ასამოა (10), 1:1 ტიკუზუ (35), 2:1, 3:1 მაქსი (62, 68)

ჰანზა: შობერი, მიორლე, პერსონი, ჰილი, ტიკუზუ, რიდლევიჩი (მეგლე 88), ლანცი, რასმუსენი, მაული (პრიკა 78), არვიდსონი, მაქსი (დი სალვო 89)

მწვრთნელი: იური შლიუნცი

შალკე: ფ. როსტი, კ. პოულსენი, კლასენერი (ვალდოხი 72), ვან კერკჰოვენი, ქობიაშვილი, დელურა, ვერმანტი (ბიომე 75), ჰამიტ ალტინტოპი, ზაიცი, ასამოა, სანდი (ჰანკე 82)

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: მაული, რიდლევიჩი, ლანცი, ასამოა, ვან კერკჰოვენი

მსაჯი: შტარკი

27 000 მაყურებელი

**აინტრახტი 3:0 ფრაიბურგი**

1:0 შკელა (29პ), 2:0 პროისი (45), 3:0 ბაიერლე (72)

აინტრახტი: ნიკოლოვი, გიუნტერი (ბინდევალდი 73), ჰერჩი, კრისი, ბიურგერი, პროისი (ლექსა 86), შური, შკელა, კროიცი, ბაიერლე, ფრომერი (ჩა 73)

მწვრთნელი: ვილი რაიმანი

ფრაიბურგი: რაინარდი, ბ. დიარა, ჰერმელი, შუმანი, რიტერი, ცქიტიშვილი, ბერნერი (კაირო 46), კულიბალი, კრუპკე, იაშვილი (ბაირამოვიჩი 56), სანუ (ტანკო 65)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

გაფრთხილება: გიუნტერი, ფრომერი, კრისი, ბერნერი, ჰერმელი

მსაჯი: ფანდელი

25 300 მაყურებელი

**ჰანოვერი 0:1 შტუტგარტი**

0:1 მაისნერი (10)

ჰანოვერი: ციგლერი, ზურავი, მერტესაკერი, ჩერუნდოლო, შულერი (იდრისუ 46), დაბროვსკი (შტენდელი 82), ლალა (შრიოტერი 70), დე გუზმანი, მატისი, კრისტიანსენი, ბრდარიჩი

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ლამი, მეირა, ბორდონი, ჰ. გერბერი, სოლდო, მაისნერი, ჰელდტი (ვრანიეში 63), ტიფერტი (სენტურიონი 90), კაკაუ (სტრელერი 63), კურანი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

მსაჯი: ტრაუტმანი

27 537 მაყურებელი

**ლევერკუზენი 3:0 დორტმუნდი**

1:0 ბაბიჩი (6), 2:0 ფრანცა (22), 3:0 ბერბატოვი (54პ)

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი, ლუსიო, ნოვოტნი, ბიროფკა, რამელო, ბ. შნაიდერი, ბაბიჩი (პლასენტე 86), ბაშთურქი (ბალიტჩი 84), ბერბატოვი, ფრანცა (ნოივილი 79)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

დორტმუნდი: ვარმუზი, შ. როიტერი (ევანილსონი 61), ვიორნსი (ლეანდრო 71), ბერგდოლმო, ნ. იენსენი, ფრინგსი (ოდონკორი 79), კელი, როსიცკი, გამბინო, კოლერი, ევერტონი

მწვრთნელი: მათიას ზამერი

გაფრთხილება: რამელო, ჟუანი, იენსენი, ფრინგსი

მსაჯი: მეიერი

22 500 მაყურებელი

**ჰამბურგი 4:2 კიოლნი**

1:0 რანი (41), 1:1 პოდოლსკი (44), 2:1 ბარბარესი (52), 3:1 იაროლიმი (64), 4:1 ფუკალი (68), 4:2 შპრინგერი (82)

ჰამბურგი: ვიახტერი, ფუკალი, რაინჰარდტი (ბენჯამინი 31), უიფალუში, ვიკი, მაჰდავიკია, შლიკე, იაროლიმი, რანი, ბარბარესი (კარდოზო 74), რომეო (ვ. გლები 74)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

კიოლნი: ვესელსი, ო. შრიოდერი, დოგანი, სინკევიჩი, ვოიგტი (ფიულნერი 60), კრინგე, გრუიჩი, სინკალა, შერცი (შპრინგერი 75), ფედერიკო (სტრაიტი 60), პოდოლსკი

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

გაფრთხილება: იაროლიმი, კრინგე, გრუიჩი, სინკალა

მსაჯი: ვაინერი

43 000 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 0:2 ვოლფსბურგი**

0:1 ბაიანო (44), 0:2 კარჰანი (65)

მიონხენგლადბახი: შტილი, კორზინეცი, პლეტჩი, შტრასერი, კარნელი (კლუგე 66), ულიხი, გაედე, ბროიხი (დემო 72), კოლკა (სვერკოში 60), ვან ჰუტი, ვან ლენტი

მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი

ვოლფსბურგი: იენჩი, რაიტერი, შნოორი, ფრანცი, კარჰანი, შარპეი, ვაიზერი (ბილიშკოვი 82), დალესანდრო (მენსეგეში 78), ბაიანო (ტიამი 46), კლიმოვიჩი, მ. პეტროვი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: შტრასერი, ტიამი, ბაიანო, ტიამი, რაიტერი

გაძევება: ტიამი (70)

მსაჯი: კოოპი

33 600 მაყურებელი

**ჰერტა 3:0 კაიზერსლაუტერნი**

1:0 მარსელინიო (2), 2:0 ვიშნიარეკი (16), 3:0 ბობიჩი (24)

ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი (რემერი 65), მადლუნგი, შიმუნიჩი, კაგარა, დარდაი, შმიდტი, პინტუ (გოორი 73), მარსელინიო (ნოინდორფი 84), ვიშნიარეკი, ბობიჩი

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

კაიზერსლაუტერნი: ვიზე, რიდლი, კნავსი, ვენცელი, მალცი, მიხაელ ლემანი (ჩატო 53), ბიელიცა, მ. ხრისტოვი, ნურმელა (ვიტიხი 84), დომინგეში (ჰალილ ალტინტოპი 53), ლოკვენცი

მწვრთნელი: კურტ იარა

გაფრთხილება: ფრიდრიხი, ბობიჩი, ბიელიცა, კნავსი, ჩატო, რიდლი

მსაჯი: კირხერი

45 292 მაყურებელი

**ბოხუმი 0:0 ვერდერი**

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა (მაიხელბეკი 85), ფარენჰორსტი, პ. ბიონიგი, ცდებელი, სტევიჩი, ვოში (ფ. ტაპალოვიჩი 88), დიაბანგი, ბაკლი (ედუ 58), ჰაშემიანი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

ვერდერი: რაინკე, სტალტერი, ფ. ბაუმანი, კრსტაიჩი, შულცი, ბოროვსკი, ლისტეში (ლაგერბლომი 76), ფ. ერნსტი, მიკუ, აილტონი (ნ. ვალდესი 69), კლასნიჩი (ხარისტიასი 69)

მწვრთნელი: თომას შაფი

გაფრთხილება: ვოში, ერნსტი, კრსტაიჩი

**ბაიერნი 1:0 მიუნხენ 1860**

1:0 სანტა კრუზი (50)

ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, შვაინსტაიგერი, ზე რობერტო, სანტა კრუზი, მაკაი, კ. პიზარო (დემიკელისი 83)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

მიუნხენ 1860: მ. ჰოფმანი, ჩერნი, შტრანცლი, როდრიგო კოშტა, ტ. ჰოფმანი, კურცი (რ. მაიერი 29), გიორლიცი, მათიას ლემანი (კიოიო 73), ტისი (შაო 80), აგოსტინო, შროტი

მწვრთნელი: გერალდ ვანენბურგი

გაფრთხილება: შვაინსტაიგერი, შტრანცლი, როდრიგო კოშტა, მაიერი

მსაჯი: იანსენი

69 000 მაყურებელი

ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „შალკე" პირადად მარტინ მაქსმა დაამარცხა. „ჰანზას" ვეტერანმა ფორვარდმა ერთი საგოლე პასი და დუბლი მიითვალა.

„ხუმარები" ჯერალდ ასამოას წყალობით დაწინაურდნენ, რომელსაც მეკარემ პირველი დარტყმა აუღო, მაგრამ მეორეს ველარ მისწვდა.

მაქსმა ტაიმის ბოლოს რაზუნდარა ტიკუზუს გაატანინა, თავად კი შესვენების შემდეგ ორჯერ იხეირა. მასპინძელთა ფორვარდმა ნიკო ვან კერკჰოვენის პასი ჩაჭრა და ფრანკ როსტი უშანსოდ დატოვა, ხოლო მოგვიანებით რასმუსენის ჩაწოდებული ბურთი შეაგდო კარში.

გელზენკირხენელებმა მიჯრით მეორე შეხვედრა წააგეს და უეფას თასზე მათი გასვლა საეჭვო გახდა.

ფრანკფურტში „აინტრახტმა" „ფრაიბურგს" იოლად სძლია და ბუნდესლიგაში დარჩენის იმედი გააცოცხლა. ბრუნო ბერნერმა ბაიერლე წააქცია და შკელამ პენალტით ანგარიში გახსნა.

შესვენებამდე ორი წუთით ადრე სტუმრებმა კიდევ გაუშვეს. ამჯერად კრისტოფ პროისს ახლოდან შეგდება არ გასჭირვებია, ხოლო ბაიერლემ „ფრაიბურგს" მესამე გაუტანა.

„ფრაიბურგს" დარჩენილ შეხვედრებში მობილიზება და ქულების მოხვეტა სჭირდება, თორემ ნელ-ნელა ქვედა სამეულს უახლოვდება.

ერიკ გერეტსის „ვოლფსბურგმა" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და მდგომარეობა გაიუმჯობესა. ფერნანდო ბაიანომ ანდრეს დალესანდროს პასით საჯარიმოს ხაზიდან შეაჭიკარტა ბურთი კარში. მეორე ტაიმში სტუმრებმა მასპინძლები კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და ეულად დარჩენილმა მიროსლავ კარჰანმა იორგ შტილი გააწბილა.

ჰანოვერში „შტუტგარტმა" დაუმარცხებელი მატჩების სერია ცხრამდე გაზარდა. ფელიქს მაგათის გუნდმა სამი ქულა მიითვალა, მაგრამ დამხვდურები სილვიო მეისნერის გოლის გაუქმებას ითხოვდნენ. მეისნერის დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა და ხაზს შიგნით დაეცა. ასე გადაწყვიტა გვერდითმა მსაჯმა და მთავარიც მას დაეთანხმა. მასპინძლებმა უშედეგოდ გააპროტესტეს. შემდეგ უკვე „ჰანოვერი" მსაჯს პენალტს ედავებოდა, რომელიც, მათი აზრით, ბრდარიჩის წაქცევისთვის უნდა დაენიშნათ.

ჰამბურგში მატჩი უხვგოლიანი გამოდგა და „კიოლნის" მარცხით დასრულდა. „თხები" ოთხივე ფეხით მეორე ბუნდესლიგაში არიან და პირველ ბუნდესლიგას რქებით ეჭიდებიან, მაგრამ მათი გავარდნა ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია.

ჰამბურგელბი 4:1-ზე ათი კაცით დარჩნენ, რადგან მწვრთნელს შეცვლის ლიმიტი ამოეწურა და ტრავმირებული კრისტიან რანის მაგივრად ვერავინ ათამაშა. ამის მერეღა შეძლო „კიოლნმა" ანგარიშში სხვაობის შემცირება.

ბერლინის „ჰერტა" ქვედა სამეულიდან „კაიზერსლაუტერნის" ძლევის შემდეგ ამოძვრა. მარსელინიომ მეორე წუთზევე გაიტანა. სტუმართა მეკარემ ბურთი კარის ხაზის შიგნით მოიხელთა. ვიშნიარეკმა კუთხურიდან ჩაწოდებულზე იხეირა, ხოლო ფრედი ბობიჩმა ქებული თავურით მესამე შეაგდო.

სეზონის ბოლოს ლევერკუზენის „ბაიერი" მოყოჩაღდა და წინა ტურში „ბაიერნის" მძლეველ დორტმუნდელებს სამი უპასუხო გოლით გაუმასპინძლდა.

„ვერდერმა" თუ ასე ანიავა ქულები, ვინძლო ბუნდესსასალათე მიუნხენის „ბაიერნმა" წაართვას. საქმე ისაა, რომ გერმანიის ჯერ კიდევ ჩემპიონებმა გუშინ მიუნხენურ დერბიში როკე სანტა კრუზის გოლით იმარჯვეს, ბრემენელებმა კი კერკეტი „ბოხუმი" სტუმრად ვერ გატეხეს და ოდენ ქულას დასჯერდნენ. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „ბაიერნი" „ვერდერს" 8 მაისს მასპინძლობს და მათ შორის სხვაობა ექვსი ქულაა, უნდა ვიფიქროთ, რომ ბუნდესჩემპიონად ბრემენელთა გამოცხადება ჯერ კიდევ ნაადრევია.

**მამა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვერდერი | 30 | 20 | 8 | 2 | 67:28 | 39 | 68 | 15 | 10 | 4 | 1 | 34:15 | 19 | 34 | 15 | 10 | 4 | 1 | 33:13 | 20 | 34 |
| 2 ბაიერნი | 30 | 18 | 8 | 4 | 64:32 | 32 | 62 | 15 | 12 | 3 | 0 | 40:16 | 24 | 39 | 15 | 6 | 5 | 4 | 24:16 | 8 | 23 |
| 3 შტუტგარტი | 30 | 17 | 9 | 4 | 47:18 | 29 | 60 | 15 | 8 | 6 | 1 | 25:11 | 14 | 30 | 15 | 9 | 3 | 3 | 22:7 | 15 | 30 |
| 4 ლევერკუზენი | 30 | 16 | 7 | 7 | 62:36 | 26 | 55 | 15 | 10 | 1 | 4 | 39:18 | 21 | 31 | 15 | 6 | 6 | 3 | 23:18 | 5 | 24 |
| 5 ბოხუმი | 30 | 13 | 10 | 7 | 48:34 | 14 | 49 | 15 | 9 | 5 | 1 | 24:5 | 19 | 32 | 15 | 4 | 5 | 6 | 24:29 | -5 | 17 |
| 6 დორტმუნდი | 30 | 14 | 6 | 10 | 49:39 | 10 | 48 | 15 | 10 | 3 | 2 | 32:14 | 18 | 33 | 15 | 4 | 3 | 8 | 17:25 | -8 | 15 |
| 7 შალკე | 30 | 11 | 10 | 9 | 41:38 | 3 | 43 | 15 | 5 | 7 | 3 | 21:15 | 6 | 22 | 15 | 6 | 3 | 6 | 20:23 | -3 | 21 |
| 8 ჰამბურგი | 30 | 12 | 6 | 12 | 43:52 | -9 | 42 | 15 | 9 | 3 | 3 | 29:20 | 9 | 30 | 15 | 3 | 3 | 9 | 14:32 | -18 | 12 |
| 9 ჰანზა | 30 | 10 | 8 | 12 | 48:45 | 3 | 38 | 15 | 8 | 1 | 6 | 28:17 | 11 | 25 | 15 | 2 | 7 | 6 | 20:28 | -8 | 13 |
| 10 ვოლფსბურგი | 30 | 12 | 1 | 17 | 52:57 | -5 | 37 | 15 | 10 | 0 | 5 | 36:24 | 12 | 30 | 15 | 2 | 1 | 12 | 16:33 | -17 | 7 |
| 11 ფრაიბურგი | 30 | 9 | 7 | 14 | 38:61 | -23 | 34 | 15 | 9 | 2 | 4 | 28:24 | 4 | 29 | 15 | 0 | 5 | 10 | 10:37 | -27 | 5 |
| 12 ჰანოვერი | 30 | 8 | 9 | 13 | 44:56 | -12 | 33 | 15 | 4 | ö | 5 | 24:26 | -2 | 18 | 15 | 4 | 3 | 8 | 20:30 | -10 | 15 |
| 13 გლადბახი | 30 | 8 | 8 | 14 | 32:43 | -11 | 32 | 15 | 5 | 6 | 4 | 16:15 | 1 | 21 | 15 | 3 | 2 | 10 | 16:28 | -12 | 11 |
| 14 ჰერტა | 30 | 7 | 11 | 12 | 32:52 | -20 | 32 | 15 | 4 | 6 | 5 | 17:21 | -4 | 18 | 15 | 3 | 5 | 7 | 15:31 | -16 | 14 |
| 15 ლაუტერნი | 30 | 10 | 4 | 16 | 32:53 | -21 | 31 | 14 | 7 | 3 | 4 | 19:14 | 5 | 24 | 16 | 3 | 1 | 12 | 13:39 | -26 | 10 |
| 16 მიუნხენი | 30 | 8 | 6 | 16 | 29:47 | -18 | 30 | 15 | 5 | 2 | 8 | 14:23 | -9 | 17 | 15 | 3 | 4 | 8 | 15:24 | -9 | 13 |
| 17 აინტრახტი | 30 | 8 | 5 | 17 | 32:45 | -13 | 29 | 16 | 5 | 4 | 7 | 22:22 | 0 | 19 | 14 | 3 | 1 | 10 | 10:23 | -13 | 10 |
| 18 კიოლნი | 30 | 5 | 5 | 20 | 26:50 | -24 | 20 | 15 | 5 | 2 | 8 | 17:21 | -4 | 17 | 15 | 0 | 3 | 12 | 9:29 | -20 | 3 |

*„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 25 |
| მაკაი (ბაიერნი) | 22 |
| მაქსი (ჰანზა) | 18 |
| ჰაშემიანი (ბოხუმი) | 14 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 14 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 13 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 13 |

### XXXI ტური

1 მაისი

ფრაიბურგი — ჰანოვერი
ვოლფსბურგი — აინტრახტი
ლაუტერნი — გლადბახი
შალკე — ჰერტა
დორტმუნდი — ჰანზა
მიუნხენი — ლევერკუზენი
კიოლნი — ბაიერნი
ვერდერი — ჰამბურგი
შტუტგარტი — ბოხუმი

## მეორე ბუნდესლიგა

### XXX ტური

**ოსნაბრიუკი 0:2 უნიონი**

0:1 სობოტჩიკი (24), 0:2 პეიგი (48)

უნიონი: ვულნიკოვსკი, კოჟაკი, პეიგი, ერნემანი, ოკეკე, სანდმანი, სირაძე, პიაცი, ბრუნსი (ბრუსკო 82), სობოტჩიკი (რისტიჩი 88), ბაუმგარტი (კეიტა 75)

მსაჯი: დრეესი

9 000 მაყურებელი

**აუე 1:1 არმინია**

0:1 ბოაკიე (29), 1:1 შუბითიძე (90)

აუე: ჰანელი, ნოვესკი, ემერიხი, იენდროშეკი (რემი 46), კურტი (გ. ბერგერი 46), მ. ჰაიდრიხი, ტოპმიოლერი, რ. ტრენკოპფი, კური, იუსკოვიაკი, იანკი (შუბითიძე 67)

მსაჯი: შალკი

16 500 მაყურებელი

**ბურგჰაუზენი 2:1 ლიუბეკი**

0:1 შარპინგი (60), 1:1 შმიდტი (69), 2:1 როსინი (85)

**მაინცი 4:1 დუისბურგი**

1:0 ვაილანდი (2), 2:0 მ. ფრიდრიხი (38), 3:0 აუერი (56), 4:0 როსე (85), 4:1 აჰანფუფი (90)

**ალენი 3:1 რეგენსბურგი**

0:1 კოლომაჟნიკი (36), 12:1, 2:1 ფელგენაუერი (50, 67), 3:1 ბამბა (69)

**კოტბუსი 4:2 ფიურტი**

0:1 აიგლერი (38), 1:1 ლატუნდი (52), 2:1 ბერჰალტერი (56), 3:1 ლიოვი (74), 4:1 გებჰარდტი (85), 4:2 როსლერი (88)

**კარლსრუე 0:1 უნტერჰახინგი**

0:1 ლეხლაიტერი (68)

**ობერჰაუზენი 1:2 ტრირი**

1:0 ალიაი (18), 1:1 რაკანელი (45), 1:2 კელერი (85)

**ნიურნბერგი — ალემანია**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 29 | 15 | 7 | 7 | 57:36 | 52 |
| არმინია | 30 | 15 | 7 | 8 | 46:30 | 52 |
| კოტბუსი | 30 | 14 | 8 | 8 | 46:37 | 50 |
| ალემანია | 29 | 13 | 7 | 9 | 46:44 | 46 |
| ობერჰაუზენი | 30 | 13 | 7 | 10 | 43:41 | 46 |
| მაინცი | 30 | 10 | 14 | 6 | 40:33 | 44 |
| აუე | 30 | 11 | 10 | 9 | 39:34 | 43 |
| დუისბურგი | 30 | 11 | 8 | 11 | 43:40 | 41 |
| უნტერჰახინგი | 30 | 10 | 9 | 11 | 35:39 | 39 |
| ფიურტი | 30 | 9 | 11 | 10 | 49:47 | 38 |
| ტრირი | 30 | 10 | 8 | 12 | 42:48 | 38 |
| კარლსრუე | 30 | 10 | 8 | 12 | 34:40 | 38 |
| ლიუბეკი | 30 | 9 | 10 | 11 | 43:48 | 37 |
| რეგენსბურგი | 30 | 9 | 10 | 11 | 36:45 | 37 |
| ალენი | 30 | 10 | 7 | 13 | 32:41 | 37 |
| ბურგჰაუზენი | 30 | 9 | 8 | 13 | 33:37 | 35 |
| უნიონი | 30 | 8 | 7 | 15 | 38:45 | 31 |
| ოსნაბრიუკი | 30 | 7 | 6 | 17 | 29:46 | 27 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### XXVIII ტური

შალკე (მ) — დინამო 2:1; კიოლნი (მ) — ბრაუნშვაიგი 1:1; ვერდერი (მ) — იურდინგენი 0:1; პადერბორნი — ვუპერტალი 0:0; ლაიპციგი — ვატენშაიდი 2:4; ესენი — კილი 1:0; ქემნიცი — ჰამბურგი (მ) 0:0; ნოიმიუნსტერი — მიუნსტერი 0:0; დორტმუნდი (მ) — ზანკტ პაული 0:2

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### XXVIII ტური

ბაიერნი (მ) — ელვერსბერგი 1:1; ზიგენი — ეშბორნი 1:2; ერფურტი — შტუტგარტი (მ) 2:1; კიკერსი — ოფენბახი 0:0; ვეჰენი — მაინცი (მ) 2:0; შვაინფურტი — პფულენდორფი 1:0; აალენი — აუგსბურგი 2:1; კაიზერსლაუტერნი (მ) — ფოიხტი 2:2; ზაარბრიუკენი — ჰოფენჰაიმი 2:1

## იტალია

### სერია A. XXXI ტური

**უდინეზე 0:0 მილანი**

უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, კროლდრუპი, ფელიპე, ალბერტო, მუნტარი (როსიტო 68), დ. პიზარო, იანკულოვსკი, იორგენსენი (მიერინი 88), იაკინტა, ფავა (კასტრომანი 74)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, გატუზო (ბროკი 88), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (ტომასონი 70), კაკა (რუი კოშტა 81), შევჩენკო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ბერტოტო, იანკულოვსკი, კაფუ
მსაჯი: დე სანტისი
32 000 მაყურებელი

**რომა 3:0 ემპოლი**

1:0 ტოტი (41), 2:0 კარეუ (64), 3:0 ტოტი (88)
რომა: პელიცოლი, პანუჩი, ვ. სამუელი, კოვუ, ფ. ლიმა, მანჩინი, ემერსონი, დაკური (ტომაზი 71), დაგოსტინო (დელვეკიო 89), ტოტი, ა. კასანო (კარეუ 64)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ემპოლი: ბალი, ბელერი, ვარგასი, ლუკინი, კუპი, ბუშე (გასპარეტო 80), ჯამპიერეტი (ფოჯა 68), ფიჩინი, ვანუკი, დი ნატალე (ტავანო 60), როკი
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: ჯამპიერეტი, სამუელი, დაკური, ლუკინი
გაძევება: კარეუ (68), ვარგასი (68)
მსაჯი: რაკალბუტო
7 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 3:4 ლეჩე**

1:0 ტრეზეგე (2), 1:1 ფრანჩესკინი (23), 1:2, 1:3 კონანი (31, 43), 1:4 ჩევანტონი (52), 2:4 მარესკა (55), 3:4 დელ პიერო (80)
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ლეგროტალიე (მარესკა 46), იულიანო, ძამბროტა, აპია, ტუდორი, ნედვედი, დი ვაიო (პესოტო 81), ტრეზეგე, მიკოლი (დელ პიერო 46)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ლეჩე: სიჩინიანო, აბრუცეზე (კ. სილვესტრი 85), ბოვო, სტოვინი, ტონეტო, კასეტი (ჯაკომაცი 70), ბოლანო, ლედესმა, დ. ფრანჩესკინი, ჩევანტონი, კონანი (ბოჟინოვი 78)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: ჩევანტონი
მსაჯი: პაპარესტა
31 198 მაყურებელი

**ინტერი 0:0 ლაციო**

ინტერი: ფონტანა, ი. კორდობა, მატერაცი, ფ. კანავარო, ჰელვეგი, ხ. ძანეტი, ფარინოსი (ემრე 47), კილი გონსალესი (პასკუალე 87), დ. სტანკოვიჩი, ვიერი (ო. მარტინსი 56), ადრიანო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე, ალბერტინი (დაბო 83), ჯანიკედა, ძაური, კორადი, კ. ლოპესი (ს. ინძაგი 76)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ფარინოსი, მიხაილოვიჩი, ჯანიკედა, კორდობა
მსაჯი: კოლინა
56 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:1 პარმა**

0:1 ბრეშიანო (9), 1:1 ტორიზი (48)
რეჯინა: ბელარდი, ჟირანეკი, ტორიზი (სოტილი 67), ი. ფრანჩესკინი, მესტო (ბაიოკო 67), ტედესკო, მოცარტი, ფალზინი, კოცა, სტელონე (ბონაცოლი 81), დი მიკელე
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
პარმა: ს. ფრეი, ბონერა, მ. ფერარი, მ. კასტელინი, სერიჩი (პოტენცა 56), ბლაზი, ბარონე, ბრეშიანო (მორფეო 56), კარბონე (დონადელი 80), მარკიონი, ჯილარდინო
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ფრანჩესკინი, ფერარი, ტედესკო, ბარონე, სტელონე, მარკიონი
მსაჯი: პელეგრინო
19 000 მაყურებელი

**მოდენა 1:0 სამპდორია**

1:0 კამარა (59)
მოდენა: ძანკოპე, მ. მაიერი, ჩევოლი, პავანი, პონცო, მარასკო, ვინიაროლი (უნგარი 75), სკობონი (დომიცი 46), ბალესტრი, ნ. ამორუზო, დ. კამარა (მაკინვა 90)
მწვრთნელი: ჯანფრანკო ბელოტო
სამპდორია: ანტონიოლი, საკეტი, კაროციერი, მ. კონტე, ბეტარინი (კ. ძენონი 75), იანაგისავა (ჩიპრიანი 63), ვოლპი, პალომბო, პაგანო, ბაცანი, ფლაკი (ფლორო ფლორესი 74)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: დომიცი, კაროციერი, პაგანო, ჩიპრიანი
მსაჯი: საკანი
19 000 მაყურებელი

**ბოლონია 3:1 სიენა**

1:0 დალა ბონა (32), 2:0 ბელუჩი (62), 2:1 მინანი (67), 3:1 ნერვო (82)
*სინიორიმ ვერ გაიტანა პენალტი (56, მეკარე)*
ბოლონია: პალიუკა, ძაკარდო, ნატალი, მორეტი, სუსი, ნერვო, ნაკატა (ლოვიზო 87), დალა ბონა (ლ. კოლუჩი 77), ბელუჩი, სინიორი (ლოკატელი 66), ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
სიენა: ფორტინი, ჩირილო (ჟუნიორი 68), ჟუარესი, მინანი, კუფრე, ტადეი, კუჩარი, დავერსა, გიგუ (ვენტოლა 59), ტ. ფლო, კიეზა (ლაზეტიჩი 59)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
გაფრთხილება: დავერსა, მინანი, ტადეი, დალა ბონა, სინიორი, პალიუკა, ტადეი
გაძევება: ტადეი (90)
მსაჯი: როზეტი
21 000 მაყურებელი

**ანკონა 0:2 კიევო**

0:1 სალა (55), 0:2 სემიოლი (79)
ანკონა: პედმანი, სარტორი, ჯაკობო, მილანეზე, ბოლიჩი (ზავანო 46), ლ. ელბერა, დ. ანდერსონი (მაინი 72), დე ფალკო, პანდევი (სომეზე 46), ბუკი, განცი
მწვრთნელი: ჯოვანი გალეონე
კიევო: მარკეჯანი, ფ. მორო, ბარძალი, სალა, ს. ლანა, სემიოლი (მორონე 87), პეროტა, ბარონიო, სანტანა (ძანკეტა 61), ფ. კოსატო, სკული (პელისიერი 61)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ბარძალი, სარტორი, ზავანო
მსაჯი: პიერი
5 000 მაყურებელი

**ბრეშა 1:1 პერუჯა**

0:1 რავანელი (37), 1:1 ბაჯო (45)
ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, პეტრუცი, დაინელი, პ. კასტელინი, შოპი (ჯ. კოლუჩი 31), ბრიგი, მატუზალემი, მაური (მანიერო 77), რ. ბაჯო (ბაკინი 46), კარაჩოლო
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
პერუჯა: კალაჩი, ფ. კოლი, დიამუტენე, დი ლორეტო, ფაბიანო, ზე მარია, გატი (დო პრადო 62), ობოდო, დი ფრანჩესკო (უბნერი 81), რავანელი, ბრიენძა (ბოტროიდი 85)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: დიამუტენე, დი ლორეტო
გაძევება: პეტრუცი (88)
მსაჯი: როდომონტი
15 000 მაყურებელი

# ალებ-მიცემობა და თავმოყვარეობა


REUTERS ნახატი
ფრანჩესკო ტოტი

მიმოხილვის დაწყება ნებისმიერი ბოლოდან ან თავიდან შეიძლება. შეიძლება დავიწყოთ „მილანით“, რომელიც ლიდერია, მაგრამ უდინეში ვერ მოიგო და, ერთი შეხედვით, სკუდეტოსთვის ბრძოლა დაძაბა, შეიძლება დავიწყოთ მეოთხე ადგილისთვის გამართული ბრძოლით, რომელშიც რამდენიმე გუნდია ჩართული, მაგრამ მოდით, იმ გაუგებარი თამაშით დავიწყოთ, რომელშიც შვიდი გოლი გავიდა — „იუვენტუსის“ და „ლეჩეს“ მატჩზე მოგახსენებთ. „დელე ალპიზე“ „იუვემ“ „ლეჩესთან“ 3:4 წააგო.

ეს გახლათ შეხვედრა, რომლის მეორე ტაიმში მოედანს დაუბრუნდა გამოჯანმრთელებული ალესანდრო დელ პიერო. „იუვენტუსის“ სახემ გოლიც შეაგდო, მაგრამ გუნდი სირცხვილისგან ვერ იხსნა — ლეჩელებმა ტურინში პირველ, ისტორიულ წარმატებას მიაღწიეს. საინტერესოა, რომ „ბებერ ქალბატონს“ ამ ტურის წინ მეორე ადგილისთვის ბრძოლის ვითომ შანსიც ჰქონდა და ალბათ, ამიტომ გამოენთო მოედანზე მეტისმეტად შემტევი შემადგენლობით: მარკო დი ვაიო, პაველ ნედვედი, ფაბრიციო მიკოლი და დავიდ ტრეზეგე, ყველანი ერთდროულად იყვნენ მოედანზე. მერე, ტრეზეგემ პირველსავე წუთზე გოლიც გაიტანა, მაგრამ თურმე რად გინდა...

ახლა, რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ იტალიაში სეზონის მიწურულს დიდი ალება-მიცემობა იმართება, რის მიხედვითაც „იუვემ“, რომელიც მეოთხე ადგილზე გულით რომ უნდოდეს ვეღარ ჩავა, მეორეზე ასვლას ისევ საგაისო ექვსი ქულის დაბევება არჩია და „ლეჩეს“ თამაშიც მისცა. ვფიქრობთ, ეს მართალი არ უნდა იყოს, რადგან საგაისო ექვსი ქულის გარდა არსებობს კიდევ ერთი ცნება, თავმოყვარეობა! ამ ცნების მიხედვით პირიქითაა: „იუვესთვის“ „ლეჩესთან“ წაგება, მით უმეტეს შინ წაგება და მით უმეტეს ისე წაგება, რომ 52-ე წუთზე ანგარიში 1:4 იყოს, სირცხვილია, რასაც ნებით „შავ-თეთრები“ არასდროს იზამენ.

„მილანს“ კი გუშინვე შეეძლო ჩემპიონობა ეზეიმა, მაგრამ ვაგლახ, ის ხვდებოდა გუნდს, რომელმაც ამ სეზონში „სან სიროზე“ მოუგო, ახლა, როდესაც „შავ-წითლებმა“ ორი ქულა დაკარგეს, ხოლო „რომამ“ „ემპოლს“ 3:0 აჯობა, ლიდერს და მეორე ადგილს შორის სხვაობა ექვს ქულამდე შემცირდა.

„მილანმა“ „სტადიო ფრიულიზე“ საინტერესო ტაქტიკურ ვარიანტს მიმართა, მეორე გამთამაშებლად, უფრო სწორად კი თავდამსხმელებს უკანა კაცად, კაკას მხარდამხარ კლარენს ზეედორფი ათამაშა. ასე ვთქვათ, ჰოლანდიელს კარლო ანჩელოტიმ რუი კოშტობა დაავალა.

სტუმრებს მომენტები დიახაც, ჰქონდათ. თავიდან ანდრეა პირლომ გაარტყა ძელს ბურთი, შემდეგ კაკა შევარდა საჯარიმოში, მეკარე მორგან დე სანქტისიც ჩამოიტოვა, მაგრამ მან მაინც შეძლო ბურთის იდაყვით გაგდება, მე-60 წუთზე იმავე კაკამ დიდებული დრიბლინგი შეასრულა, ოღონდ საბოლოო დარტყმა ოდნავ უზუსტო გამოუვიდა, შემდეგ შეცვლაზე შესულ იონ დალ ტომასონს ჰქონდა მომენტი, რომელშიც ისევ დე სანქტისმა გაიბრწყინა და ასე შემდეგ, მაგრამ გოლი არ გასულა.

სამაგიეროდ, როგორც მოგახსენეთ, მოიგო „რომამ“ და ორი გოლი ფრანჩესკო ტოტიმ შეაგდო. შეხვედრა პალერმოში, „სტადიო რენცო ბარბერაზე“ გაიმართა. როგორც ამბობენ, „რომასთვის“ ეს გამარჯვება მთლად იოლი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ჯერ ერთი, ბოლომდე არ იყო ცნობილი, შეძლებდა თუ ვერა თამაშს ანტონიო კასანო, რომელსაც კოჭი უტკენია და გარდა ამისა, სამ ფეხბურთელს, ვალტერ სამუელს, ემერსონს და იონ კარეუს ფსიქოლოგიური ატმოსფერო დაუმძიმებიათ, კლუბისთვის ტრანსფერები უთხოვიათ.

აღსანიშნავია, რომ ეს მატჩი სამი გოლის გარდა საინტერესო ორი მოთამაშის, ემპოლელი ხოსე ვარგასის და რომაელი იონ კარეუს გაძევებით გამოდგა. გაძევებულებმა 67-ე წუთზე იჩხუბეს.

ხოლო მეოთხე ადგილისთვის მებრძოლთა, „ინტერისა“ და „ლაციოს“ თამაშს რამდენიმე სახიფათო მომენტის [illegible] თუმცა სვარკა [illegible] სიტყვაა, ხოლო [illegible] შენელობით არ იხმარება... მოკლედ, შეიძლება უსახური ვუწოდოთ. აღსანიშნავია, რომ კრისტიან ვიერის ერთი კვირის წინანდელმა პროტესტმა შედეგი გამოიღო, ალბერტო ძაკერონიმ იგი ძირითადში ათამაშა, მაგრამ 57-ე წუთზე შეცვალა. ვიერის დანა პირს არ უხსნიდა.

„პარმა“ კი რეჯო კალაბრიაში მე-9 წუთიდან 48-ე წუთამდე იგებდა. ისე კი „რეჯინას“ მოგებაც ეკუთვნოდა. ანგარიში მარკ ბრეშიანომ პირდაპირ კუთხურიდან გახსნა, ხოლო სტეფანო ტორაზიმ თავურით გაქვითა.

**პაატა ძიდია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 31 | 23 | 7 | 1 | 59:20 | 39 | 76 | 15 | 12 | 2 | 1 | 34:13 | 21 | 38 | 16 | 11 | 5 | 0 | 25:7 | 18 | 38 |
| 2 რომა | 31 | 21 | 7 | 3 | 67:15 | 52 | 70 | 16 | 13 | 1 | 2 | 44:9 | 35 | 40 | 15 | 8 | 6 | 1 | 23:6 | 17 | 30 |
| 3 იუვენტუსი | 31 | 19 | 6 | 6 | 62:40 | 22 | 63 | 16 | 12 | 1 | 3 | 38:18 | 20 | 37 | 15 | 7 | 5 | 3 | 24:22 | 2 | 26 |
| 4 ინტერი | 31 | 15 | 8 | 8 | 54:33 | 21 | 53 | 16 | 8 | 4 | 4 | 30:15 | 15 | 28 | 15 | 7 | 4 | 4 | 24:18 | 6 | 25 |
| 5 ლაციო | 31 | 15 | 7 | 9 | 48:34 | 14 | 52 | 15 | 9 | 3 | 3 | 32:17 | 15 | 30 | 16 | 6 | 4 | 6 | 16:17 | -1 | 22 |
| 6 პარმა | 31 | 14 | 10 | 7 | 50:41 | 9 | 52 | 15 | 7 | 5 | 3 | 25:16 | 9 | 26 | 16 | 7 | 5 | 4 | 25:25 | 0 | 26 |
| 7 უდინეზე | 31 | 12 | 10 | 9 | 37:34 | 3 | 46 | 16 | 6 | 6 | 4 | 18:14 | 4 | 24 | 15 | 6 | 4 | 5 | 19:20 | -1 | 22 |
| 8 სამპდორია | 31 | 11 | 12 | 8 | 39:37 | 2 | 45 | 15 | 8 | 3 | 4 | 25:20 | 5 | 27 | 16 | 3 | 9 | 4 | 14:17 | -3 | 18 |
| 9 ბოლონია | 31 | 10 | 8 | 13 | 43:48 | -5 | 38 | 16 | 7 | 4 | 5 | 25:23 | 2 | 25 | 15 | 3 | 4 | 8 | 18:25 | -7 | 13 |
| 10 კიევო | 31 | 9 | 10 | 12 | 31:35 | -4 | 37 | 15 | 3 | 6 | 6 | 13:18 | -5 | 15 | 16 | 6 | 4 | 6 | 18:17 | 1 | 22 |
| 11 ბრეშა | 31 | 7 | 13 | 11 | 47:52 | -5 | 34 | 16 | 4 | 7 | 5 | 27:24 | 3 | 19 | 15 | 3 | 6 | 6 | 20:28 | -8 | 15 |
| 12 ლეჩე | 31 | 9 | 7 | 15 | 38:53 | -15 | 34 | 15 | 4 | 4 | 7 | 15:21 | -6 | 16 | 16 | 5 | 3 | 8 | 23:32 | -9 | 18 |
| 13 სიენა | 31 | 7 | 10 | 14 | 37:49 | -12 | 31 | 15 | 7 | 4 | 4 | 22:11 | 11 | 25 | 16 | 0 | 6 | 10 | 15:38 | -23 | 6 |
| 14 მოდენა | 31 | 6 | 12 | 13 | 25:39 | -14 | 30 | 16 | 5 | 6 | 5 | 16:17 | -1 | 21 | 15 | 1 | 6 | 8 | 9:22 | -13 | 9 |
| 15 რეჯინა | 31 | 5 | 15 | 11 | 25:41 | -16 | 30 | 16 | 3 | 8 | 5 | 12:16 | -4 | 17 | 15 | 2 | 7 | 6 | 13:25 | -12 | 13 |
| 16 ემპოლი | 31 | 6 | 9 | 16 | 21:49 | -28 | 27 | 15 | 5 | 6 | 4 | 15:15 | 0 | 21 | 16 | 1 | 3 | 12 | 6:34 | -28 | 6 |
| 17 პერუჯა | 31 | 3 | 14 | 14 | 39:55 | -16 | 23 | 15 | 1 | 10 | 4 | 24:27 | -3 | 13 | 16 | 2 | 4 | 10 | 15:28 | -13 | 10 |
| 18 ანკონა | 31 | 1 | 7 | 23 | 18:65 | -47 | 10 | 16 | 1 | 6 | 9 | 8:23 | -15 | 9 | 15 | 0 | 1 | 14 | 10:42 | -32 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 21 |
| ტოტი (რომა) | 20 |
| ჯილარდინო (პარმა) | 18 |
| ჩევანტონი (ლეჩე) | 17 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 16 |

**XXXII ტური**

2 მაისი

პარმა — ანკონა
ემპოლი — ბოლონია
სიენა — ბრეშა
ლეჩე — ინტერი
პერუჯა — იუვენტუსი
კიევო — მოდენა
ლაციო — რეჯინა
მილანი — რომა
სამპდორია — უდინეზე

### სერია B

### XXXIX ტური

**ვენეცია 3:2 ლივორნო**

1:0 ჯუბილატო (8), 2:0 ბიანკოლინო (26), 3:0 ანდერსონი (47), 3:1 ლუკარელი (53), 3:2 დანილევიჩუსი (81)

**ალბინოლეფე 2:2 ტორინო**

1:0 რეგონეზი (25), 1:1 ფაბრინი (47), 2:1 პოსანცინი (61), 2:2 პინგა (64)

**ბარი 2:1 აველინო**

1:0, 2:0 ვ. საპატა (29პ, 79პ), 2:1 კუტუზოვი (90)

**კატანია 2:0 პესკარა**

1:0 მასკარა (74), 2:0 დელ ვეკიო (83)

**კომო 0:0 ტრიესტინა**

**ჯენოა 1:2 სალერნიტანა**

0:1 კორნელიუსონი (54), 1:1 ფილია (77პ), 1:2 დი ვიჩინო (81)

**ნაპოლი 0:0 ატალანტა**

**პიაჩენცა 1:2 კალიარი**

0:1 ძოლა (45პ), 0:2 სუაცო (47), 1:2 ბეგეტო (49პ)

**ტრევიზო 1:1 ტერნანა**

1:0 რეგინალდო (15), 1:1 ძამპანა (21)

**ვერონა 1:2 პალერმო**

1:0 ადაილტონი (11), 1:1, 1:2 ტონი (28, 87)

**ვიჩენცა 2:3 ასკოლი**

1:0 მარჯოტა (21), 1:1, 1:2, 1:3 ლა ვისტა (39, 64, 69), 2:3 შვოხი (90პ)

**ფიორენტინა — მესინა**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 39 | 18 | 14 | 7 | 60:34 | 68 |
| ატალანტა | 39 | 16 | 18 | 5 | 49:30 | 66 |
| კალიარი | 39 | 17 | 14 | 8 | 62:40 | 65 |
| მესინა | 38 | 17 | 14 | 7 | 54:35 | 65 |
| ლივორნო | 39 | 16 | 16 | 7 | 60:40 | 64 |
| პიაჩენცა | 39 | 15 | 16 | 8 | 37:29 | 61 |
| ტრიესტინა | 39 | 14 | 17 | 8 | 46:41 | 59 |
| ფიორენტინა | 38 | 15 | 14 | 9 | 44:41 | 59 |
| ტერნანა | 39 | 14 | 14 | 11 | 50:42 | 56 |
| კატანია | 39 | 15 | 11 | 13 | 44:43 | 56 |
| ტორინო | 39 | 12 | 16 | 11 | 48:42 | 52 |
| ვიჩენცა | 39 | 12 | 16 | 11 | 41:39 | 52 |
| ნაპოლი | 39 | 10 | 22 | 7 | 30:31 | 52 |
| ტრევიზო | 39 | 10 | 17 | 12 | 37:39 | 47 |
| ასკოლი | 39 | 11 | 14 | 14 | 42:46 | 47 |
| სალერნიტანა | 39 | 12 | 11 | 16 | 31:41 | 47 |
| ჯენოა | 39 | 11 | 13 | 15 | 40:46 | 46 |
| ალბინოლეფე | 39 | 11 | 12 | 16 | 34:46 | 45 |
| ვენეცია | 39 | 10 | 14 | 15 | 33:44 | 44 |
| პესკარა | 39 | 10 | 11 | 18 | 32:52 | 41 |
| ბარი | 39 | 10 | 10 | 19 | 41:53 | 40 |
| ვერონა | 39 | 9 | 13 | 17 | 41:58 | 40 |
| კომო | 39 | 7 | 12 | 20 | 30:52 | 33 |
| აველინო | 39 | 4 | 13 | 22 | 37:59 | 25 |

### სერია C1/A

### XXXI ტური

არეცო — ვარეზე 0:0; ჩეზენა — რეჯანა 1:0; ჩიტადელა — ლუმეცანე 3:0; პავია — რიმინი 0:1; პისტოიეზე — სპალ 0:0; პრატო — ლუკეზე 2:3; პრო პატრია — ნოვარა 2:1; ს. ტორესი — პადოვა 0:0; სპეცია — პიზა 2:1

### სერია C1/B

### XXXI ტური

ბენევენტო — ტერამო 1:0; კატანძარო — აკირეალე 1:0; ფერმანა — პეზარო 1:1; ფოჯა — მარტინა 3:3; ჯულიანოვა — ლანჩანო 2:1; სამბენედეტეზე — აკილა 2:1; სორა — კიეტი 1:1; ტარანტო — პატერნო 1:1; ვიტერბეზე — კროტონე 2:1

# ბარსამ მადრიდი ააფეთქა
## ფიგუმდე და ფიგუს მერე


REUTERS მადრიდიდან

„ბარსელონას" გამარჯვების გოლი ხავიმ გაიტანა

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი. XXXIV ტური

**რეალი 1:2 ბარსელონა**

1:0 სოლარი (53), 1:1 კლუივერტი (57), 1:2 ხავი (86)

რეალი: კასილიასი, სალგადო, რაულ ბრავო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექჰემი, კამბიასო, სოლარი (ნუნიესი 84), ზიდანი (გუტი 77), რაული

მწვრთნელი: კარლუშ კეიროში

ბარსელონა: ვ. ვალდესი, რაიციგერი, პუიოლი (მოტა 84), ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ოვერმარსი (ლუის ენრიკე 56), ხავი, კოკუ, დავიდსი, რონალდინიო, სავიოლა (კლუივერტი 56)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ფიგუ, კამბიასო, ფიგუ, სოლარი, ელგერა

გაძევება: ფიგუ (69)

მსაჯი: პერეს ბურული

80 000 მაყურებელი

**მალაგა 1:1 დეპორტივო**

0:1 ვიქტორი (20), 1:1 კანაბალი (41)

მალაგა: კალატაიუდი, ხოსემი, ლიტოსი, ვალკარსე (კანაბალი 29), ხერარდო, ინხუა, ივან ლეკო, დუდა, მიგელ ანხელი, ედგარი (მანუ 73), სალვა

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

დეპორტივო: მუნუა, ექტორი, ჟორჟე ანდრადე, სესარი (ამავისკა 74), კაპდევილა, მაურო სილვა, ფრანი (რომერო 56), ჯალმინია, ვიქტორი (სერხიო 69), დუშერი, ტრისტანი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: დუდა, ფრანი, კაპდევილა, ვიქტორი, ივან ლეკო, სერხიო, მუნუა

მსაჯი: ტელიეს სანჩესი

22 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 3:1 ატლეტიკო**

1:0 ფრედსონი (64), 2:0, 3:0 რადუჩანუ (83, 88), 3:1 ტორესი (90)

ესპანიოლი: ლემენსი, ლოპო, ტორიჩელი, დომორო, პოჩეტინიო, ველამასანი (რადუჩანუ 58), დე ლა პენია, ფრედსონი (მორალესი 83), ალექს ფერნანდესი, მ. პაჯი, ტამუდო (ვომე 76)

მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი

ატლეტიკო: არაგონესესი, კონტრა (ნოვო 68), გარსია კალვო, სერხი, დე ლოს სანტოსი (ნიკოლაიდისი 80), ხორხე, სიმეონე, აგილერა, ნანო (მუსამპა 64), ფ. ტორესი, პაუნოვიჩი

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

გაფრთხილება: ტორიჩელი, დე ლა პენია, დე ლოს სანტოსი, ნოვო

მსაჯი: უნდიანო მალენკო

34 200 მაყურებელი

**სელტა 1:0 ოსასუნა**

1:0 მუნიოსი (49ს.კ.)

სელტა: კავალიერო,ველასკო, ბერიცო, ანხელი, ხუანფრანი, მენდესი, ჯოვანელა (ხოსე იგნასიო 84), გუსტავო ლოპესი (ილიჩი 61), ოუბინია (ლუქსენი 67), მილოშევიჩი, ედუ

მწვრთნელი: რამონ კარნერო

ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო, ანტონიო ლოპესი, კრუჩაგა, ხოსეჩო, მოა, პაბლო გარსია, ვალდო (რივერო 78), მუნიოსი, ვებო (მორალესი 61), ბაკაიოკო (ალფრედო 53)

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

გაფრთხილება: ოუბინია, ჯოვანელა, ილიჩი

მსაჯი: მუნის ფერნანდესი

21 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 1:0 მურსია**

1:0 კიკე ალვარესი (69)

ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, მარტი (ხ. ანდერსონი 69), ბელეტი, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, სენა, ბატალია, ვიქტორი, გიარე (როკელმე 82), კალეხა (როხერი 60)

მწვრთნელი: ფრანსისკო გარსია პაკიტო

მურსია: სანჩეს ბროტო, ურტადო, კლავერო, კუადრადო, მასიელი (ხუანმა 62), ასკარატე (ტატო 71), აკიარი, მიჩელი (ხულიო ალვარესი 75), ლუის გარსია, ხუარესი, რიჩი

მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი

გაფრთხილება: ბატალია, გიარე, ტატო

მსაჯი: ლოსანტოს ომარი

15 960 მაყურებელი

**სარაგოსა 4:4 სევილია**

0:1 კასკერო (5), 1:1, 2:1 ვილა (26, 42), 2:2 კასკერო (47), 3:2, 4:2 ვილა (53, 57პ), 4:3 ბაპტისტა (67პ), 4:4 კარლოსი (90)

სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, ტოლედო, ჩანი (ხუანელე 61), სავიო (კაპი 67), პონციო, მოვილია, დავიდ პირი, ხენერელო (სორიანო 46), დანი, ვილა

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო (კარლოსი 58), დავიდ კასტედო, დანიელ ალვესი, ხ. რედონდო (გალიარდო 46), ანტონიო ლოპესი, პაბლო ალფარო (მაგალიანესი 79), მარტი, ბაპტისტა, კასკერო, ანტონიტო

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

გაფრთხილება: ხენერელო, ხავი ნავარო, ტოლედო, სორიანო, ვილა, დავიდ პირი

გაძევება: ტოლედო (66)

მსაჯი: მეხია დავილა

28 000 მაყურებელი

**ბეტისი 2:1 სოსიედადი**

1:0 ბენხამინი (14), 2:0 დანი (20), 2:1 ნიჰათი (45)

*კარპინმა ვერ გაიტანა პენალტი (35, მეკარე)*

*კოვაჩევიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (85, მეკარე)*

ბეტისი: პრატსი, ხუანიტო, ვარელა, ტაისი, ისმაელი (დენილსონი 56), ხოაკინი, მ. ასუნსაო, ბენხამინი, მელი, დანი (არზუ 87), ალფონსო

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

სოსიედადი: ალბერტო, კვარმე, ლოპეს რეკარტე, შურერი, პოტილიონი, ხაბი ალონსო (ალკისა 71), კარპინი (კოვაჩევიჩი 56), არანბურუ, გაბილონდო, ნიჰათი, დე პაულა (ხავიერ პრიეტო 56)

მწვრთნელი: რეინალდ დენიო

გაფრთხილება: ვარელა, არანბურუ, ხაბი ალონსო, კვარმე, მელი

გაძევება: ბენხამინი (84)

მსაჯი: ესკინას ტორესი

25 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 1:3 მალიორკა**

0:1 დელიბაშიჩი (16), 1:1 ჩემა (59), 1:2, 1:3 კორეა (69, 84)

ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი (ოსკარ სანჩესი 75), ხონათანი, ტორეს გომესი, ჟულიო სეზარი (პაბლო პასი 14), ოსკარი, ჩემა (ფიგეროდო 78), როკეტი, კამინერო, ფ. სალესი, ლოსადა

მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი

მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო (რამისი 54), ლუსენჰოფი, კორტესი, პოლი, პერეირა, მარკოსი (ნადალი 74), ფინიდი, ეტოო, კორეა, დელიბაშიჩი (ხესუს პერერა 62)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

გაფრთხილება: პოლი, ნინიო, ეტოო, კამინერო

მსაჯი: ტრისტანტე ოლივა

21 000 მაყურებელი

**რასინგი 0:2 ალბასეტე**

0:1 პაჩეკო (43), 0:2 რედონდო (54)

რასინგი: რიკარდო, პაბლო კასარე, აიოზე (აფეკი 58), მორა, ხუანმა, ნაფტი, მორანი, რეგუერო, მატეო (ბენაიუნი 46), ხავი გერერო, ხონათანი (რაულ სანჩესი 68)

მწვრთნელი: ლუკას ალკარასი

ალბასეტე: ალმუნია, ოსკარი, ბუადესი, ფ. ნავარო, პაბლო, ვიაუდი, დავიდ სანჩესი (ალვარო 87), კ. მუნტიანუ, გ. რედონდო, არანდა (მიკელი 76), პაჩეკო (ბასტი 65)

მწვრთნელი: სეზარ ფერანდო

გაფრთხილება: მატეო, მორანი, ნავარო

მსაჯი: რუბინოს პერესი

13 090 მაყურებელი

**ბილბაო — ვალენსია**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

გუშინ ღამით, „რეალი" — „ბარსელონას" დასრულების მერე, ესპანური გაზეთების ინტერნეტვერსიები გადავათვალიერეთ და რასაც ველოდით, ის აღმოვაჩინეთ — მადრიდული გაზეთები იმას ჩივიან, ჩემპიონობა ხელიდან გვისხლტებაო, კატალონიელები კი მოსისხლე მტრის დაჯაბვნით ხარობენ.

„ბარსამ" მადრიდში მოიგო და ლა ლიგა „ვალენსიას" გადაულოცა" — წერს მადრიდული „მარკა". „ბარსა" გალაქტიკოსის დინამიტია" — ასე დაასათაურა მატჩის მიმოხილვა ბარსელონურმა „სპორტმა", „გალაქტიკოსი" კი, მოგეხსენებათ, „რეალის" მეტსახელია.

საინტერესო უნდა იყოს, ფიგუს გაძევების გამო გაკეთებული კომენტარებიც: „ფიგუს გაძევების მერე „ბარსამ" თამაშის მოგება შეძლო". და მეორე: „ფიგუს სრულიად დამსახურებული გაძევების მერე „ბარსამ" „რეალი" მორალურად გატეხა და დაამარცხა". ალბათ განმარტება საჭირო არ არის, ამ კომენტართაგან რომელია მადრიდული გაზეთის და რომელი ბარსელონურის.

ფიგუს გაძევებამ მართლაც დიდი გავლენა მოახდინა თამაშის მსვლელობაზე, საერთოდ კი მატჩი სამ ნაწილად შეგვიძლია გავყოთ — პირველი ნახევარი საათი, ფიგუს გაგდებამდე და ფიგუს გაგდების მერე. პირველ მონაკვეთში „ბარსა" მეტნაკლებ უპირატესობას ფლობდა და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა. ამათგან გამოსარჩევია რონალდინიოს ვერაგული დარტყმა და საჯარიმოში ივან ელგერას ხელით თამაში. რონალდინიოს კასილიასმა აუღო, ელგერას ხელით გასწორებული ბურთი კი მსაჯს გამოეპარა.

პირველი ტაიმის ბოლო 10-15 წუთი მთლიანად მადრიდელებისა იყო. „რეალის" უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო გახლდათ, რომ „სპორტიც" იძულებული შეიქნა, ასეთი რამ დაეწერა: „ბოლო ათ წუთში ისტორია შეიცვალა. მადრიდელებს ორი უნაღდესი მომენტი ჰქონდათ და „ბარსას" მეტისმეტად გაუმართლა, რომ გადარჩა. ზიდანის დარტყმული ვალდესმა უხერხულად მოიგერია და რაულის დამატებულსაც გადაეფარა, მეორედ კი რობერტო კარლოსმა დაამატა და კარლეს პუიოლმა ბურთი კარის ხაზზე სახით მოიგერია!"

მალევე საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ფიგუმ დაჰკრა და ხარიხას გაარტყა, დამატებულზე კი ვალდესმა ლამის ხაზს შიგნიდან გამოიტანა.

გარდა ამისა, მეორე ტაიმის დასაწყისში, ზიდანი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ისევ ვალდესმა იყოჩაღა.

„რეალმა" გოლის გატანა მაინც მოახერხა. ბარსელონელებმა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ვერაფერი მოუხერხეს, საჯარიმოდან ვერ გაიტანეს და სანტიაგო სოლარიმ, მასპინძელთაგან ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა, შორეულ კუთხეში ჩააჭედა.

ფრანკ რაიკარდმა მაშინვე ორმაგი შეცვლა გააკეთა და მოედანზე ლუის ენრიკე და პატრიკ კლუივერტი შეუშვა. აბსოლუტურად ზუსტი შეცვლები გამოუვიდა — კლუივერტმა ბურთთან პირველივე შეხებით, კოკუ-ვან ბრონკჰორსტის კომბინაცია გოლით დაასრულა.

მერე გააძევს ფიგუ. პორტუგალიელს ყვითელი ბარათი მიღებული ჰქონდა და როცა ერთ ეპიზოდში კარლეს პუიოლის წინააღმდეგ გაშლილი ფეხით წავიდა და ჩააზილა, მსაჯმა უყოყმანოდ აუფრიალა მეორე. ცოტა ხანში კარლუშ კეიროშმა თავისი სხვა საუკეთესო ფეხბურთელები, ზიდანი და სოლარიც გაიყვანა და მატჩის დასასრული მთლიანად „ბარსელონასი" იყო. გაუთავებელ იერიშებს კატალონიელთა გამარჯვების გოლი მოჰყვა — ხავიმ თავზე გადაუგდო ბურთი კასილიასს.

ხოლო როცა მსაჯმა საფინალოდ ჩასტვინა... აქ ისევ „სპორტს" დავესესხოთ: „ბარსამ" გაიმარჯვა! „რეალ მადრიდმა" სანახევროდ დაკარგა ჩემპიონობის შანსი. და თუ „ვალენსიამაც" წააგო, ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეიძლება!"

**ჟოტე ჟეჟელია**

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია | 33 | 21 | 7 | 5 | 65:23 | 42 | 70 | 17 | 11 | 3 | 3 | 36:15 | 21 | 36 | 16 | 10 | 4 | 2 | 29:8 | 21 | 34 |
| 2 | რეალი | 34 | 21 | 7 | 6 | 67:42 | 25 | 70 | 17 | 13 | 2 | 2 | 39:18 | 21 | 41 | 17 | 8 | 5 | 4 | 28:24 | 4 | 29 |
| 3 | ბარსელონა | 34 | 19 | 9 | 6 | 57:35 | 22 | 66 | 17 | 8 | 6 | 3 | 28:13 | 15 | 30 | 17 | 11 | 3 | 3 | 29:22 | 7 | 36 |
| 4 | დეპორტივო | 34 | 18 | 8 | 8 | 54:32 | 22 | 62 | 17 | 11 | 3 | 3 | 31:15 | 16 | 36 | 17 | 7 | 5 | 5 | 23:17 | 6 | 26 |
| 5 | ბილბაო | 33 | 14 | 9 | 10 | 46:40 | 6 | 51 | 16 | 10 | 3 | 3 | 27:14 | 13 | 33 | 17 | 4 | 6 | 7 | 19:26 | -7 | 18 |
| 6 | ოსასუნა | 34 | 11 | 15 | 8 | 36:31 | 5 | 48 | 17 | 6 | 7 | 4 | 22:20 | 2 | 25 | 17 | 5 | 8 | 4 | 14:11 | 3 | 23 |
| 7 | ატლეტიკო | 34 | 13 | 9 | 12 | 41:44 | -3 | 48 | 17 | 10 | 5 | 2 | 26:13 | 13 | 35 | 17 | 3 | 4 | 10 | 15:31 | -16 | 13 |
| 8 | ვილიარეალი | 34 | 13 | 8 | 13 | 42:43 | -1 | 47 | 17 | 8 | 5 | 4 | 25:18 | 7 | 29 | 17 | 5 | 3 | 9 | 17:25 | -8 | 18 |
| 9 | მალაგა | 34 | 14 | 5 | 15 | 45:49 | -4 | 47 | 17 | 9 | 4 | 4 | 32:24 | 8 | 31 | 17 | 5 | 1 | 11 | 13:25 | -12 | 16 |
| 10 | სევილია | 34 | 12 | 10 | 12 | 49:42 | 7 | 46 | 16 | 10 | 2 | 4 | 27:13 | 14 | 32 | 18 | 2 | 8 | 8 | 22:29 | -7 | 14 |
| 11 | ბეტისი | 34 | 11 | 13 | 10 | 42:38 | 4 | 46 | 18 | 5 | 9 | 4 | 21:20 | 1 | 24 | 16 | 6 | 4 | 6 | 21:18 | 3 | 22 |
| 12 | სოსიედადი | 34 | 10 | 10 | 14 | 40:47 | -7 | 40 | 17 | 7 | 5 | 5 | 21:19 | 2 | 26 | 17 | 3 | 5 | 9 | 19:28 | -9 | 14 |
| 13 | ალბასეტე | 34 | 11 | 7 | 16 | 34:42 | -8 | 40 | 17 | 8 | 2 | 7 | 21:16 | 5 | 26 | 17 | 3 | 5 | 9 | 13:26 | -13 | 14 |
| 14 | სარაგოსა | 34 | 10 | 9 | 15 | 40:50 | -10 | 39 | 17 | 5 | 7 | 5 | 22:19 | 3 | 22 | 17 | 5 | 2 | 10 | 18:31 | -13 | 17 |
| 15 | მალიორკა | 34 | 11 | 6 | 17 | 43:60 | -17 | 39 | 17 | 5 | 5 | 7 | 23:29 | -6 | 20 | 17 | 6 | 1 | 10 | 20:31 | -11 | 19 |
| 16 | რასინგი | 34 | 10 | 9 | 15 | 44:58 | -14 | 38 | 17 | 5 | 3 | 9 | 21:29 | -8 | 18 | 17 | 5 | 6 | 6 | 23:29 | -6 | 21 |
| 17 | ვალიადოლიდი | 34 | 9 | 10 | 15 | 40:51 | -11 | 37 | 17 | 6 | 5 | 6 | 20:21 | -1 | 23 | 17 | 3 | 5 | 9 | 20:30 | -10 | 14 |
| 18 | ესპანიოლი | 34 | 11 | 4 | 19 | 41:56 | -15 | 37 | 17 | 6 | 2 | 9 | 20:26 | -6 | 20 | 17 | 5 | 2 | 10 | 21:30 | -9 | 17 |
| 19 | სელტა | 34 | 8 | 12 | 14 | 43:59 | -16 | 36 | 17 | 3 | 4 | 10 | 14:36 | -22 | 13 | 17 | 5 | 8 | 4 | 29:23 | 6 | 23 |
| 20 | მურსია | 34 | 3 | 11 | 20 | 25:52 | -27 | 20 | 17 | 3 | 7 | 7 | 17:23 | -6 | 16 | 17 | 0 | 4 | 13 | 8:29 | -21 | 4 |

*„რასინგს" დაკლებული აქვს 1 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 24 |
| მისტა (ვალენსია) | 19 |
| სალვა (მალაგა) | 17 |
| ვილა (სარაგოსა) | 17 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 16 |
| ბაპტისტა (სევილია) | 16 |

### XXXV ტური

2 მაისი

| | |
|---|---|
| ალბასეტე | სარაგოსა |
| ატლეტიკო | სელტა |
| ბარსელონა | ესპანიოლი |
| დეპორტივო | რეალი |
| სოსიედადი | ვილიარეალი |
| სევილია | ბილბაო |
| ვალენსია | ბეტისი |
| მალიორკა | მალაგა |
| ოსასუნა | რასინგი |
| მურსია | ვალიადოლიდი |

### სეგუნდადივიზიონი

XXXIV ტური

**სიუდად მურსია 2:2 კადისი**

1:0, 2:0 გუიზა (17, 31), 2:1 ესპადასი (60), 2:2 ენრიკე (90)

**რაიო ვალეკანო 1:1 ალმერია**

1:0 ბოლო (11), 1:1 სანონი (90)

**ლეგანესი 0:0 ტენერიფე**

**ხერესი 1:2 ალავესი**

1:0 კაჩორო (14), 1:1 დე ლუკასი (31), 1:2 რუბენ ნავარო (86)

**ლას პალმასი 0:4 უელვა**

0:1 რაულ მოლინა (60პ), 0:2 არპონი (61), 0:3 რაულ მოლინა (62), 0:4 ტოედტლი (84)

**ელჩე 2:1 სპორტინგი**

1:0 მოიზესი (5), 2:0 ნინო (69), 2:1 ბილიჩი (75პ)

**ტერასა 0:1 მალაგა B**

0:1 ხუანმა (85)

**პოლი ეხიდო 0:0 ხეტაფე**

**სალამანკა 3:0 კორდობა**

1:0, 2:0 რაულ სანჩესი (38პ, 57), 3:0 ტუნი (79)

**ნუმანსია 2:3 ეიბარი**

0:1 ბრიტი (5), 1:1 ფაგიანი (22), 2:1 პინედა (51), 2:2 საისარი (63პ), 2:3 ბრიტი (66)

**ლევანტე 3:1 ალხესირასი**

1:0 რეგი (37), 1:1 არმენტანო (41), 2:1, 3:1 რეგი (60, 72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 34 | 18 | 8 | 8 | 48:24 | 62 |
| ლევანტე | 34 | 17 | 10 | 7 | 43:26 | 61 |
| ალავესი | 34 | 16 | 11 | 7 | 38:27 | 59 |
| სპორტინგი | 34 | 17 | 7 | 10 | 46:31 | 58 |
| ხეტაფე | 34 | 13 | 15 | 6 | 37:30 | 54 |
| უელვა | 34 | 12 | 17 | 5 | 39:26 | 53 |
| ეიბარი | 34 | 12 | 13 | 9 | 36:25 | 49 |
| კადისი | 34 | 14 | 7 | 13 | 39:34 | 49 |
| ელჩე | 34 | 12 | 10 | 12 | 41:47 | 46 |
| ტერასა | 34 | 12 | 9 | 13 | 34:35 | 45 |
| სალამანკა | 34 | 9 | 16 | 9 | 39:33 | 43 |
| ხერესი | 34 | 9 | 16 | 9 | 37:41 | 43 |
| სიუდად მურსია | 34 | 9 | 15 | 10 | 42:50 | 42 |
| კორდობა | 34 | 9 | 13 | 12 | 28:31 | 40 |
| ტენერიფე | 34 | 7 | 18 | 9 | 24:28 | 39 |
| პოლი ეხიდო | 34 | 10 | 9 | 15 | 26:36 | 39 |
| ალმერია | 34 | 8 | 14 | 12 | 36:41 | 38 |
| ლეგანესი | 34 | 8 | 14 | 12 | 30:39 | 38 |
| მალაგა B | 34 | 8 | 13 | 13 | 34:44 | 37 |
| რაიო | 34 | 10 | 7 | 17 | 37:51 | 37 |
| ლას პალმასი | 34 | 7 | 12 | 15 | 37:56 | 33 |
| ალხესირასი | 34 | 4 | 12 | 18 | 29:45 | 24 |

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXIII ტური

**მონაკო 0:1 ნანტი**

0:1 ვაირუა (78)

**ლიონი 3:0 რენი**

1:0 ჟუნინიო პერნამბუკანო (57პ), 2:0 ესიენი (63), 3:0 ლუინდულა (71)

**ტულუზი 3:1 აიაჩო**

1:0 ემანა (42), 2:0 ფორი (65პ), 3:0 ავესაკი (89), 3:1 ბაგაიოკო (90)

**ბასტია 0:2 ბორდო**

0:1 სელადესი (37), 0:2 ფეინდუნო (48)

**მონპელიე 0:3 ლე მანი**

0:1 დამიკო (18), 0:2 კუზინი (29), 0:3 პანკრატე (33)

**გენგამი 1:0 ლანსი**

1:0 ჟ. ლერუა (6)

**მეცი 1:0 ნიცა**

1:0 პრომენი (62პ)

**ოსერი 2:1 სოშო**

1:0 კალუ (49), 1:1 მექსეში (56ს.კ.), 2:1 ჯ. სისე (58)

**ლილი 0:1 სტრასბური**

0:1 მაკუნი (30ს.კ.)

**პსჟ 2:1 მარსელი**

1:0, 2:0 პაულეტა (18, 61), 2:1 ბატლე (89)

# მონაკომ ნანტს ენა გადმოუგდო



„მონაკო" — „ნანტი". მასპინძლებს ვერც შაბანი ნონდას (შუაში) მონდომებამ მოაგებინა

„მონაკო" „ჩელსიმ" გვარიანად დაღალა და სამთავროს გუნდს „ნანტთან" ამიტომ გაუჭირდა. დიდიე დეშანმა ბერნარდი, როტენი და მორიენტესი პირველ ტაიმში დაასვენა. შესვენების შემდეგ სამივე კი შეუშვა მოედანზე, მაგრამ არაქათგამოცლილ მასპინძლებს ეტყობოდათ, რომ „ჩელსისთან" ბრძოლამ ბლომად ჯანი წაართვათ.

„მონაკოს" შინ მოგება და „ლიონის" გადასწრება სურდა. შეხვედრის ბოლო თხუთმეტი წუთის განმავლობაში მეტოქეს გულიანად უტევდა კიდეც, მაგრამ სტუმრებმა კონტრშეტევაზე გამოიჭირეს. ხელოვნური თამაშგარის შექმნისას მცველები შეცდნენ და იაპი-იაპოს პასით მარამა ვაირუამ ტონი სილვას გაუტანა.

ზედიზედ მესამედ გაჩემპიონების მოსურნე „ლიონმა" ოქროსკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. პოლ ლე გუენის შეგირდებს „რენი" პირველ ტაიმში გაუძალიანდა. შესვენებამდე წუთით ადრე სტუმრებს 19 წლის მცველი გრეგორი ბურილონი გაუძევეს და მეორე ნახევარში „ლიონმა" გაილაღა.

ხელით თამაშის გამო დანიშნული პენალტი ჟუნინიომ გამოიყენა. მერე მიკაელ ესიენმა პეტერ ჩეხის მოგერიებულს დაამატა და ანგარიშში სხვაობა გაზარდა. ბოლოს ჯოვანი ელბერმა იყოჩაღა, რომელმაც მცველს ბურთი ასწაპნა და პეგი ლუინდულას გაატანინა. ჟაკ აბანდონადომ მეცელი ბაბაკარ გეიეს დარტყმული ხელით მოიგერია, თერთმეტმეტრიანი კი პრომენტმა ზუსტად შეასრულა. ამ მოგებით მეცელებმა მეტად მნიშვნელოვანი სამი ქულა მიითვალეს და ქვედა სამეულს ოდნავ მოშორდნენ.

გამარჯვება არანაკლებ სჭირდებოდა „გენგამს" და გაიმარჯვა კიდეც —„ლანსი" მეხუთე წუთზე გატანილი გოლით დაამარცხა. მუმუნი დაგანოს ჩაწოდებულ ბურთს სტუმარი მეკარე შარლ იტანჟე მისწვდა, მაგრამ გაუვარდა და ჟერომ ლეროიმ შეცდომისთვის დასაჯა.

კუნძულზე ტრადიციულად ძლიერად მოთამაშე „ბასტიამ" „ბორდოსთან" ვერაფერი გააწყო. პირველი ტაიმის მიწურულს მარუან შამახმა ფინტებს კოხტა პასიც მიაყოლა და ალბერტ სელადესმა სტუმრები დააწინაურა.

მეორე გოლი სამსვლიან კომბინაციას მოჰყვა — პასკალ ფეინდუნოს ძელმა ბურთი უკან დაუბრუნა და ფორვარდმა დამატებაზე ივარგა.

ლილში მოედანი მსაჯმა „გააყვითლა". ისეთი ფეხბურთი გააჩაღეს გუნდებმა, რომ ბრუნო რუფრეის მათი დაშოშმინება გამუდმებით უხდებოდა. ცხრილში ქვევით ჩაცურებულ „სტრასბურს" მასპინძელმა ჟან მაკუნიმ უშველა, რაკი თავით საკუთარ კარში გაიტანა და სტუმრები გამარჯვებულები გაუშვა.

„ტულუზმა" „აიაჩოს" ძლევით მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა. კორსიკელთა კარში პირველი გოლი აჩილო ემანამ თავური დარტყმით შეაგდო. მერე კუნძულელებს ნიკოლა ბონალი გაუძევეს და მასპინძლებს საქმე გაუიოლდათ. „აიაჩოს" მეკარემ მეტოქე საპენალტოდ წააქცია და სედრიკ ფორიმ იხეირა, ავესაკმა კი შეხვედრის მიწურულს ემანას პასით ტრევიზანი მესამედ დაამწუხრა.

მაჩანჩალების დუელში „ლე მანმა" იმარჯვა და ლიგაში დარჩენის შანსი შეინარჩუნა. ანგარიში ფერნანდო დამიკომ ახლოდან დარტყმით გახსნა. მოგვიანებით „მონპელიეს" მეკარე შეცდა — ბურთს ვერ შესწვდა და დანიელ კუზინმა თავით გაიტანა, ხოლო ორიოდ წუთში ფაბრის პანკრატმა მესამე შეაგდო.

„ოსერმა" „სოშოს" სძლია და მეოთხე ადგილი ჩამოართვა. ბუნავენტურე კალუმ სტუმარი მცველები გააბითურა და [illegible]ოხტა გოლი გამოუვიდა, მექსემმა ბურთი საკუთარ [illegible] მალევე, სისემ [illegible] თავურით კვლავ მასპინძლები დააწინაურა.

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 33 | 21 | 6 | 6 | 57:23 | 69 |
| პსჟ | 33 | 19 | 9 | 5 | 47:25 | 66 |
| მონაკო | 33 | 18 | 11 | 4 | 52:24 | 65 |
| ოსერი | 33 | 17 | 6 | 10 | 52:29 | 57 |
| სოშო | 33 | 16 | 9 | 8 | 47:34 | 57 |
| მარსელი | 33 | 16 | 5 | 12 | 47:39 | 53 |
| ნანტი | 33 | 14 | 8 | 11 | 41:32 | 50 |
| ბორდო | 33 | 12 | 10 | 11 | 33:34 | 46 |
| ლანსი | 33 | 13 | 7 | 13 | 27:41 | 46 |
| ნიცა | 33 | 10 | 14 | 9 | 35:32 | 44 |
| ლილი | 33 | 12 | 8 | 13 | 36:34 | 44 |
| რენი | 33 | 11 | 9 | 13 | 44:42 | 42 |
| ბასტია | 33 | 9 | 11 | 13 | 33:41 | 38 |
| სტრასბური | 33 | 9 | 9 | 15 | 41:49 | 36 |
| გენგამი | 33 | 10 | 6 | 17 | 32:50 | 36 |
| მეცი | 33 | 9 | 8 | 16 | 28:36 | 35 |
| ტულუზი | 33 | 8 | 9 | 16 | 27:40 | 33 |
| აიაჩო | 33 | 8 | 8 | 17 | 28:51 | 32 |
| მონპელიე | 33 | 8 | 5 | 20 | 36:62 | 29 |
| ლე მანი | 33 | 6 | 10 | 17 | 25:50 | 28 |

II დივიზიონი. XXXIII ტური

კლერმონი — შატორუ 0:1; ისტრი — სენტ ეტიენი 0:2; ანჟერი — ლე ავრი 3:1; ბეზანსონი — კრეტეი 0:0; კაენი — სედანი 1:0; გრენობლი — ლორიანი 1:1; ლავალი — ნანსი 2:0; ნიორი — გენიონი 1:3; რუანი — ვალანსი 1:1; ტრუა — ამიენი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ეტიენი | 33 | 20 | 5 | 8 | 40:26 | 65 |
| კაენი | 33 | 16 | 10 | 7 | 45:29 | 58 |
| ისტრი | 33 | 16 | 8 | 9 | 36:21 | 56 |
| ამიენი | 33 | 15 | 8 | 10 | 38:33 | 53 |
| ლორიანი | 33 | 14 | 9 | 10 | 49:36 | 51 |
| ნიორი | 33 | 13 | 12 | 8 | 44:38 | 51 |
| ნანსი | 33 | 12 | 13 | 8 | 40:29 | 49 |
| სედანი | 33 | 11 | 15 | 7 | 31:27 | 48 |
| შატორუ | 33 | 13 | 9 | 11 | 42:40 | 48 |
| ლე ავრი | 33 | 13 | 9 | 11 | 39:39 | 48 |
| ტრუა | 33 | 11 | 12 | 10 | 36:39 | 45 |
| კრეტეი | 33 | 9 | 13 | 11 | 35:39 | 40 |
| კლერმონი | 33 | 8 | 15 | 10 | 33:43 | 39 |
| გრენობლი | 33 | 7 | 15 | 11 | 30:32 | 36 |
| ვალანსი | 33 | 8 | 12 | 13 | 38:46 | 36 |
| ანჟე | 33 | 8 | 11 | 14 | 31:41 | 35 |
| ლავალი | 33 | 7 | 12 | 14 | 41:48 | 33 |
| გენიონი | 33 | 6 | 14 | 13 | 29:40 | 32 |
| ბეზანსონი | 33 | 5 | 13 | 15 | 28:42 | 28 |
| რუანი | 33 | 4 | 13 | 16 | 24:41 | 25 |

## რუსეთი

პრემიერლიგა. VIII ტური

**როტორი 2:2 ლოკომოტივი**

0:1 სიჩოვი (2), 1:1, 2:1 ესიპოვი (15, 29), 2:2 სიჩოვი (90)

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი (ნიგმატულინი 46), ევსეევი, სენიკოვი, პაშინინი, გურენკო, ჩესნაუსკისი (პიმენოვი 73), მამინოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, აშვეთია, სიჩოვი

მწვრთნელი: იური სიომინი

**ამკარი 0:1 დინამო**

0:1 ბულიკინი (54)

**ტორპედო 3:1 ზენიტი**

0:1 კერჟაკოვი (34), 1:1 ბუდილინი (54), 2:1, 3:1 პანოვი (70, 79)

**შინიკი 0:1 კრილია**

0:1 კარიაკა (23)

**სატურნი 2:0 როსტოვი**

1:0 მედვედევი (69), 2:0 ბაჟენოვი (89)

**რუბინი 2:0 სპარტაკი**

1:0 ალოიზიო (15), 2:0 კონოვალოვი (51)

**ცსკა 1:0 ალანია**

1:0 კირიჩენკო (59)

**ტ. მეტალურგი 2:2 ყუბანი**

0:1 კანტონისტოვი (33), 1:1 ბრაკამონტე (41), 2:1 რიზვიჩი (68), 2:2 ლანდირიოვი (90)

# პანოვი ტორპედოს ტორპედოა



დასჯილი იური სიომინი

ვოლგოგრადში „როტორის" ახალი მწვრთნელის, ვალერი იარემჩენკოს დებიუტი შედგა. უკრაინელის თავკაცობით პირველივე მატჩი რომ ვერ მოიგეს ვოლგისპირელებმა, მეტწილად მსაჯის დამსახურებაა, რომელმაც შეხვედრას ექვსი წუთი დაამატა.

„ლოკომოტივი" სიჩოვის გოლით დაწინაურდა. ფორვარდმა ლოსკოვის პასით გაიტანა, ვთქვათ, რომ პირველ ტაიმში სტუმრები მეტოქეს სჯობნიდნენ, მაგრამ ვალერი ესიპოვის ორი საჯარიმო დარტყმით ყველაფერი ყირამალე დადგა.

ესიპოვმა 35 მეტრიდან ცხრიანში შეაგდო ბურთი, შემდეგ კი შედარებით ახლო მანძილიდანაც გააბითურა ოვჩინიკოვი.

დისკვალიფიცირებული იური სიომინი ტრიბუნაზე იჯდა და გუნდს თანაშემწის დახმარებით მეთაურობდა. სტუმართა მწვრთნელმა შესვენებისას „მძინარე" ოვჩინიკოვი ნიგმატულინით შეცვალა.

„ლოკომოტივმა" მატჩის ბოლოს გაათანაბრა — ლოსკოვის ჩაწოდებულ ბურთს სიჩოვმა თავი საგოლედ შეაგება.

„რუბინმა" სეზონში პირველი შეხვედრა მოიგო. ყაზანს ნევიო სკალას „სპარტაკი" ეწვია და სამი ქულა დატოვა. მასპინძელთა მწვრთნელ ყურბან ბერდიევს გათავისუფლებით ემუქრებოდნენ და შესაძლოა, ამ გამარჯვებამ მას პოსტი შეუნარჩუნოს.

ანგარიში „რუბინის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ალოიზიომ გახსნა. მოსკოველები მსაჯს ედავებოდნენ, ალოიზიომ დარტყმამდე ბურთი ხელით გააჩერო, მაგრამ ივანოვმა მათ ყური არ უგდო.

შესვენების შემდეგ კონოვალოვმა „სპარტაკს" მეორე გაუტანა, სტუმრები მერელა გამოცოცხლდნენ, თუმც ამაოდ.

„ტორპედო-მეტალურგმა" მოგება ხელიდან ბოლო წუთზე გაუშვა. „ყუბანი" კანტონისტოვის პენალტით მალე დაწინაურდა, პირველი ნახევრის მიწურულს კი არგენტინელმა ბრავამონტემ საჯარიმოს ხაზიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა.

რიზვიჩმა შესვენების შემდეგ ძელთან მოიხელთა ბურთი და კარში მიუჩინა ადგილი, ხოლო ლანდირევმა „ყუბანის" მეოთხე სასამსეზონო ფრე გვიანი გოლით გამოაცხო.

მეტად ულიმღამო და უინტერესო თამაშში ცსკა-მ „ალანიას" სძლია და სამმატჩიანი მარცხიანი სერია შეწყვიტა. კირიჩენკოს დარტყმული ბურთი აცაბაცა წავიდა კარში და ხომიჩმა მისი მოხელთება ვერ შეძლო.

ლიდერთა ბრძოლაში „ტორპედომ" იმარჯვა. ხელოვნურ საფარზე თამაშს ნაჩვევმა მოსკოველებმა „ზენიტს" მეორე ტაიმში სამჯერ გაუტანეს, არადა, ნევისპირელები კერჟაკოვის გოლით იგებდნენ. შესვენების შემდეგ ბუდელინმა პენალტით გაათანაბრა, ხოლო ყოფილმა ზენიტელმა პანოვმა წყვილი გაიტანა და „ტორპედომ" პეტერბურგელები სამი ქულით ჩამოიტოვა.

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 5 | 3 | 0 | 19:7 | 18 |
| ზენიტი | 8 | 4 | 3 | 1 | 17:14 | 15 |
| სპარტაკი | 8 | 4 | 2 | 2 | 18:12 | 14 |
| ცსკა | 8 | 3 | 4 | 1 | 12:8 | 13 |
| ლოკომოტივი | 8 | 3 | 4 | 1 | 9:5 | 13 |
| დინამო | 8 | 2 | 5 | 1 | 10:5 | 11 |
| სატურნი | 8 | 2 | 5 | 1 | 10:7 | 11 |
| კრილია | 8 | 3 | 2 | 3 | 12:16 | 11 |
| ტ. მეტალურგი | 8 | 2 | 4 | 2 | 13:10 | 10 |
| ალანია | 8 | 2 | 3 | 3 | 3:6 | 9 |
| შინიკი | 8 | 2 | 2 | 4 | 3:7 | 8 |
| ამკარი | 8 | 2 | 2 | 4 | 3:10 | 8 |
| რუბინი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:9 | 7 |
| ყუბანი | 8 | 1 | 4 | 3 | 6:10 | 7 |
| როსტოვი | 8 | 1 | 3 | 4 | 8:14 | 6 |
| როტორი | 8 | 1 | 2 | 5 | 11:21 | 5 |



ჯეისონ სკოტლენდი

# სკოტლენდმა ჩაფრებს სიხარული მოჰპარა

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXXIV ტური**

**დანდი იუნ. 3:3 რეინჯერსი**

1:0 დოდსი (1), 1:1, 1:2 ტომპსონი (6, 14პ), 1:3 ნამუში (44), 2:3, 3:3 სკოტლენდი (59, 90)

რეინჯერსი: მაკგრეგორი, ჰატონი, ხიზანიშვილი, ფ. დე ბური, ბოლი (მორის როსი 75), ბარკი, რიკსენი, ს. ჰიუზი, გ. რაე (ვანოლი 52), მოლსი (ნამუში 26), ს. ტომპსონი

*შოთა არველაძე ტრავმირებულია*

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: მაკდონალდი

8 339 მაყურებელი

**დანფერმლაინი 3:0 მოზერუელი**

1:0 ნიკოლსონი (36), 2:0 დემპსი (52), 3:0 იანგი (74)

**კილმარნოკი 2:0 ჰიბერნიანი**

1:0, 2:0 ბოიდი (28, 85)

**ლივინგსტონი 2:0 აბერდინი**

1:0 მაკნამი (24), 2:0 მაკმენამინი (63)

**პარტიკი 0:1 დანდი**

0:1 ლოველი (71)

**ჰართსი 1:1 სელტიკი**

0:1 მაკგიდი (17), 1:1 დე ვრიზი (74)

ტრინიდადტობაგოელმა ფორვარდმა ჯეისონ სკოტლენდმა „რეინჯერსთან" წყვილი გოლი შეაგდო და „დანდი იუნაიტედს" ქულა გადაურჩინა.

მასპინძლები მე-40 წამზე დაწინაურდნენ. „ჩაფართა" ყოფილმა თავდამსხმელმა ბილი დოდსმა მარკ ვილსონის შესრულებული საჯარიმოთი იხეირა და მაკგრეგორს ახლოდან გაუტანა.

სტუმრები მალევე გონს მოეგნენ და სტივენ ტომპსონმა პირველი რეინჯერსული დუბლი შეასრულა.

მან ჯერ კრის ბურკის პასით მოხდენილი დარტყმით გაათანაბრა, შემდეგ კი ჰიუზის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

ტაიმის დასრულებამდე წუთით ადრე „ჩაფართა" ფრანგმა ლეგიონერმა ჰამედ ნამუშიმ ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა. მეკარემ ფრანგს პირველ ცდაზე აჯობა, მაგრამ მეორეს უკვე ვერაფერი მოუხერხა.

„რეინჯერსის" მოგება ყმაწვილმა ფორვარდმა, ჯეისონ სკოტლენდმა არ დაანება. შეცვლაზე შესულმა ტრინიდადტობაგოელმა ერთი გაქვითა, შეხვედრის მიწურულს კი ფრანკ დე ბურის შეცდომით ისარგებლა — ჰოლანდიელმა ბურთი თავის საჯარიმოში დაკარგა, რასაც გოლი მოჰყვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 34 | 29 | 4 | 1 | 100:21 | 91 |
| რეინჯერსი | 34 | 23 | 6 | 5 | 69:29 | 75 |
| ჰართსი | 34 | 15 | 11 | 8 | 48:37 | 56 |
| დანფერმლაინი | 34 | 13 | 11 | 10 | 38:43 | 50 |
| მოზერუელი | 34 | 12 | 9 | 13 | 39:40 | 45 |
| დანდი იუნ. | 34 | 11 | 10 | 13 | 42:54 | 43 |
| ლივინგსტონი | 34 | 9 | 12 | 13 | 40:48 | 39 |
| ჰიბერნიანი | 34 | 9 | 11 | 14 | 37:54 | 38 |
| დანდი | 34 | 9 | 10 | 15 | 42:55 | 37 |
| კილმარნოკი | 34 | 10 | 5 | 19 | 41:68 | 35 |
| აბერდინი | 34 | 9 | 7 | 18 | 38:54 | 34 |
| პარტიკი | 34 | 4 | 6 | 24 | 31:62 | 18 |

**I დივიზიონი. XXXIII ტური**

ეარი — სენტ ჯონსტონი 1:1; ფოლკირკი — სენტ მირენი 1:0; ქუინი — ბრეჩინი 2:2; რეითი — ინვერნესი 0:1; როსი — კლაიდი 0:0

**II დივიზიონი. XXXIII ტური**

ერდრი — ფორფარი 2:2; ალოა — ჰამილტონი 1:1; არბროთი — სტენჰაუზმური 1:1; ბერვიკი — მორტონი 2:0; დამბარტონი — ისტ ფაიფი 1:0

**III დივიზიონი. XXXIII ტური**

ისტ სტირლინგი — ალბიონი 1:8; ელგინი — სტირლინგი 0:1; მონტროუზი — გრეტნა 1:4; პიტერჰედი — ქუინზ პარკი 1:1; სტრანრარი — კოუდენბითი 1:0


სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით





ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...

სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...

საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49


## ბელგია

**იუპილერლიგა. XXXI ტური**

**მუსკრონი 1:1 ბრიუგე**

0:1 სმოლდერსი (10), 1:1 პიერონი (88)

**ლიერსი 1:1 ანდერლეხტი**

0:1 იესტროვიჩი (23პ), 1:1 დელორგი (56)

**სერკლ ბრიუგე 2:1 სენტ ტრუიდენი**

0:1 ბაროტო (40), 1:1 ჟბარი (47), 2:1 ბორკელმანსი (50)

**ბეერსხოტი 3:1 შარლერუა**

0:1 დუფერი (21), 1:1 სნელდერსი (38), 2:1 ჰააგდორენი (66), 3:1 სნელდერსი (88)

**მონსი 0:0 ვესტერლო**

**გენკი 1:0 ბევერენი**

1:0 რუსელი (90)

**სტანდარდი 4:1 ჰეუსდენი**

1:0 ტურაკი (4), 2:0 კაკლამანოსი (40), 2:1 დე კამარგო (48), 3:1 ე. მპენზა (72), 4:1 ვალასიაკი (80)

**ლუვიე 2:2 გენტი**

0:1 უსალაში (38), 0:2 იარაკოვიჩი (58), 1:2 ტილმანი (82), 2:2 მაგრო (87)

**ლოკერენი 3:0 ანტვერპენი**

1:0 ტაილსონი (72), 2:0 გრეტარსონი (74), 3:0 ბალდვინსონი (83)

# ბრიუსელი მოოქროვდა



ბელგიაში „ანდერლეხტმა" იპირველა

ბელგიური ოქრო „ანდერლეხტს" ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე მუსკრონელმა პიერონიმ ჩააბუტა.

ბრიუსელელთა მდევარ „ბრიუგეს" საჩემპიონო შანსის შესანარჩუნებლად „მუსკრონთან" მოგება სჭირდებოდა. სტუმრები ტიმ სმოლდერსის გოლით დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ მასპინძლებმა შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე პიერონის გოლით გაათანაბრეს.

„ანდერლეხტი" ჩემპიონის რანგში ეწვია „ლიერსს" და ერთი ქულა დაუტოვა. ნენად იესტროვიჩის გატანილი პენალტი ლიერსელმა დელორგემ მეორე ტაიმში გაქვითა.

აქვე ვთქვათ, რომ ბრიუსელურმა გუნდმა ოქრო 28-ედ მოიგო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 31 | 23 | 5 | 3 | 72:25 | 74 |
| ბრიუგე | 31 | 19 | 6 | 6 | 64:31 | 63 |
| სტანდარდი | 31 | 17 | 10 | 4 | 65:28 | 61 |
| მუსკრონი | 31 | 14 | 13 | 4 | 60:38 | 55 |
| გენკი | 31 | 15 | 8 | 8 | 53:36 | 53 |
| ვესტერლო | 31 | 13 | 9 | 9 | 48:42 | 48 |
| ბეერსხოტი | 31 | 10 | 11 | 10 | 29:34 | 41 |
| ლუვიე | 31 | 8 | 13 | 10 | 39:42 | 37 |
| ლოკერენი | 31 | 10 | 7 | 14 | 42:50 | 37 |
| ლიერსი | 31 | 7 | 15 | 9 | 28:35 | 36 |
| გენტი | 31 | 7 | 14 | 10 | 29:32 | 35 |
| სენტ ტრუიდენი | 31 | 8 | 11 | 12 | 33:45 | 35 |
| ბევერენი | 31 | 10 | 4 | 17 | 37:52 | 34 |
| მონსი | 31 | 7 | 12 | 12 | 29:40 | 33 |
| სერკლი | 31 | 7 | 12 | 12 | 26:48 | 33 |
| შარლერუა | 31 | 6 | 8 | 17 | 32:46 | 26 |
| ანტვერპენი | 31 | 7 | 5 | 19 | 26:59 | 26 |
| ჰეუსდენი | 31 | 6 | 7 | 18 | 32:61 | 25 |

# რა თქმა უნდა, პორტუ!

## პორტუგალია

**სუპერლიგა. XXXII ტური**

**ბენფიკა 3:1 ამადორა**

1:0 ნუნუ გომეში (13), 2:0 შოკოტა (45), 2:1 დ. დიასი (86), 3:1 მ. მონტეირუ (90)

**ლეირია 1:0 სპორტინგი**

1:0 ალანდრა (49)

**ჟილ ვისენტე 0:1 ბოავიშტა**

0:1 ფეიჟ-ფერი (90)

**აკადემიკა 3:2 ფერეირა**

1:0 პაულუ (36), 1:1 კეირუში (68), 1:2 რიკარდინიო (72), 2:2 ტონელი (88), 3:2 მარსელო (90)

**ნასიონალი 3:0 ბეირა მარი**

1:0, 2:0, 3:0 როსატო (25, 52, 90)

**მორეირენსე 3:0 მარიტიმუ**

1:0 მანოელი (3), 2:0 პერეირა (85), 3:0 ტიტო (90)

**პორტუ 1:0 ალვერკა**

1:0 ბოსინგვა (50)

**ბელენენსეში — რიუ ავე**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

**გიმარაეში — ბრაგა**

*დღეს გაიმართება*

„პორტუ" ჩემპიონი გახდა, რადგან მისმა მდევარმა „სპორტინგმა" სტუმრად „ლეირიასთან" წააგო და ლიდერის დაწევა-გადასწრების შანსი დაკარგა.

ლისაბონელთა საჩემპიონო ამბიცია ლეირიელმა ჟოაკიმ ალანდრამ დაასამარა. მან მეორე ტაიმის დასაწყისში საჯარიმოში შექმნილი არეულობისას გაიტანა.

„პორტუს" გულშემატკივრებმა ეს ამბავი რომ გაიგეს, სასტუმროს მიადგნენ, რომელშიც ჟოზე მაურინიუს გუნდი იმყოფებოდა და ტაშფანდური გააჩაღეს.

არსებობს თეორიული შანსი იმისა, რომ „ბენფიკა" და „სპორტინგი" „პორტუს" ქულებით გაუთანაბრდნენ, მაგრამ პორტუელებს უშუალო კონკურენტებთან შეხვედრებში უკეთესი შედეგი აქვთ. ჟოზე მოურინიუს თავკაცობით „თეთრ-ლურჯები" ზედიზედ მეორედ დაეუფლნენ ოქროს. საერთო ჯამში მე-19 ჩემპიონობა იზეიმეს და „სპორტინგი" (18) ჩამოიტოვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 32 | 24 | 7 | 1 | 60:17 | 79 |
| ბენფიკა | 32 | 21 | 7 | 4 | 61:28 | 70 |
| სპორტინგი | 32 | 22 | 4 | 6 | 58:32 | 70 |
| ნასიონალი | 32 | 16 | 5 | 11 | 51:33 | 53 |
| ბრაგა | 31 | 13 | 9 | 9 | 32:36 | 48 |
| რიუ ავე | 31 | 11 | 12 | 8 | 41:30 | 45 |
| მარიტიმუ | 32 | 11 | 12 | 9 | 32:31 | 45 |
| ბოავიშტა | 32 | 11 | 11 | 10 | 30:28 | 44 |
| მორეირენსე | 32 | 11 | 10 | 11 | 30:31 | 43 |
| ლეირია | 32 | 10 | 11 | 11 | 41:45 | 41 |
| ბეირა მარი | 32 | 10 | 8 | 14 | 35:42 | 38 |
| ჟილ ვისენტე | 32 | 9 | 10 | 13 | 40:38 | 37 |
| აკადემიკა | 32 | 10 | 5 | 17 | 35:39 | 35 |
| ალვერკა | 32 | 9 | 5 | 18 | 30:45 | 32 |
| გიმარაეში | 31 | 7 | 10 | 14 | 29:38 | 31 |
| ბელენენსეში | 31 | 7 | 10 | 14 | 31:51 | 31 |
| ფერეირა | 32 | 8 | 3 | 21 | 25:49 | 27 |
| ამადორა | 32 | 4 | 5 | 23 | 21:69 | 17 |

**მეორე ლიგა. XXXII ტური**

შავეში — ვარზიმი 0:1; მადეირა — პენაფიელი 1:3; ლეიშოეში — პორტიმონენსე 0:0; ოვაირენსე — ფეირენსე 2:2; მარკუ — ნავალი 4:2; სეტუბალი — კოვილია 2:1; მაია — სალგეირუში 3:2;ავეში — ფელგეირაში 1:0; ეშტორილი — სანტა კლარა 1:0



პორტუში ტაშ-ფანდური გაჩაღდა

# WELCOME TO BOLTON

## სემ ალარდაისმა რივალდოც მოხიბლა

*იცით, რომ სემ ალარდაისი ინგლისის უდიადეს მყიდველად ითვლება? რამდენიმე წლის წინ ბოლტონელი ქომაგები ვერც იოცნებებდნენ, რომ მათი ქალაქის გუნდში ასეთი გამორჩეული ვარსკვლავები ითამაშებდნენ, დღეს კი ფაქტის წინაშე დგანან: იური ჯორკაეფს, ჯეი-ჯეი ოკოჩას და ივან კამპოს ბრაზილიელი რივალდოც დაემატა. „ბოლტონის" თავმჯდომარე, ფილ გერტსაიდი „დიდი სემის" სატრანსფერო წარმატებებზე ამბობს*





„ეს მისი სელექციონერული ნიჭისა და დეტალებისადმი ყურადღების გამოა. სემმა უდიდესი ვარსკვლავები დაარწმუნა, რომ ბურთის გემოზე გასაგორებლად ბოლტონში უნდა ჩამოსულიყვნენ. ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენთან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები შეიკრიბებოდნენ? ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ჩემპიონების ერთი ნაწილი ბოლტონიდან მიღებულ წინადადებას საკმაოდ სკეპტიკურად ეკიდებოდა, მაგრამ სემთან მოლაპარაკების შემდეგ აზრი შეიცვალეს და ახლა ხედავენ, რომ სწორად მოიქცნენ. სემი მიიჩნევს, რომ ფეხბურთელი როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ, ნაპატრონები უნდა იყოს. ბევრ კლუბში ასე არ არის. იქ, უცხოელი ვარსკვლავები მოედანს გარეთ უყურადღებოდ არიან დატოვებულნი. მეორე ფაქტორი ის არის, რომ სემი მხოლოდ მწვრთნელი არ არის. ის მოთამაშეებს ალუწერს და უხსნის ყველაფერს, რაც აქაურობასთან, აქაურ ყოფასა და საქმიანობასთან დაკავშირებით შეიძლება აინტერესებდეთ. და კიდევ, როდესაც შემადგენლობაში ერთი ვარსკვლავი უკვე გყავს, სხვები იოლად მოდიან".

მართლაც, მწვრთნელი „რიბოკ სტედიუმზე" საგანგებო სულისკვეთებას ჰქმნის და ოკოჩასა და ჯორკაეფის მსგავს ფეხბურთელებს სწორედ ეს სულისკვეთება მოსწონთ.

გერტსაიდი დასძენს: „სემის გუნდში ყოფნა ფეხბურთელებს იმიტომ სიამოვნებთ, რომ შედეგს ხედავენ, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის. შედეგის გარდა მათ სიცილ-ხარხარი და კარგი დროსტარება აქვთ გარანტირებული. სემი მათ საშუალებას აძლევს ფეხბურთის თამაშით და ცხოვრებით ისიამოვნონ".

ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი, რივალდო კი უკვე ბოლტონშია. გუშინ მან სამედიცინო შემოწმება გაიარა, ხოლო დღეს კონტრაქტს უნდა მოაწეროს ხელი. და კიდევ, გერტსაიდის რწმენით, რივალდოს დამატება ოკოჩას ახალი კონტრაქტის ხელმოწერისკენ უბიძგებს.

„ჯეი-ჯეის ჯერ კიდევ სჭირდებოდა გარანტია იმისა, რომ ამბიციურები ვართ. ვფიქრობ, რივალდოს დამატებით მან ეს გარანტია მიიღო. იმედი მაქვს, რომ ახლა ოკოჩა წასვლაზე აღარ იფიქრებს".

**პაპუნა ძიძია**

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XXXI ტური

**როზენდალი 0:3 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 ვან ბომელი (12), 0:2 კეჟმანი (22პ), 0:3 რომედალი (88)

**ჰერენვენი 0:0 ვიტესი**

**ტვენტე 2:0 ტილბურგი**

1:0 გახოკიძე (55), 2:0 ნკუფო (88)

**ალკმაარი 7:0 ვალვაიკი**

1:0, 2:0 მეერდინკი (21, 28), 3:0 კ. პერესი (48), 4:0 ლანძაატი (51), 5:0 ნელისე (55), 6:0 მეერდინკი (59), 7:0 ნელისე (64)

**როდა 1:1 უტრეხტი**

0:1 ტანგე (13), 1:1 კრისტიანო (90)

**ნაიმეგენი 0:0 აიაქსი**

**ფეიენოორდი 2:0 ვოლენდამი**

1:0 შმოლარეკი (44), 2:0 კუიტი (75პ)

**გრონინგენი 2:2 ზვოლე**

1:0 ვან გესელი (19), 2:0 მატიისი (45), 2:1 ვან დერ ჰაარი (70), 2:2 მაურო ალმეიდა (85)

**ბრედა 1:0 დენ ჰააგი**

1:0 ჩ. ფეჰერი (3)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 31 | 22 | 5 | 4 | 67:29 | 71 |
| პსვ | 31 | 20 | 5 | 6 | 80:26 | 65 |
| ფეიენოორდი | 31 | 18 | 8 | 5 | 59:34 | 62 |
| ალკმაარი | 31 | 17 | 5 | 9 | 61:35 | 56 |
| ჰერენვენი | 31 | 16 | 7 | 8 | 44:32 | 55 |
| როდა | 31 | 12 | 10 | 9 | 54:38 | 46 |
| ტილბურგი | 31 | 12 | 9 | 10 | 42:49 | 45 |
| ტვენტე | 31 | 14 | 2 | 15 | 50:48 | 44 |
| უტრეხტი | 31 | 12 | 7 | 12 | 40:48 | 43 |
| ბრედა | 31 | 11 | 9 | 11 | 51:48 | 42 |
| როზენდალი | 31 | 10 | 10 | 11 | 32:38 | 40 |
| ვალვაიკი | 31 | 9 | 9 | 13 | 40:47 | 36 |
| გრონინგენი | 31 | 8 | 9 | 14 | 34:48 | 33 |
| ნაიმეგენი | 31 | 10 | 2 | 19 | 40:55 | 32 |
| დენ ჰააგი | 31 | 7 | 7 | 17 | 29:57 | 28 |
| ზვოლე | 31 | 5 | 10 | 16 | 26:55 | 25 |
| ვიტესი | 31 | 3 | 15 | 13 | 34:52 | 24 |
| ვოლენდამი | 31 | 6 | 5 | 20 | 28:72 | 23 |

### II დივიზიონი. XXXIV ტური

ეინდჰოვენი — დენ ბოსხი 0:3; ჰერაკლესი — სპარტა 0:1; ემენი — მაასტრიხტი 1:1; კამბური — ვეენდამი 0:0; აპელდორნი — იგლსი 1:2; ოსი — სიტარდი 3:1; ვენლო — დორდრეხტი 3:0; ექსელსიორი — ჰაარლემი 3:0; ტელსტარი — ჰელმონდი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ექსელსიორი | 33 | 21 | 7 | 5 | 65:34 | 70 |
| დენ ბოსხი | 34 | 20 | 8 | 6 | 80:45 | 68 |
| სპარტა | 34 | 19 | 6 | 9 | 70:41 | 63 |
| ჰელმონდი | 33 | 19 | 6 | 8 | 62:36 | 63 |
| ჰერაკლესი | 33 | 17 | 9 | 7 | 63:39 | 60 |
| გრააფსხაპი | 33 | 17 | 8 | 8 | 58:39 | 59 |
| ვენლო | 33 | 18 | 4 | 11 | 71:56 | 58 |
| ემენი | 33 | 16 | 10 | 7 | 60:46 | 58 |
| იგლსი | 33 | 13 | 8 | 12 | 72:59 | 47 |
| აპელდორნი | 33 | 11 | 9 | 13 | 54:51 | 42 |
| ოსი | 33 | 11 | 8 | 14 | 52:54 | 41 |
| ტელსტარი | 33 | 11 | 8 | 14 | 49:55 | 41 |
| ჰაარლემი | 34 | 9 | 8 | 17 | 38:61 | 35 |
| ვეენდამი | 33 | 7 | 13 | 13 | 41:65 | 34 |
| კამბური | 33 | 6 | 9 | 18 | 33:61 | 27 |
| დორდრეხტი | 33 | 4 | 14 | 15 | 29:55 | 26 |
| ეინდჰოვენი | 33 | 5 | 11 | 17 | 34:61 | 26 |
| მაასტრიხტი | 33 | 5 | 10 | 18 | 31:67 | 25 |
| სიტარდი | 33 | 3 | 10 | 20 | 34:71 | 19 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XXXI ტური

**გრასჰოპერი 4:1 აარაუ**

1:0, 2:0, 3:0 ნუნიესი (25, 29, 80), 3:1 ყაველაშვილი (81), 4:1 ნუნიესი (84)

**ქსამაქსი 6:1 სერვეტი**

1:0 მფუტი (20), 1:1 ძამბრელა (30), 2:1 ფორშელე (41), 3:1 მფუტი (68), 4:1 ბოტიგი (69), 5:1 ზამბაზი (77), 6:1 ჰასლი (90)

**სენტ გალენი 2:1 თუნი**

0:1 პოჯიჩი (18), 1:1 იმჰოფი (64), 2:1 მერენდა (74)

**იანგ ბოისი 5:1 ვილი**

1:0 ლეანდრო (1), 2:0 შაპუიზა (15), 2:1 ნუში (55), 3:1, 4:1, 5:1 შაპუიზა (64, 76, 84)

**ბაზელი 1:1 ციურიხი**

0:1 პეტროსიანი (22), 1:1 სმილიანიჩი (27)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 31 | 23 | 6 | 2 | 78:28 | 75 |
| იანგ ბოისი | 31 | 19 | 5 | 7 | 66:42 | 62 |
| სერვეტი | 31 | 14 | 6 | 11 | 55:53 | 48 |
| სენტ გალენი | 31 | 11 | 7 | 13 | 48:54 | 40 |
| გრასჰოპერი | 31 | 12 | 4 | 15 | 58:65 | 40 |
| ციურიხი | 31 | 11 | 6 | 14 | 48:47 | 39 |
| თუნი | 31 | 9 | 10 | 12 | 42:51 | 37 |
| აარაუ | 31 | 8 | 10 | 13 | 50:61 | 34 |
| ქსამაქსი | 31 | 8 | 6 | 17 | 40:54 | 30 |
| ვილი | 31 | 6 | 8 | 17 | 34:64 | 26 |

### ჩელენჯლიგა. XXVII ტური

ბადენი — ივერდონი 3:1; ლუცერნი — ვინტერთური 1:3; შო დე ფონი — ვოლენი 1:1; ბელინცონა — დელემონი 4:0; ბულე — მეირინი 2:5; კიასო — სიონი 2:1; ვადუცი — ანიო 2:1. *კრინსი — შაფჰაუზენი 0:0-ზე ჩაიშალა*

## უკრაინა

### პრემიერლიგა. XXII ტური

ზირკა — დინამო 0:1; შახტარი — ობოლონი 2:0; დნიპრო — ტავრია 3:1; კარპატი — ილიჩევეცი 1:1; ბორისფენი — მეტალურგი (დ) 1:1; კრივბასი — ვოლინი 3:0; მეტალურგი (ზ) — ვორსკლა 1:1; არსენალი — ჩერნომორეცი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 17 | 4 | 1 | 47:14 | 55 |
| შახტარი | 22 | 15 | 4 | 3 | 41:16 | 49 |
| დნიპრო | 22 | 13 | 6 | 3 | 37:17 | 45 |
| მეტალურგი (დ) | 22 | 9 | 8 | 5 | 34:24 | 35 |
| ჩერნომორეცი | 22 | 8 | 10 | 4 | 28:23 | 34 |
| არსენალი | 22 | 8 | 7 | 7 | 26:23 | 31 |
| ობოლონი | 22 | 8 | 6 | 8 | 19:24 | 30 |
| ილიჩევეცი | 22 | 6 | 8 | 8 | 23:31 | 26 |
| კრივბასი | 22 | 6 | 6 | 10 | 18:26 | 24 |
| ბორისფენი | 22 | 6 | 6 | 10 | 14:23 | 24 |
| ვოლინი | 22 | 6 | 5 | 11 | 18:30 | 23 |
| ვორსკლა | 22 | 5 | 8 | 9 | 17:28 | 23 |
| მეტალურგი (ზ) | 22 | 5 | 7 | 10 | 16:25 | 22 |
| ტავრია | 22 | 4 | 8 | 10 | 13:21 | 20 |
| კარპატი | 22 | 4 | 7 | 11 | 17:25 | 19 |
| ზირკა | 22 | 2 | 8 | 12 | 11:28 | 14 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. XXXII ტური

ბრეგენცი — მატერსბურგი 3:2; კერნტენი — რაპიდი 0:1; შტურმი — ადმირა 2:0; ზალცბურგი — პაშინგი 1:2; აუსტრია — გრაცერი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 32 | 19 | 8 | 5 | 55:29 | 65 |
| აუსტრია | 32 | 18 | 8 | 6 | 54:25 | 62 |
| რაპიდი | 31 | 15 | 9 | 7 | 45:36 | 54 |
| პაშინგი | 32 | 14 | 11 | 7 | 50:39 | 53 |
| ბრეგენცი | 32 | 11 | 10 | 11 | 42:47 | 43 |
| ადმირა | 32 | 9 | 9 | 14 | 35:43 | 36 |
| მატერსბურგი | 32 | 8 | 9 | 15 | 32:49 | 33 |
| ზალცბურგი | 32 | 9 | 4 | 19 | 38:42 | 31 |
| შტურმი | 32 | 7 | 10 | 15 | 33:45 | 31 |
| კერნტენი | 31 | 5 | 10 | 16 | 26:55 | 25 |

### I დივიზიონი. XXXI ტური

ბლაიბერგი — ლეობენი 3:1; ლუსტენაუ — ვიორგლი 4:0; ტიროლი — რიდი 1:0; კაპფენბერგი — აუსტრია (ლ) 3:1; ლინცერი — უნტერზიბენბრიუნი 4:2

## პოლონეთი

### I ლიგა. XX ტური

კატოვიცე — ლეხი 1:2; სვიტი — ლეჩნა 1:0; ოდრა — პოლონია 1:0; ვიძევი — პოლკოვიცე 2:0; პლოცკი — ამიკა 3:1; გროცლინი — ვისლა 1:6; ლეგია — გურნიკი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 20 | 16 | 1 | 3 | 59:25 | 49 |
| ლეგია | 20 | 13 | 5 | 2 | 38:14 | 44 |
| ამიცა | 20 | 12 | 4 | 4 | 38:21 | 40 |
| გროცლინი | 20 | 10 | 4 | 6 | 47:25 | 34 |
| პლოცკი | 20 | 8 | 7 | 5 | 35:32 | 31 |
| ოდრა | 20 | 8 | 4 | 8 | 23:29 | 28 |
| ლეჩნა | 20 | 8 | 3 | 9 | 19:30 | 27 |
| გურნიკი | 20 | 6 | 7 | 7 | 19:25 | 25 |
| ლეხი | 20 | 6 | 6 | 8 | 34:30 | 24 |
| კატოვიცე | 20 | 6 | 4 | 10 | 16:34 | 22 |
| პოლონია | 20 | 4 | 7 | 9 | 18:32 | 19 |
| ვიძევი | 20 | 3 | 7 | 10 | 21:31 | 16 |
| სვიტი | 20 | 3 | 6 | 11 | 16:33 | 15 |
| პოლკოვიცე | 20 | 3 | 3 | 14 | 13:35 | 12 |

## ხორვატია

### ნაციონალლიგა. XXVIII ტური

ზადარი — ჰაიდუკი 2:3; ვარტექსი — დინამო 3:4; ოსიეკი — რიეკა 2:1; მარსონია — კამენი 1:1; ზაგრები — ინტერი 2:1; ციბალია — სლავენი 2:1

## ირლანდია

### პრემიერლიგა. VIII ტური

დუბლინი — ბოჰემიანსი 2:1; სენტ პატრიკსი — შემროკი 1:2; უოტერფორდი — შელბურნი 1:1; კორკ სიტი — დროჰედა 0:0; ლონგფორდი — დერი სიტი 1:0

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. XXVII ტური

ბანიკი — ტეპლიცე 1:0; სლავია — სიგმა 3:1; ზლინი — იაბლონეცი 2:0; ჟიჟკოვი — ბუდეიოვიცე 1:0; ბლშანი — პრჟიბრამი 1:0; ბრნო — სპარტა 0:0; პლზენი — ოპავა 0:1. *ლიბერეცი — სინოტი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 27 | 16 | 9 | 2 | 54:21 | 57 |
| სპარტა | 27 | 13 | 10 | 4 | 41:21 | 49 |
| სლავია | 27 | 14 | 7 | 6 | 38:18 | 49 |
| სიგმა | 27 | 14 | 7 | 6 | 40:22 | 49 |
| ზლინი | 26 | 12 | 5 | 9 | 30:27 | 41 |
| სინოტი | 26 | 11 | 5 | 10 | 34:32 | 38 |
| ბუდეიოვიცე | 27 | 10 | 6 | 11 | 32:34 | 36 |
| ლიბერეცი | 25 | 8 | 9 | 8 | 24:22 | 33 |
| ტეპლიცე | 27 | 7 | 12 | 8 | 27:29 | 33 |
| იაბლონეცი | 27 | 6 | 14 | 7 | 23:30 | 32 |
| ოპავა | 27 | 8 | 7 | 12 | 28:43 | 31 |
| ბრნო | 27 | 7 | 9 | 11 | 31:38 | 30 |
| პრჟიბრამი | 27 | 8 | 6 | 13 | 28:35 | 30 |
| ჟიჟკოვი | 27 | 6 | 8 | 13 | 17:29 | 26 |
| ბლშანი | 27 | 7 | 5 | 15 | 29:49 | 26 |
| პლზენი | 27 | 4 | 7 | 16 | 20:46 | 19 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. IV ტური

იორგრიტე — აიკ 1:1; მალმიო — გიოტებორგი 1:0; ჰამარბი — ელფსბორგი 1:0; იორებრო — კალმარი 1:2; იურგორდენი — სუნდსვალი 3:1; ჰალმსტადი — ჰელსინგბორგი 3:2; ტრელებორგი — ლანდსკრონა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 4 | 3 | 1 | 0 | 11:2 | 10 |
| ჰალმსტადი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 10 |
| იურგორდენი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 8 |
| ჰამარბი | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| კალმარი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| იორგრიტე | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| გიოტებორგი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:1 | 5 |
| ტრელებორგი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| აიკ | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| იორებრო | 4 | 1 | 0 | 3 | 5:12 | 3 |
| ჰელსინგბორგი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:7 | 2 |
| ლანდსკრონა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| სუნდსვალი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| ელფსბორგი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:11 | 0 |

### სუპერეტა. II ტური

ენკიოპინგი — კაფე ოპერა 0:0; ჰეკენი — ფალკენბერგი 2:0; ფრისკა — იოსტერსი 0:2; ასირისკა — გაის 3:2; ატვიდაბერგი — ვასტერასი 2:1; ბრაგე — ნორჩიოპინგი 2:2; ბრომაპოიკარნა — ფრიოლუნდა 0:0. *ბოდენი — გეფლე გადაიდო*

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XXVII ტური

ინტერი — სლოვანი 3:1; პუხოვი — ბანსკა ბისტრიცა 0:0; რუჟომბეროკი — პეტრჟალკა 2:1; ტრენჩინი — ტრნავა 3:0; ჟილინა — დუბნიცა 3:1

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. XXVII ტური

აეკ — პანილიაკოსი 1:0; კალითეა — ქსანთი 3:1; აკრატიტოსი — ირაკლისი 1:0; არისი — ხალკიდონა 3:0; ეგალეო — ოფი 1:0; იონიკოსი — პროდეფტიკი 2:1; ოლიმპიაკოსი — პანიონიოსი 2:0; პაოკ — პანათინაიკოსი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 27 | 21 | 5 | 1 | 54:16 | 68 |
| ოლიმპიაკოსი | 27 | 21 | 3 | 3 | 63:18 | 66 |
| პაოკ | 27 | 17 | 5 | 5 | 44:24 | 56 |
| ეგალეო | 27 | 15 | 6 | 6 | 35:21 | 51 |
| აეკ | 27 | 14 | 6 | 7 | 50:28 | 48 |
| ხალკიდონა | 27 | 12 | 6 | 9 | 36:35 | 42 |
| პანიონიოსი | 27 | 10 | 10 | 7 | 35:27 | 40 |
| ირაკლისი | 27 | 11 | 5 | 11 | 37:36 | 38 |
| ქსანთი | 27 | 8 | 6 | 13 | 27:38 | 30 |
| ოფი | 27 | 7 | 6 | 14 | 24:40 | 27 |
| იონიკოსი | 27 | 7 | 5 | 15 | 28:40 | 26 |
| კალითეა | 27 | 5 | 10 | 12 | 35:38 | 25 |
| არისი | 27 | 6 | 5 | 16 | 22:42 | 23 |
| აკრატიტოსი | 27 | 5 | 7 | 15 | 28:60 | 22 |
| პანილიაკოსი | 27 | 4 | 7 | 16 | 26:53 | 19 |
| პროდეფტიკი | 27 | 3 | 8 | 16 | 21:49 | 17 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. XXXI ტური

მალათია — გალათასარაი 1:2; ბურსა — ელაზიგი 4:0; ისთანბული — გაზიანთეფი 0:1; რიზე — სებათი 0:1; ტრაბზონი — დიარბაქირი 2:0; ანკარაგიუჯიუ — კონია 1:0; დენიზლი — გენჩლერი 1:2; სამსუნი — ადანა 2:1; ბეშიქთაში — ფენერბაჰჩე 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 31 | 21 | 7 | 3 | 73:36 | 70 |
| ტრაბზონი | 31 | 20 | 5 | 6 | 51:32 | 65 |
| ბეშიქთაში | 31 | 18 | 8 | 5 | 66:41 | 62 |
| დენიზლი | 31 | 17 | 3 | 11 | 50:34 | 54 |
| გაზიანთეფი | 31 | 16 | 3 | 12 | 45:47 | 51 |
| გალათასარაი | 31 | 13 | 8 | 10 | 47:42 | 47 |
| ანკარაგიუჯიუ | 31 | 13 | 6 | 12 | 44:45 | 45 |
| სამსუნი | 31 | 12 | 7 | 12 | 44:45 | 43 |
| გენჩლერი | 31 | 12 | 6 | 13 | 52:45 | 42 |
| რიზე | 31 | 13 | 3 | 15 | 34:44 | 42 |
| მალათია | 31 | 10 | 11 | 10 | 44:33 | 41 |
| კონია | 31 | 9 | 13 | 9 | 49:50 | 40 |
| დიარბაქირი | 31 | 11 | 7 | 13 | 42:47 | 40 |
| ისთანბული | 31 | 9 | 7 | 15 | 39:43 | 34 |
| სებათი | 31 | 8 | 9 | 14 | 39:51 | 33 |
| ბურსა | 31 | 7 | 10 | 14 | 32:38 | 31 |
| ელაზიგი | 31 | 5 | 7 | 19 | 35:73 | 22 |
| ადანა | 31 | 3 | 4 | 24 | 31:71 | 13 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

*გიორგი ცინცაძემ პირველი არმიული ტიტული მოიგო — ცსკა-ს დუბლიორებში რუსეთის ჩემპიონი გახდა. ქართველი გამთამაშებელი ამას წინათ რამდენჯერმე გამოჩნდა ცსკა-ს ძირითად გუნდში, მაგრამ სეზონის ბოლოს ის ისევ დუბლიორებს მიაშველეს, რომლებიც საჩემპიონო მატჩებში იყვნენ ჩაბმულნი. ცინცაძე ახლა დიდ გუნდზე ოცნებობს, ეგებ გამიმართლოს და ევროლიგის თელავივურ ოთხთა ფინალსაც გამოვკრა ხელიო. გიოს გუშინ მოსკოვში შევეხმიანეთ და თავდაპირველად ჩემპიონობა მივულოცეთ...*

# ცინცაძემ დუბლი შეასრულა

## რუსულ არმიას თელ ავივში ქართველიც მიჰყავს



— ჩემპიონობა ძალიან კარგია, მაგრამ რომ ვთქვა, სასწაულად გავიხარეო, არ ვიქნები მართალი. მთელი სეზონი ვლიდერობდით, მეტოქეებს საკმაოდ იოლად ვჯაბნიდით და ჩემპიონობაც დროის ამბავი იყო. ისე კი, ჩვეულებრივი საზეიმო განწყობა სუფევდა, ვიხალისეთ და ბანკეტიც დიდებული გადავიხადეთ.

**— გადამწყვეტი მატჩები ვის მოუგეთ?**

— ბოლოს ყველა მატჩი გადამწყვეტი იყო. მოსკოვში 6 საუკეთესო ახალგაზრდული გუნდი შეიკრიბა, თამაშები ჩვენთან, ცსკა-ს დარბაზში ჩატარდა და მხარდაჭერაც არ გვაკლდა. ხუთივე მატჩი მოვიგეთ და ჩემპიონები გავხდით.

**— ყველაზე უხერხული მეტოქე რომელი იყო?**

— სარატოვის „ავტოდორი“, რომელმაც მანამდე რეგულარულ ჩემპიონატში მოგვიგო. თუმც ჩვენს დარბაზში სარატოველებიც იოლად დავამარცხეთ.

**— შენს თამაშზე რას გვეტყვი?**

— სამწუხაროდ, ბოლო თამაშებში ისეთი შედეგიანი არ ვყოფილვარ, როგორც წინა ტურებში. ჩემი თავით კმაყოფილი არ ვარ, ბევრად მეტი გამიკეთებია და ახლაც შემეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ... ისე კი, ცუდად არ მითამაშია, ძირითადში სისტემატიურად ვიყავი, ეგაა, გამოკვეთილი ლიდერი არ ვყოფილვარ.

**— თამაშის შემდეგ დაგაჯილდოვეს თუ სპეციალური ღონისძიება მოგიწყვეს?**

— ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა. ბოლო თამაშის შემდეგ ოქროს მედლები გადმოგვცეს, თასიც ჩაგვაბარეს და ეგ იყო. კლუბის უფროსობამ ცალკე ღონისძიება მოგვიწყო მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში.

**— მთელმა ცსკა-მ იქეიფეთ თუ მხოლოდ ახალგაზრდები იყავით?**

— ძირითადი გუნდის რამდენიმე კალათბურთელმა დაგვაფასა, უფროსობა და მწვრთნელები კი სრული შემადგენლობით იყვნენ. სუფრაზე იყო დუშან ივკოვიჩი, პაველ გოოგე, ალექსანდრ გომელსკი — მოკლედ, მთელი შეფობა. სპორტსმენებმა ცოტა დავლიეთ, ხელმძღვანელობამ კი გემრიელად მოულხინა.

**— დუბლიორთა ჩემპიონატი დასრულდა, ძირითად გუნდში არ გათამაშებენ?**

— გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, ისე კი იმედი მაქვს. რუსეთის ჩემპიონატში პლეი ოფი დაიწყო, ცსკა როსტოვის გუნდს ხვდება მეოთხედფინალურ სერიაში და 2:0 იგებს. „ოლიმპიაკოსთან“ ევროლიგაში რომ ვითამაშე, მას მერე არ გავსულვარ მოედანზე. სეზონის ბოლოს პრინციპულ თამაშებში მეტი პასუხისმგებლობაა და ერიდებიან განაცხადში ჩემს შეყვანას.

**— ყველაზე პრინციპული თამაში ცსკა-ს 29 აპრილს თელ ავივში ელის. ევროლიგის ოთხთა ფინალზე შენ არ წაყვები გუნდს?**

— თელ ავივში მივდივარ, მაგრამ ვითამაშებ თუ არა ძირითად გუნდში, არ ვიცი. ევროლიგაში ასეთი ტრადიციაა: ოთხთა ფინალის პარალელურად მონაწილე გუნდების დუბლიორებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს.

**— ევროლიგის ბოლო ორ ოთხთა ფინალს ქართველის გარეშე არ ჩაუვლია. ნიკა ცქიტიშვილმა შარშანწინ „ბენეტონში“, შარშან კი მანუჩარ მარკოიშვილმაც ამავე გუნდში დააჭაშნიკა ეს პრესტიჟული ტურნირი. როგორ ფიქრობ, ტრადიციას გააგრძელებ?**

— იმედი მაქვს, რომ განაცხადში მაინც შემიყვანენ. ძირითადი გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, შარშან დუბლიორებში მოთამაშე იგორ ვიარცევი ტრავმირებულია და ეს უფრო მეტ შანსს მაძლევს. ვნახოთ, რა იქნება...

**— ისრაელში როგორი განწყობით მიდიხარ?**

— ბევრი ლაპარაკობს მსაჯების ფაქტორზე, რომ „მაკაბის“ სახლში არ წააგებინებენ, მაგრამ ასეთ საუბრებს ცსკა-ში საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას. ჩვენთან, ყველას გამარჯვება და ევროლიგის მოგება აკერია პირზე. წლეულს „მაკაბი“ უკვე დავამარცხეთ თელ ავივში და ახლა რატომ ვერ უნდა მოვუგოთ?!

**ირაკლი პერტაია**




*მანუჩარ მარკოიშვილი გერმანული „მიტელდოიჩერისგან“ თავისუფალია. ბუნდესლიგის რეგულარული ჩემპიონატი დამთავრდა, ვეისენფელსელები პლეი ოფში ვერ გავიდნენ და ქართველი უკანახაზელიც იტალიურ „ბენეტონს“ უბრუნდება. „მიტელდოიჩერთან“ გამომშვიდობება ცოტაც და საბედისწერო იქნებოდა მარკოიშვილისთვის. მან „ლევერკუზენთან“ მატჩში მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო...*

# მარკოიშვილს გული იტალიაში ეწევა

## მუხლი გერმანიაში ტოვებს

— ბეწვზე ვარ გადარჩენილი. „ლევერკუზენთან“ მატჩში უხერხულად დავხტი იატაკზე, ფეხი გამიცურდა და მუხლი კინაღამ გადამიტყდა. აღმოჩნდა, რომ მყესი დამიზიანდა, ოდნავი ზეწოლაც და გაწყდებოდა, მერე კი 6 თვე უნდა დავმშვიდობებოდი მოედანს.

**— ახლა რას გეუბნებიან?**

— თითქოს ოპერაციას მიკეთებდნენ, მაგრამ გადავრჩი, ქირურგიული ჩარევის გარეშე მიმკურნალებენ. ახლა ფეხზე რაღაც პლასტმასის დამჭერი მიკეთია, რომელიც მუხლს მიფიქსირებს. როგორც მითხრეს, ეს ერთთვიანი ტრავმაა, ალბათ 2 კვირაში ვარჯიშს დავიწყებ.

**— გერმანიაში რეგულარული ჩემპიონატი დამთავრებულია და არ სჯობდა, იტალიაში გემკურნალა?**

— არა, გერმანიაში იტალიაზე მეტი თუ არა, ნაკლები ტრავმატოლოგები არ არიან. თან სადაზღვევო კომპანია იხდის ყველაფერს. შემეძლო იტალიაში წასვლა, მაგრამ სად მეჩქარება, ვარჯიში ისედაც არ შემიძლია, სამკურნალო პირობები კი აქ იდეალურია. ვარ, აგერ, ვეისენფელსში მშვიდად და ვმკურნალობ.

**— „მიტელდოიჩერში“ რა ხდება?**

— პლეი ოფში ვერ გავედით, სამაგიეროდ, არც ბუნდესლიგიდან გავვარდით. მოთამაშეები შვებულებაში არიან, უმეტესობა უკვე წავიდა. კიდევ ორი თანაგუნდელია ჩემს დღეში, მათთან ერთად დავდივარ კლინიკაში სარეაბილიტაციო კურსებზე.

**— მეტი თავისუფალი დრო გექნება და როგორ ერთობი?**

— სმა და ცეკვა არ შეიძლება და ამის გარეშე როგორ გავერთო? ეს ხუმრობით, ისე, დალევა და ზედმეტი გართობა რომ არ მიყვარს, არაერთხელ მითქვამს. იმ დღესაც ვიყავი დისკოთეკაზე, გუნდელებმა გამოსამშვიდობებელი საღამო მოაწყვეს, მაგრამ მე ვიჯექი ამ მტკივანი ფეხით და ვუყურებდი ხალხის ცეკვას.

**— ტრავმა რომ არა, ახლა სად იქნებოდი?**

— ალბათ, სხვა კლუბში. იტალიაში სეზონი 15 ივნისამდე გრძელდება, ბენეტონელებსაც შერჩეული ჰქონდათ ჩემთვის ახალი კლუბი, მაგრამ ტრავმის გამო ვერ წავედი.

**— რა გუნდი იყო?**

— ახლა რაღა აზრი აქვს თქმას, აღარ მივდივარ. არც ის იყო სახელიანი კლუბი.

**— ვარჯიში რომ შეგეძლება, სად წახვალ?**

— იტალიაში. „ბენეტონში“ ვივარჯიშებ. ახლა ტრავმა რომ მივიღე, უფრო მეტად მიმეჩქარება ტრევიზოში, რათა დასუსტებული კუნთები გავავარჯიშო და ფორმაში ჩავდგე. საქართველოში ჩამოვიდოდი, მაგრამ მანდ არაა იტალიის მსგავსი სავარჯიშო და სამკურნალო პირობები.

**— „მიტელდოიჩერს“ საბოლოოდ დაშორდი?**

— იმედია. იტალიაში სეზონი რომ დამთავრდება, მერე გადაწყდება, ისევ გამანათხოვრებენ თუ „ბენეტონში“ დამტოვებენ. ისე, თუ სხვა გუნდში გამიშვეს, ეს, ალბათ „მიტელდოიჩერი“ არ იქნება. ვნახოთ, მე ტრევიზოში დასარჩენად „ვიბრძოლებ“ „ბენეტონის“ ვარჯიშებზე.

**ირაკლი პერტაია**

## 2004 NBA Playoffs

23-24 აპრილი

### დასავლეთი

**ლეიკერსი 2:1 ჰიუსტონი**

**ჰიუსტონი 102:91 ლეიკერსი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (27), მობლი (21), ჯ. ჯეკსონი (11 ქულა, 10 მოხსნა), კატო (4), მინგი (18 ქულა, 10 მოხსნა); ტეილორი (16), ნახბარი (5), მ. ჯეკსონი

ლეიკერსი: პეიტონი (7), ბრაიანტი (21), ფოქსი, მელოუნი (18 ქულა, 11 მოხსნა), ონილი (25 ქულა, 11 მოხსნა); ფიშერი (10), რაში (6), უოლტონი (2), ჯორჯი (2), კუკი

**მინესოტა 2:1 დენვერი**

**დენვერი 107:86 მინესოტა**

დენვერი: მილერი (19), ლენარდი (9), ენტონი (24 ქულა, 10 მოხსნა), ნენე (14), კემბი (12 ქულა, 16 მოხსნა); ბოიკინსი (10), ელსონი (7), ვაიტი (6), ანდერსენი (2), ბოუენი (2), დოლიკი (2), ბერი

მინესოტა: კასელი (10), ჰასელი (7), სპრიუელი (25), გარნეტი (24 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), ჯონსონი; შჩერბიაკი (11), მარტინი (3), ტრენტი (2), ოლოვოკანდი (2), ჰოიბერგი (1), მადსენი (1), მილერი

**საკრამენტო 2:1 დალასი**

**დალასი 104:79 საკრამენტო**

დალასი: ნეში (7), დანიელსი (22), ფინლი (18), ნოვიცკი (21), უოლკერი (8); ჯემისონი (20), ჰოვარდი (6 ქულა, 14 მოხსნა), ნახერა (2), უილიამსი, დელკი

საკრამენტო: ბიბი (22), კრისტი (5), სტოიაკოვიჩი (7), ვებერი (22), დივაცი (4); მილერი (5), ვოლესი (5), სონგაილა (4), სმიტი (3), პილერი (2)

### აღმოსავლეთი

**მაიამი 2:1 ნიუ ორლეანი**

**ნიუ ორლეანი 77:71 მაიამი**

ნიუ ორლეანი: დევისი (21), ვესლი (18), ლინჩი (9 ქულა, 11 მოხსნა), ბრაუნი (6 ქულა, 11 მოხსნა), მალუა (12); ოგმონი (7), ვესტი (4), არმსტრონგი

მაიამი: ვეიდი (2), ჯონსი (5), კ. ბატლერი (24 ქულა, 15 მოხსნა), ოდომი (18), გრანტი (8 ქულა, 11 მოხსნა); ალსტონი (10), ჰეისლიპი (2), ალენი (2)

**დეტროიტი 2:1 მილუოკი**

**მილუოკი 85:95 დეტროიტი**

მილუოკი: ჯონსი (14), რედი (19), მეისონი (19), სმიტი (16), სკინერი (4); ვან ჰორნი (8), ნაითი (3), კუკოჩი (2)

დეტროიტი: ბილაფსი (21), ჰამილტონი (17), პრინსი (16), რ. ვოლესი (10 ქულა, 11 მოხსნა), ბ. ვოლესი (13 ქულა, 21 მოხსნა); ოქური (7), ჰანტერი (6), ჯეიმსი (3), უილიამსონი (2), ჰემი

**ინდიანა 4:0 ბოსტონი**

**ბოსტონი 85:108 ინდიანა**

ბოსტონი: ეტკინსი (12), ველში (11), პირსი (9), მაკარტი (11), ბლუნტი (11); დევისი (16), მიმი (6), ბანქსი (5), ჯ. ჯონსი (4), ჰანტერი

ინდიანა: ტინსლი (7), მილერი (7), არტესტი (15), ონილი (14), ფოსტერი (7); ჰარინგტონი (19), ბენდერი (19), ჯონსონი (6), ფ. ჯონსი (5), კროშერი (4), ანდერსონი (4), პოლარდი (1)

25 აპრილი

**ბოსტონი 75:90 ინდიანა**



წუხელ „ინდიანამ“ ბოსტონში იქაური „სელტიქსი“ დაამარცხა და შემდეგ ეტაპზე პირველი გავიდა

გიო ახვლედიანის

## სვეტი

# პეტ ტილმანი

ავღანეთში დაიღუპა გოლიათური იერის ამერიკელი რეინჯერი პეტ ტილმანი.

აღმოსავლეთში მიმდინარე ამერიკული ომების ეს ერთი, თითქოს რიგითი ცნობა არაფერს შეიცავს მოულოდნელს. ჯარისკაცები იღუპებიან თავიანთი სამშობლოდან შორს.

დღეს მსოფლიო ძალიან ჭრელია. ამ ამერიკულ ომებს იმპერიალისტურ ომებს უწოდებს და მათ წამომწყებებს საშინლად ლანძღავს, ზოგიც მიიჩნევს, ეს არის ჯვაროსნული ლაშქრობა ტერორიზმისა და სიბნელის წინააღმდეგ.

ამგვარ ვითარებაში განწყობა და მორალური საზომები იმგვარია, რომ ხშირად, გმირობას არცა თვლიან გმირობად, ხოლო სიმამაცე უბრალო სისხლისმსმელობადაც შეიძლება მოინათლოს.

ერთი ამერიკელი რეინჯერის დაღუპვა თალიბებთან, თუ ალ-კაიდასთან ბრძოლაში ეგებ არც იყოს მოულოდნელი ამბავი და მწუხარებაც სტანდარტული და გაუხეშებული გამოდგეს, მაგრამ რაკი ჩვენ ვიცით, რა არის ომი და როგორ მიდიოდნენ ჩვენი ბიჭები საბრძოლველად, მაინც მინდა, რომ პეტ ტილმანის ცხოვრებისა და ბრძოლის ამბავზე ვთქვა: ეს ბიჭი ამერიკული ფეხბურთის განთქმული მოთამაშე იყო და თამაშს თავი დაანება მას შემდეგ, რაც ნიუ იორკში ტყუპი კოშკები დაინგრა. „არიზონა კარდინალზთან" სამწლიან, რამდენიმემილიონიან კონტრაქტს ერთბაშად გადაუსვა ხაზი და მოისურვა რეინჯერი შექმნილიყო.

აქვე მოგახსენებთ, რომ რეინჯერის ხელფასი წელიწადში 18 ათასი დოლარია.

ანუ, მან დააგდო სიმდიდრე და წავიდა საომრად. ამით მან თავისი უსაფრთხოებაც დააგდო და თავისი საყვარელი საქმეც. მან მიატოვა ის დაცული და მდიდარი სამყარო, სპორტის ვარსკვლავებს რომ აქვთ მთელს განვითარებულ მსოფლიოში.

რისი სჯეროდა და რისი არ სჯეროდა პეტ ტილმანს?

ჩემთვის გასაგებია, რისი სჯეროდა მას. მუჰამედ ალიმ ციხე ამჯობინა ამერიკელი ჯარისკაცის ჩაფხუტის მორგებას. პეტ ტილმანმა ამ ჩაფხუტს ანაცვალა ჯერ უამრავი რამ, მერე კი სიცოცხლე. პირველი თავისებურ გმირობად, ამბოხად, ახალი დროების საქციელად ჩაითვალა იმ ბობოქარ 60-იან წლებში. და რადად ითვლება მეორე 21-ე საუკუნის დასაწყისში? ეს ყველგან და ყოველ დროს გმირობად და ვაჟკაცობად ითვლება. ეს ნამდვილი და სუფთა ისტორიაა, რომელიც თავად პეტ ტილმანმა შექმნა. ის თავის ძმასთან ერთად (რომელიც ასევე რეინჯერი შექნა) წავიდა საომრად. შარშან, რეინჯერად ქცეული ტილმანები „იესპენის" არტურ ეშის სიმამაცის პრიზით დააჯილდოვეს. მათ კი დაჯილდოვებაზე თავიანთი უმცროსი ძმა გამოგზავნეს, პეტს არ უნდოდა, რომ ტელეკამერების წინ ეტრიალა.

აი, ასეთი ამბავია.

ახლა ამბობენ, რომ ის ყველგან და ყოველთვის ლიდერი იყო. მე მგონია, რომ ეს არ არის მთავარი. მთავარი რაღაცაზე უარის თქმის უნარია. იმის სასარგებლოდ, რაც ალალი და ნამდვილი გგონია.







REUTERS

ვიტალი კლიჩკომ კორი სანდერსი გალახა და ძმა ვლადიმირისთვის შური იძია

# ლენოქს, დაბრუნდი!

## ვიტალიმ კლიჩკო რინგზე დააბრუნა

ვიტალი კლიჩკომ არ მიბაძა თავის ორი კვირის წინათ დამამათებულ უმცროს ძმას, ვალოდიას და ნერვიული დასაწყისის მიუხედავად საბჭოს (ვბკ) მსოფლიო ჩემპიონი შეიქნა მძიმე წონაში.

ვიტალი კლიჩკომ მერვე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო მამაც სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსს.

გადაჭედილ „სტეიპლს სენთერში" ყველა მიხვდა, რომ სანდერსი „ერთი დარტყმის ტაქტიკას" მისდევდა და იმედოვნებდა, რომ სანოკაუტო დარტყმას გაუტარებდა უკრაინელს. 38 წლის აფრიკელს ეს საქმე არ გამოუვიდა, მერვე რაუნდის დასრულებამდე 14 წამი რჩებოდა, როცა რეფერმა ჯონ სქორლმა ბრძოლა შეწყვიტა.

ვიტალიზე, ალბათ ორი ამბავი მოქმედებდა: ერთი რომ, სანდერსმა შარშან ამ დროს მისი ძმა დაანოკაუტა და მეორეც, რომ კვლავ მისმა ძმამ ორი კვირის წინათ სამარცხვინოდ წააგო ლას ვეგასში. ამიტომ უკრაინელს დრო დასჭირდა, რათა მეტოქისთვის თავისი ძალა და უნარები მოეხვია თავს, რითაც საბჭოს წინა ჩემპიონს, ლენოქს ლუისსაც დაემსგავსა. ამიტომ თუ იყო, რომ ვიტალის გვარიანი ჰუკი მოხვდა პირველ რაუნდში, თუმცა, მეორედან გამოფხიზლება იწყო.

საბოლოო გარდატეხისა მეოთხე რაუნდი იყო, მეხუთეში კი სანდერსს სწორედ სულზე მოუსწრო შესვენებამ. ამ დროს ის უკვე დასისხლიანებული იყო, მაგრამ მაინც მამაცურად იბრძოდა და კლიჩკოს უპირატესობას არ ნებდებოდა. თუმცა, ბრძოლის შემდეგ გამარჯვებულს უკვირდა კიდეც, ამდენს როგორ გაუძლოო.

გახარებულმა ვიტალიმ განაცხადა, რომ ბედნიერია და ლენოქს ლუისს რინგზე დაბრუნებას სთხოვს: „მე ვიმედოვნებ, რომ ლენოქსი დაბრუნდება. ათი თვის წინ ამ დარბაზში ის რემატჩს შემპირდა. ვიცი, რომ ის ჯენტლმენია, ხალხს კი ჩვენი ბრძოლის ნახვა სურს."

მოკლედ, ვალოდია ჩავარდა, მაგრამ ვიტალიმ ყველას მიავიწყა ვალოდიას ჩავარდნის ამბავი და ახლა აშკარაა, რომ სწორედ მას შეუძლია მსოფლიოს უდავო ჩემპიონობისთვის ბრძოლა, თუ, რა თქმა უნდა, დონ კინგმა არ აამუშავა თავისი ვერაგი საცეცები.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# ხედავთ, როგორ მღერის თიხა!

## ვინა ხართ კორიას სწორი?

**მასტერსის სერია**
მონტე-კარლო. თიხნარი
საპრიზო 2 425 500 ევრო

**ნახევარფინალი**

**გილერმო კორია (3, არგენტინა) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4, 1:6, 6:3; რაინერ შუტლერი (4, გერმანია) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:4**

**ფინალი**

**კორია — შუტლერი 6:2, 6:1, 6:3**

თიხნარსეზონის დადგომასთან ერთად თავი წამოყვეს წითელი მშობლიური მიწის ოსტატებმა და ახლა ჩვენი დროაო, ამბობენ. ვის ვის და გილერმო კორიას ვერ ვაკადრებთ ამ სიტყვებს. თავი სხვებმა წამოჰყონ, რეიტინგსიის მეოთხეადგილოსანი არგენტინელი კი უკვე კარგა ხანია ამ საფრის ჩაფრად ჩაითვლება და ზედიზედ ხუთი თიხნარტიტულიც მოუნაგრავს. ამ საფარზე გაუჩომ ბოლოს შარშანდელ როლანგაროსობის ნახევარფინალში ჰოლანდიელ მარტინ ფერკერკთან დაუშვა ჩოგანი და კარსმომდგარი ამ სადიდსლემო ტურნირის მოგების ერთ-ერთ მკაფიო კანდიდატადაც სახელდება.

კორია საფრანგეთის ღია პირველობისთვის თანდათან ლესავს ჩაგანს და წელს მეორე ტიტულიც მიითვალა. ნახევარფინალში თიხნარისთვის შეუფერებლად ახმახი და ფიცხი მარატ საფინის შემდგომად კორიამ გერმანელ რაინერ შუტლერსაც ზურგზე წითელი მტვერი აღინა და მონტე კარლოს მასტერსტიტული თავის 480-ათასევროიანად სინდისის მისხალი ქენჯნის გარეშე ჩაიჩხრიალა ქისაში. თავს ჯანმრთელად და ვაჟკაცურად ვგრძნობ, ესეც ისე გამოუვიდა. თითქოს გემრიელი სადილისათვის მატე-ჩაი და სიგარეტი დაეყოლებინა.

შუტლერმა ბევრიც ვერაფერი მოუხერხა პატარა და ყველა ბურთის მიმსწრებ არგენტინელს, სამ სეტში ექვსი გეიმი თუ გამოსწიწკნა პატარა, მაგრამ უდრეკელი ხელიდან და მგონი, ამაზეც მადლიერია. შუტლერს იმთავითვე ფიორა შანსი ჰქონდა ფინალში. მანამდე სულ დარჩეულ ბიჭებთან სიქისგამცლელი კვეთებანი გამოევლო და ერთმანეთის მიყოლებით გუსტავო კუერტენის ლეიტონ ჰიუიტისა და ნახევარფინლშიც კარლოს მოიას წამქცევს — თქვენც დაგვეთანხმებით — ძალები და შანსები შემოხარჯვოდა. არც გამოსტირებია წაგებულ ტიტულს, მეტოქე ჰ ალალად შეაქო — „ამ ჟამისთვის კორია დაუჯერებელ ჩოგბურთს თამაშობს."

სათამაშო და მოსაგები კი დასტურ ბევრია და გილერმო-ბიჭი ყველას თუ არა წლეულს კიდევ ერთი-ორი ტურნირის მოსაგებად მაინც შემართავს ჩოგანს.





## პლეი ოფი

### აღმოსავლეთი

**ტამპა 1:0 მონრეალი**

**ტამპა 4:0 მონრეალი**
0:0 2:0 2:0
1:0 ფედოტენკო (23), 2:0 ლეკავალიე (37), 3:0 ლეკავალიე (44), 4:0 აფანასენკოვი (48)

### აღმოსავლეთი

**დეტროიტი 1:1 კალგარი**

**დეტროიტი 5:2 კალგარი**
0:0 3:1 2:1
1:0 ჰოლ მსტრიომი (24), 2:0 აიზერმანი (31), 3:0 აიზერმანი (33), 3:1 დონოვანი (34), 4:1 შალი (55), 5:1 ლიდსტრიომი (57), 5:2 ჟელინა (59)

**სან ხოსე 2:0 კოლორადო**

**სან ხოსე 4:1 კოლორადო**
0:1 2:0 2:0
0:1 ჰეიდუკი (8), 1:1 დამფუსი (32), 2:1 მარლო (40), 3:1 ჩიჩუ (47), 4:1 პრიმო (60)

## მსოფლიოს ჩემპიონატი

**ჩეხეთი 24 აპრილი — 9 მაისი**

**A ჯგუფი**

**ჩეხეთი 3:1 ლატვია**
3:0 0:0 0:1
1:0 სტრაკა (3), 2:0 შპაჩეკი (6), 3:0 სტრაკა (16), 3:1 პანტელეევსკი (60)

**გერმანია 4:2 ყაზახეთი**
0:0 2:1 2:1

**B ჯგუფი**

**სლოვაკეთი 2:0 უკრაინა**
2:0 0:0 0:0
1:0 გაბორიკი (5), 2:0 ჰოსა (20)

**ფინეთი 4:2 აშშ**
0:2 2:0 2:0
0:1 ჰელპერნი (12), 0:2 დრური (16), 1:2 ჰენტუნენი (35), 2:2 იოკინენი (37), 3:2 პირიეტა (53), 4:2 პირიეტა (59)

**C ჯგუფი**

**შვედეთი 5:1 დანია**
2:1 1:0 2:0

**D ჯგუფი**

**ავსტრია 6:0 საფრანგეთი**
2:0 1:0 3:0

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასანიძეს ათენისკენ აენთო

*ძალოსანთა ერთკვირიანი ევროპის ჩემპიონატი კიევში ისე დასრულდა, საქართველოს რვაკაციან ნაკრებს ერთი მედალიც არ მოუგია. ქართველები ინდივიდუალურ პირველობაში ათეულშიც კი ვერ შევიდნენ, მაგრამ უმთავრეს მიზანს მაინც მიაღწიეს. ულიცენზიოთა შორის გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები პირველ ადგილზე გავიდა, რითაც ოლიმპიური თამაშების ორი ლიცენზია მოიპოვა*

*გუნდურში პირველ-მეორე ადგილებზე გასულთათვის ორი ლიცენზია იყო დაწესებული და როცა გიორგი ასანიძემ სამეულში შესვლა ვერ მოახერხა, ბევრს ერთი ლიცენზიის იმედიც გადაეწურა, თუმცა...*

*წელიწადნახევრიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ჩვენი ნაკრების გამწევი ძალა ფიცარნაგზე პირველად ავიდა, მაგრამ ჩვეულ ფორმამდე ჯერ ბევრი უკლია და მედალსაც რომ ვერ აიღებდა, თავიდანვე სცოდნია.*

*საერთაშორისო ტურნირების გამოტოვებამ, ცხადია, ასანიძის რეიტინგსაც დაატყო კვალი. ორგანიზატორებმა შედარებით სუსტი სპორტსმენებით დაკომპლექტებულ B ჯგუფში გაამწესეს. გიორგიმ აქტაცში აწეულ 170 კილოგრამს აკვრაში 190 წაუმატა და მეოთხე შედეგი აჩვენა, თუმც უძლიერესთა ჯგუფის გამოსვლის შემდეგ მეთორმეტე ადგილამდე დაეშვა.*

*გიორგი ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის დასრულებისთანავე გამოეშურა თბილისისკენ და ათენისთვის მზადებას ვაკის დარბაზში განაგრძობს. მას გუშინ გავესაუბრეთ.*

— უკრაინაში ჩვენი გუნდის ამოცანა ლიცენზიის მოგება იყო და მოხარული ვარ, ეს რომ მოვახერხეთ. რამდენიმე წუთის წინ ტელეფონით კიევში მყოფ ალეკო ჯიბლაძეს ვესაუბრე და მითხრა, რომ გუნდური პირველი ადგილი და ორი ლიცენზია მოვიპოვეთ.

**— ბევრი შენგან მედალს ელოდა...**

— ისეთი ტრავმა გადავიტანე და იმდენხანს დავისვენე, რომ არათუ მედლით, საერთოდ დაბრუნებაც კი ძალიან რთული იყო. მართალია, ბოლოხანს სრული დატვირთვით დავიწყე ვარჯიში, მაგრამ გარკვეული რისკი მაინც იყო. საპრიზო შედეგზე აქცენტი თავიდანვე არ გაკეთებულა. მთავარია, დავრწმუნდი, რომ არარანაირი საშიშროება არ არსებობს.

**— B ჯგუფში რატომ დაგაქვეითეს?**

— რეიტინგის გამო, თუმც იქ ნაჩვენები შედეგით რამდენიმე A ჯგუფელსაც ვაჯობე. დღევანდელი მომზადებით თუ ვიმსჯელებთ, აქტაცში 170 კილოგრამი საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია. აკვრაში კი შედარებით ცუდად გამოვედი 195 ვერაფრით ავწიე 195 კილოგრამი. ეს ისევ და ისევ იძულებითი შესვენების ბრალია. კუნთები დიდ სიმძიმეს გადაჩვეული იყო.

**— ამხელა შტანგას ბოლო ვარჯიშებზეც არ შეჭიდებიხარ?**

— სპეციალისტთა რჩევით, რისკს ვერიდებოდი და დაბალ წონაზე ვვარჯიშობდი. მაქსიმუმ მერვე ადგილს ვგეგმავდი, თუმც არც მეთორმეტეა ურიგო შედეგი.

**— ალბათ, ფსიქოლოგიური მომენტიც გიშლიდა ხელს**

— ერთ-ერთი ნიუანსი ეგეც იყო. ფიცარნაგის გრძნობა განსაკუთრებული რამაა. მე კი ამას გადაჩვეული ვიყავი.

**— ჩვეული ფორმის დასაბრუნებლად რა დრო დაგჭირდება?**

— დაახლოებით ორ-ორნახევარ თვეში სრულ მზადყოფნაში უნდა ვიყო. ოლიმპიადამდე კი ჯერ ოთხი თვეა.

**— ათენისთვის თბილისში მოემზადები?**

— ერთი თვე ვაკეში ვივარჯიშებ, შემდეგ კი ალბათ ისევ ვანო გრიქუროვთან ჩავალ პოლონეთში და აგვისტომდე იქვე დავრჩები.

**ოთარ მაღლაკელიძე**




**გიორგი ასანიძემ და საქართველოს ნაკრებმა ორი ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვეს**



# მეზობლებმა მედალი გაგვიხშნეს

## მინდორაშვილის ოქრო თურქებს დარჩათ



23-25 აპრილს ანკარამ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. ნახევრად გადახალისებულმა საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ერთი ვერცხლის მედლის აღება მოახერხა. შარშანდელი ევროპის ჩემპიონი რევაზ მინდორაშვლი (84კგ) ამჯერად ერთი საფეხურით დაბლა დაეშვა.

ფინალში მინდორაშვილი თურქ გოეხან იავასერთან დამარცხდა. მანამდე კი ოთხი შეხვედრა ჩაატარა, რომელთაგანაც სამში მოიგო. ქვეჯგუფში გერმანიის სახელით მოასპარეზე დავით ბიჩინაშვილის ძლევის შემდეგ რუს ვადიმ ლალიევთან ველარას გახდა, მაგრამ ისე მოხდა, ჯგუფური პირველი ადგილისთვის ესეც ეყო. გადამწყვეტი როლი ბიჩინაშვილისგან ლალიევის ძლევამ შეასრულა. თურქამდე და ფინალამდე რეზომ ბერძენი ლაზაროს ლოიციდისის დამწუხრებაც მოასწრო.

ქვეჯგუფიდან გასვლა მინდორაშვილის გარდა ერთადერთმა ქართველმა ოთარ თუშიშვილმა (66კგ) შეძლო. იტალიელ ორაზიო სკაფიტისა და გაფრანგებული სომეხის ვადიმ გიგოლაევის ჩამოცილება არც გასჭირვებია, მაგრამ მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონთან, რუს მახაჩ მურთაზალიევთან დამარცხდა.

აქვე გეტყვით, რომ შვიდივე წონაში ჩემპიონობა მასპინძლებმა და რუსებმა მოიპოვეს.

ათენის ლიცენზიან ქართველთაგან, ანკარის გუნდში მინდორაშვილისა და თუშიშვილის გარდა გელა სალირაშვილიც შევიდა, თუმც ევროპის ჩემპიონატი მისთვის შედარებით ადრე დასრულდა. პირველ ჯგუფურ ტურში კენჭისყრამ ქართველი დაასვენა და თანაჯგუფელთა შებმის ცქერის უფლება მისცა. უკრაინელმა ზაზა ზოზიროვმა მოლდოველ ალექსანდრო ბურიას ადვილად სძლია. დამარცხებულს თავის ძალა სალირაშვილმაც დაუმტკიცა. ზოზიროვთან კი ველარას გახდა.

გამარჯვებით დაიწყეს ტურნირი საქართველოს ნაკრების დებიუტანტმა ლევან ჩაბრაძემ (60კგ) და თამაზ გეგეშიძემაც (96კგ). ჩაბრაძემ სულაც სენსაცია მოახდინა. ევროპის ჩემპიონ ბულგარელს, ანატოლი გუიდეას სძლია, თუმც ამ უკანასკნელმა მანამდე სლოვაკ ანჟეი ფასანეკთანაც ვერაფერი გააწყო და ჯგუფიდან გამსვლელი ფასანეკისა და ჩაბრაძის ბრძოლას უნდა გაერკვია. სამწუხაროდ გამარჯვებული სლოვაკი დარჩა.

სწორედ სლოვაკის ძლევით გახსნა ჩემპიონატი გეგეშიძემ. პეტერ პეჩას საკმაოდ ადვილად კი მოუგო, მაგრამ აზერბაიჯანელ რუსლან აგაევთან წარმატების შანსიც აღარ ჰქონია. მოგვიანებით აგაევმა პეჩაც ჩამოიცილა და რომ არა უკრაინელ ვადიმ ტასოევთან წაფორხილება, ფინალშიც გავიდოდა. საბოლოოდ ბრინჯაო მოიპოვა.

მესამე პრიზიორთან წააგო ბესიკ გუჩაშვილმაც. ბულგარელ ივან ველკოვ დიორევთან მარცხის შემდეგ, ნახევარფინალში გასვლის შანსი კიდევ რჩებოდა. ბელარუსი ალექსეი კოსარევისთვის უნდა მოეგო. ბელარუსს კი დიორევი უნდა დაემარცხებინა. ქართველმა მართლაც იმარჯვა, მაგრამ ბელარუსი ვერაფერს გახდა.

მძიმეწონოსან დავით ოთიაშვილს პირველ ტურში ყველაზე ძლიერი მეტოქე ერგო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ კურამაგომედ კურამაგომედოვის სახით. წააგო და არც არავის გაჰკვირვებია. რუსი ანკარაშიც ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ითვლებოდა. ერთადერთი, რაც ოთიაშვილმა შეძლო, ბელარუს ბორის გრინკევიჩის ძლევა იყო. კურამაგომედოვმა კი ფინალამდე იოლად მიაღწია, თუმც ბოლო გამოცდა ველარ ჩააბარა. მასპინძელმა აიდინ პოლაჩმა საგრძნობი უპირატესობით აჯობა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



### ევროპის ჩემპიონატი

თურქეთი (ანკარა) 23-25 აპრილი

**55კგ**

1 ადამ ბატიროვი (რუსეთი)
2 მარტინ ბერბერიანი (სომხეთი)
3 ივან ველკოვ დიორევი (ბულგარეთი)
6 **ბესიკ გუჩაშვილი** (საქართველო)

**60კგ**

1 ტევფიკ ოდაბასი (თურქეთი)
2 ალან დუდაევი (რუსეთი)
3 ვასილ ფედორიშინი (უკრაინა)
8 **ლევან ჩაბრაძე** (საქართველო)

**66 კგ**

1 მახაჩ მურთაზალიევი (რუსეთი)
2 ელბრუს თედეევი (უკრაინა)
3 ოემერ კუბუკუ (თურქეთი)
5 **ოთარ თუშიშვილი** (საქართველო)

**74კგ**

1 რუსლან კოკაევი (რუსეთი)
2 მურად გაიდაროვი (ბელარუსი)
3 ემზარიოს ბეტინიდისი (საბერძნეთი)
10 **გელა სალირაშვილი** (საქართველო)

**84კგ**

1 გოეხან იავასერი (თურქეთი)
2 **რევაზ მინდორაშვილი** (საქართველო)
3 ლაზაროს ლოიციდისი (საბერძნეთი)

**96კგ**

1 ხაჯიმურად გაცალოვი (რუსეთი)
2 ვადიმ ტასოევი (უკრაინა)
3 რუსლან აგაევი (აზერბაიჯანი)
10 **თამაზ გეგეშიძე** (საქართველო)

**120კგ**

1 აიდან პოლაჩი (თურქეთი)
2 კურამაგომედ კურამაგომედოვი (რუსეთი)
3 სერგეი პრიადუნი (უკრაინა)
6 **დავით ოთიაშვილი** (საქართველო)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეოთხე ეტაპი

# მარტოობის ათი წელი

## სენას შემდეგ იყო შუმახერი



იმოლაში ჯენსონ ბატონმა მიხაელ შუმახერის დარად გაიხარა

REUTERS იმოლადან

რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, იმოლას ავტოდრომის ხსენება მუდამ მოგვაგონებს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ აირტონ სენას დაღუპვას. ათი წლის წინანდელ რბოლაში „ჯადოქარ“ ბრაზილიელის „უილიამსს“ საჭე გაუტყდა და მართვადაკარგული ბეტონის კედელს მიეხეთქა. წინა ბორბლის მომტვრეულმა ღერძმა აირტონს ჩაფხუტი გაუგლიჯა და თავში შეერჭო. იმასაც შეგახსენებთ, რომ წინა დღეს კვალიფიკაციისას დაიღუპა 31 წლის ავსტრიელი როლანდ რაცენბერგერი („სიმტეკ-ფორდი“), რომლისთვისაც ის ეტაპი მხოლოდ მესამე იყო.

ამ ტრაგედიის შემდეგ ტრასა (არა მხოლოდ „იმოლა“) რადიკალურად გადაკეთდა და ბევრად უხიფათო გახდა. განვლილ ათწლეულში საბედნიეროდ, ალარავინ დაღუპულა, თუმც ხუთი კილომეტრის სიგრძის, აღმართ-დაღმართიანი ტრეკი კვლავინდებურად ერთ-ერთი ურთულესია. პილოტებს დამატებით საწვალებელს უქმნის საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობაც.

სენას ავარიის შემდეგ ნახევარ საათში რბოლა განახლდა და გამარჯვება მიხაელ შუმახერმა მოიპოვა, ოღონდ მაშინ „ბენეტონით“ დაჯირითობდა. „წითელმა ბარონმა“ გუშინაც აჯობა ყველას და უკვე მეექვსედ დაისაკუთრა ჯუჯა სანმარინოელთა დიდი პრიზი. მიხაელი შარშანდელივით ჰეთ თრიქს შეასრულებდა, კვალიფიკაციაში მცირე შეცდომა რომ არ დაეშვა. შუა წრეზე იგი 0,2 წამით იყო წინ, მაგრამ მოსახვევში ტრასას ოდნავ გადასცდა და საბოლოოდ სწორედ იმდენივე წააგო ჯენსონ ბატონთან. 24 წლის ინგლისელის 70-ეტაპიან კარიერაში ეს პირველი პოული და ამ მხრივ ფორმულის ისტორიაში 75-ე მძღოლი შეიქნა. ბარ-ჰონდიანი ბატონი ფანტასტიკურ სეზონს ატარებს, წინა ორი რბოლა პოდიუმზე დაასრულა და სწორედ ამის გამო თანამემამულე ბუქმეიკერებმა გუშინ წარმატების შანსი გაუორმაგეს. ჯენსონმაც თავი არ შეირცხვინა და მართალია, არ გაუმარჯვია, მაგრამ უნაკლოდ ჩატარებული რბოლა და პირველად ვიცეპრიზიორობა (პოულთან ერთად) მისთვის ალბათ ჩემპიონობის ტოლფასია და იმოლური უიქენდის გმირადაც სწორედ იგი უნდა ჩაითვალოს.

ბატონი სასტარტო ნიშნისთანავე უსწრაფესად დაიძრა და მიხაელს გასწრების საშუალება არ მისცა. ხუან-პაბლო მონტოია დაფეთებული მოწყდა ადგილს და აქეთ-იქიდან სცადა ლიდერისთვის გვერდის ავლა, მაგრამ ვერაფერს გახდა და მესამე პოზიციასაც დაკარგავდა, მისი თანაუილიამსელი რალფ შუმახერი რომ არ შეფერხებულიყო რუბენს ბარიკელოს უკან. ჯენსონი თითქმის ათი წრე, პირველ პიტსტოპამდე ინარჩუნებდა მეწინავეობას. მიხაელის ტაქტიკამ გაამართლა — სამი წრე იცადა და დროის ისეთი მარაგი შეიქმნა, რომ ბოქსიდან ბატონის წინ დაბრუნდა.

ეს იყო და ეს, რბოლის ბედიც მაშინ გადაწყდა. მიხაელი ყოველ წრეზე თითქმის წამით ზრდიდა უპირატესობას და ფინიშამდე 50 კილომეტრით ადრე სხვაობამ ნახევარ წუთს მიაღწია.

რბოლის ბოლომდე ერთადერთი თვალსასეირო მომენტი ფერნანდო ალონსოს და რალფ შუმახერის შეჯახება იყო: 12 წრე რჩებოდა, როცა ესპანელმა მოსახვევში შიდა მხრიდან სცადა პატარა შუმის გასწრება. იმან ბუნებრივია, არ დაუთმო და მცირე შეხლის შედეგად მანქანა მოუსრიალდა. ბედად, შეძლო რბოლის გაგრძელება, თუმც სამი ადგილით უკან და ასევე მეშვიდეზე დაასრულა.

უხეიროდ იჯირითა რუბენს ბარიკელომ — მთელი გზა ჯერ რალფის, მერე კი იარნო ტრულის უკან ჯახირობდა და ბოლომდე ვერაფრით მოახერხა სტარტზე დაკარგული ორი პოზიციის დაბრუნება.

საცოდავი შესახედავები არიან მაკლარენელები. დევიდ კულჰარდი კვალიფიკაციაშიც და რბოლაშიც ერთნაირად ჩაფლავდა, ვიცეჩემპიონ კიმი რაიკონენსაც წლეულს ჩვეულებად ქცეული პრობლემები შაბათს დაეწყო — „მერსედესის“ ძრავის სარქველი დაუზიანდა, რის გამოც „ყინულის კაცმა“ საპოულე ცდაზე საერთოდ უარი თქვა. ობიექტურადაც და სტატუსითაც რაიკონენი საპირველოდ უნდა ებრძოდეს მიხაელ შუმახერს, რეალურად კი დაბალკლასელი „ოროსნების“ კამპანიაში უწევს ტრიალი. ბოლო რიგიდან ბრძოლადაწყებულმა ისლა შეძლო, რომ მიმდინარე სეზონში პირველი ქულა იშოვა.

მიხაელ შუმახერმა კი ისევ არანორმალური უპირატესობით გაიმარჯვა და ზედიზედ მეოთხე მოგებით ყველაზე ოპტიმისტ „კონკურენტებსაც“ კი გადაუწურა შებრძოლების იმედი.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**სან მარინოს დიდი პრიზი**
**25 აპრილი. იმოლა**
დისტანცია 62 წრე — 305,609 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (2) | მ.შუმახერი (ფერარი) | 1:26.19,670 (212,4 კმ/სთ) |
| 2 | (1) | ბატონი (B.A.R) | ჩამორჩა 9,702 |
| 3 | (3) | მონტოია (უილიამსი) | 21,617 |
| 4 | (6) | ალონსო (რენო) | 23,654 |
| 5 | (9) | ტრული (რენო) | 36,216 |
| 6 | (4) | ბარიკელო (ფერარი) | 36,683 |
| 7 | (5) | რ.შუმახერი (უილიამსი) | 55,730 |
| 8 | (—) | რაიკონენი (მაკლარენი) | 1 წრით |
| 9 | (—) | ფიზიკელა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 10 | (12) | მასა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 11 | (13) | პანი (ტოიოტა) | 1 წრით |
| 12 | (11) | კულჰარდი (მაკლარენი) | 1 წრით |
| 13 | (8) | ვებერი (იაგუარი) | 1 წრით |
| 14 | (14) | კლიენი (იაგუარი) | 2 წრით |
| 15 | (18) | ბაუმგარტნერი (მინარდი) | 4 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (7) | სატო (B.A.R) | გაიარა 56 წრე |
| (16) | ჰაიდფელდი (ჯორდანი) | 48 |
| (10) | და მატა (ტოიოტა) | 32 |
| (17) | ბრუნი (მინარდი) | 22 |
| (15) | პანტანო (ჯორდანი) | 6 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**კვალიფიკაცია**
ბატონი 1.19,753 (222,7 კმ/სთ)

**რბოლაში საუკეთესო წრე**
მ.შუმახერი 1.20,411 (220,8 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 7 მარტი | მალაიზია 21 მარტი | ბაჰრეინი 4 აპრილი | სან მარინო 25 აპრილი | ესპანეთი 9 მაისი | მონაკო 23 მაისი | ევროპა 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | აშშ 20 ივნისი | საფრანგეთი 4 ივლისი | დ.ბრიტანეთი 11 ივლისი | გერმანია 25 ივლისი | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ჩინეთი 26 სექტემბერი | იაპონია 10 ოქტომბერი | ბრაზილია 24 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი (ფერარი, გერმანია) | 10 | 10 | 10 | 10 | | | | | | | | | | | | | | | 40 |
| 2 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია) | 8 | 5 | 8 | 3 | | | | | | | | | | | | | | | 24 |
| 3 ბატონი (B.A.R., დ. ბრიტანეთი) | 3 | 6 | 6 | 8 | | | | | | | | | | | | | | | 23 |
| 4 მონტოია (უილიამსი, კოლუმბია) | 4 | 8 | – | 6 | | | | | | | | | | | | | | | 18 |
| 5 ალონსო (რენო, ესპანეთი) | 6 | 2 | 3 | 5 | | | | | | | | | | | | | | | 16 |
| 6 ტრული (რენო, იტალია) | 2 | 4 | 5 | 4 | | | | | | | | | | | | | | | 15 |
| 7 რ.შუმახერი (უილიამსი, გერმანია) | 5 | – | 2 | 2 | | | | | | | | | | | | | | | 9 |
| 8 სატო (B.A.R., იაპონია) | – | – | 4 | | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 9 კულჰარდი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | 1 | 3 | – | | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 10 მასა (ზაუბერი, ბრაზილია) | – | 1 | – | | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| ვებერი (იაგუარი), რაიკონენი (მაკლარენი) — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 18 | 15 | 18 | 13 | | | | | | | | | | | | | | | 64 |
| 2 რენო | 8 | 6 | 8 | 9 | | | | | | | | | | | | | | | 31 |
| 3 უილიამსი | 9 | 8 | 2 | 8 | | | | | | | | | | | | | | | 27 |
| 4 B.A.R. | 3 | 6 | 10 | 8 | | | | | | | | | | | | | | | 27 |
| 5 მაკლარენი | 1 | 3 | – | 1 | | | | | | | | | | | | | | | 5 |
| იაგუარი, ზაუბერი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge